# ქართული, როგორც მეორე ენა

## ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები (2)

## READER

# თემა 1
# საავადმყოფო; სასწრაფო დახმარება

**1.**

ადამიანებს ხანდახან პრობლემები ექმნებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ამ დროს ისინი ექიმთან მიდიან, პოლიკლინიკაში ან საავადმყოფოში. ექიმების გულისხმიერებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

* * *

ავადმყოფს მაღალი ტემპერატურა აქვს.

ექიმმა პაციენტი გასინჯა და წამლები გამოუწერა.

კბილის ექიმთან დიდი რიგი იდგა.

ოპერაცია ორი საათი გრძელდებოდა.

– ავადმყოფი რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს.

ღრმად ისუნთქეთ!

პულსს გაგისინჯავთ.

მადა როგორი გაქვთ?

* * *

– გუშინ დედა დავაწვინე საავადმყოფოში.

– მართლა? რა მოუვიდა?

– აპენდიციტის // ბრმანაწლავის შეტევა ჰქონდა.

– ოპერაცია გაუკეთეს?

– დიახ, დღეს დილით გაუკეთეს ოპერაცია.

– ახლა როგორ არის?

– კარგადაა. ორ-სამ დღეში გამოწერენ.

– ვინ *უვლიდა*?

– მე *ვუვლიდი*, ხვალ ნემი და *მოუვლის*.

* * *

– ორი დღეა, სამსახურში ვერ წავედი.

– რატომ, რა მოხდა?

– გრიპი მქონდა.

– მაღალი სიცხით?

– დიახ.

– მერე ვინ *გივლიდა*?

– ვინ *მივლიდა* და ჩემი ცოლი *მივლიდა*, ვის უნდა მოევლო?

– გრიპი ძალიან საშიში დაავადებაა.

– ჰო. თან კბილის ტკივილმაც შემაწუხა.

– ამოსაღებია?

– არა, დასაპლომბი მაქვს და სტომატოლოგთან ვერ მივედი.

– ხომ არ გეშინია?

– რაღა დაგიმალო და მეშინია.

– მე ვიცნობ ერთ ძალიან კარგ სტომატოლოგს. არაფერს გატკენს, ისე გაგიკეთებს ყველაფერს.

– ვინაა? სად მუშაობს?

– აღმაშენებლის გამზირზე.

– ხვალვე წავალ. გმადლობ.

– აბა, შენ იცი!

2.

* * *

იმ დილით მწვავე ტკივილმა გამომაღვიძა. კუჭი მტკიოდა. სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახეთ. ათ წუთში მოვიდნენ. გამსინჯეს და გადაწყვიტეს, რომ საავადმყოფოში ვიყავი წასაყვანი. როგორც გამოირკვა, სასწრაფო ოპერაცია იყო გასაკეთებელი. ნარკოზი გამიკეთეს და რომ გამომეღვიძა, ყველაფერი დამთავრებული იყო. ჯერ რეანიმაციის განყოფილებაში ვიწექი, მხოლოდ მეორე დღეს დამაწვინეს პალატაში. ოპერაციის მერე მაღალი სიცხეები და ტკივილები მქონდა, მაგრამ გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთეს და ტკივილები მომეხსნა. დიდხანს მეძინა. კრიტიკულმა პერიოდმა მესამე დღეს გაიარა. მერე უკვე გაცილებით კარგად ვგრძნობდი თავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი მეუღლე მივლიდა. მნახველები

ყოველ წუთში აღებდნენ პალატის კარებს. მოდიოდნენ ჩემი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები. ერთ კვირაში გამომწერეს. ყველაფერი კარგად დამთავრდა.

3. ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲐᲜᲐᲚᲘᲖᲔᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ. ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲗ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

## ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ქალბატონი მარიამი ბაგრატის ნათესავია. ერთ დღეს მარიამმა ბაგრატს დაურეკა და დახმარებს სთხოვა. ბაგრატი მასთან წავიდა. მარიამი ცუდად იყო. მას საერთოდ აწუხებს გული და წნევა. ხშირად მაღალი წნევა აქვს. ქალბატონი მარიამი ძალიან ცუდად გახდა, ამიტომ სასწრაფო დახმარება გამოუძახეს. სასწრაფო დახმარებამ დაიგვიანა. ბაგრატმა იცოდა, რა წამალი უნდა მიეცა ავადმყოფისათვის სასწრაფო დახმარების მოსვლამდე. ქალბატონ მარიამს წნევამ ოდნავ დაუწია, მაგრამ იგი ისევ ცუდად იყო. ბაგრატმა მეორეჯერ დარეკა სასწრაფო დახმარების სამსახურში. იქ უთხრეს, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა უკვე გამოვიდა გამოძახების ადგილზე, მაგრამ გზაში საწვავი გაუთავდათ და ახლა რამდენიმე წუთში მოვლენ, უთხრეს ტელეფონით. ექიმები მართლაც რამდენიმე წუთში მოვიდნენ და ბოდიში მოიხადეს დაგვიანებისთვის. კარდიოლოგმა ავადმყოფი გასინჯა და საგულე საშუალებები მისცეს. საჭირო იყო კიდევ ერთი ნემსის გაკეთება, მაგრამ სასწრაფო დახმარებას მედიკამენტი არ ჰქონდა, ბაგრატი აფთიაქში გაიქცა და წამალი მოიტანა. ექიმმა ნემსი გაუკეთა ავადმყოფს და მანამდე დარჩნენ, სანამ წნევა ნორმაზე არ დადგა. ექიმებმა თქვეს, რომ ქალბატონი მარიამი მძიმე ავადმყოფია და მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება. ავადმყოფი უკეთ გახდა, იგი საავადმყოფოში აღარ გადაიყვანეს. ქალბატონ მარიამს წამლები გამოუწერეს და ხუთი დღე წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს.

ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ:

1. ექიმი სინჯავს ავადმყოფს.
2. ექიმმა გასინჯა ავადმყოფი.
3. ექიმს (არ) გაუსინჯავს ავადმყოფი.

## ფრაზების განმარტება:

**მაღალი წნევა აწუხებს -**

**სასწრაფო დახმარებას გამოგუძახე -**

**წნევა ნორმაზე დადგა -**

**წნევამ აუწია -**

**წნევა დაუვარდა -**

**წნევა მაღალი (დაბალი) აქვს -**

**ცუდად არის (ცუდადაა) —**

**შეუძლოდ არის (შეუძლოდაა)**

**თავს კარგად ვერ გრძნობს**

**მძიმე ავადმყოფია**

**მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ**

**წამლები გამოუწერეს -**

**წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს**

**საგულე საშუალებები**

**დანიშნულება**

4. წაიკითხეთ და გააანალიზეთ ტექსტი.

## პოლიკლინიკაში

– გამარჯობათ. ამ პოლიკლინიკაში რეგისტრატურა სად არის, ხომ ვერ მიმასწავლით?

– როგორ არა. იმ დერეფანს გაჰყევით, მერე ხელმარცხნივ შეუხვევთ და პირველივე ფანჯარა რეგისტრატურისაა.

– დიდი მადლობა.

* * *

– გამარჯობათ, რეგისტრატურაა?

– დიახ, რეგისტრატურაა. რა გნებავთ?

– იცით, მე პირველად ვარ თქვენს პოლიკლინიკაში და ფორმა № 28 მჭირდება სამსახურში. ამისთვის რა არის საჭირო?

– ჯერ ანკეტა უნდა გაიხსნას და ექიმი უნდა დაგისინჯოთ. შემდეგ კი ექიმი გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ.

– დიდი მადლობა. მაშინ, თუ შეიძლება, ანკეტა გამიხსენით.

– კი ბატონო. თქვენი გვარი?

– გასვიანი გიორგი ოთარის ძე.

– რომელ წელს ხართ დაბადებული?

– 1973 წელს.

– სად სწავლობთ ან მუშაობთ?

– ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, ვარ III კურსზე.

– თქვენ ექიმ სალომე მეტრეველთან ჩაგწერეთ, მასთან შედით მეოცე ოთახში.

– დიდი მადლობა.

გიორგი ექიმთან შევიდა. სალომე მეტრეველი თერაპევტია.

– გამარჯობათ, ქალბატონო სალომე.

– გამარჯობათ.

– მე თქვენი ახალი პაციენტი ვარ. ახლა ფორმა № 28 მჭირდება. რეგისტრატურიდან თქვენთან გამომაგზავნეს.

– კარგით. აი, ფორმა № 28; მაგრამ ჯერ ანკეტა უნდა შეავსოთ. რა დაავადებები გაქვთ გადატანილი?

– ბ-ჰეპატიტი, ექვსი წლის წინ.

– გასაგებია. ბავშვობაში რა ინფექციური დაავადებები გქონდათ?

– წითელა და ყბაყურა.

– რა აცრები გაქვთ ჩატარებული?

– პოლიომიელითის, ტუბერკულოზის, ყბაყურას, ყვავილის საწინააღმდეგო აცრები...

– ოპერაცია გაკეთებული გაქვთ?

– კი, ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე 8 წლის წინ.

– კარგი. აი, ამ ფურცელზე ჩამოწერილია ის სპეციალისტები, ვინც უნდა გაგსინჯონ. ყველასთან უნდა მიხვიდეთ, შემდეგ კი ჩემთან მოხვალთ და დანარჩენს მე შევავსებ.

გიორგი წავიდა. იგი ჯერ ოკულისტთან მივიდა, შემდეგ ლარინგოლოგთან, შემდეგ კარდიოლოგთან, ბოლოს ისევ თერაპევტთან შევიდა.

– აი, ამ ფურცელზე ყველა სპეციალისტმა მოაწერა ხელი.

– მობრძანდით, ძალიან კარგი, სრულიად ჯანმრთელი ყოფილხართ. ახლა მე გაგსინჯავთ.

ფრაზების განმარტება

**ვერ მიმასწავლით?** – იქნებ მიმასწავლოთ?

**დანარჩენი** – რაც დარჩება

**ხელისმოწერა** – საბუთის ბოლოს ინიციალისა და გვარის მიწერა

## საჭირო ფრაზები:

– თავს კარგად ვგრძნობ. არაფერი არ მაწუხებს.

– კუჭი მტკივა. ღვიძლი მაწუხებს.

– თირკმელი მტკივა – ხანდახან წელი მტკივა ხოლმე.

– კარგად ვერ ვხედავ, ახლომხედველი ვარ. მინუს ხუთს ვატარებ სათვალეს.

– მუცელიც მტკივა და თავიც მაწუხებს.

– ტკივილგამაყუჩებელი დალიე!

– ჩემს ბავშვს ბატონები (წითელა, ქუნთრუშა) აქვს.

– გლანდები მაწუხებს. უნდა ამოვიჭრა.

– დიაბეტი აქვს და დიეტაზეა.

– გულში ჩხვლეტას ვგრძნობ.

– გულის არეში ტკივილებს უჩივის.

– საავადმყოფოში უნდა დავწვე გამოკვლევაზე.

– რამდენი ხანია, საავადმყოფოში წევს?

– ოპერაციას უკეთებენ?

– რთული ოპერაცია იყო თუ იოლი?

– ახლა კარგადაა!

5. გაიხსენეთ ადამიანის სხეულის ნაწილები.

## 2. შინაგანი ორგანოები




## 6. ადამიანის ორგანიზმი.

ადამიანის სხეულის წინა მხარეს მკერდი ჰქვია, უკანა მხარეს კი – ზურგ მუცელში მოთავსებულია შინაგანი ორგანოები. ზურგზე გადის ხერხემალი, რომელი შედგება ხერხემლის მალებისაგან. ადამიანის შინაგანი ორგანოებია: გულ ფილტვები, კუჭი, ღვიძლი, საყლაპავი მილი, ნაღვლის ბუშტი, თორმეტგოჯა ნაწლა მსხვილი და წვრილი ნაწლავები, ბრმანაწლავი, თირკმელები. მკერდის მარცხე მხარეს მოთავსებულია გული. თუ ადამიანს მკერდზე ყურს დავადებთ, გულისცემ გავიგონებთ. ფილტვებით ადამიანი სუნთქავს. ავადმყოფი ადამიანი მძიმედ სუნთქავს.

* * *

ელენეს შვილები წინა ზამთარში ავადმყოფობდნენ. ელენეს ვაჟს, ირაკლი ყბაყურა ჰქონდა, გოგონას, პატარა მარიამს კი – წითელა. ელენეს უხაროდა, მათთვ

კარგი გამოკვლევა ჩაეტარებინა, ამიტომ პოლიკლინიკას მიმართა. ბაგრატიც გაჰყვა მათ დასახმარებლად. მან ირაკლი შეიყვანა ექიმებთან, ელენემ კი – მარიამი. ისინი ჯერ რეგისტრატურაში მივიდნენ და ბავშვებს ანკეტები გაუხსნეს. შემდეგ ამ ანკეტებით პედიატრთან შევიდნენ. პედიატრი სასიამოვნო ქალბატონი იყო. მან კარგად გასინჯა ბავშვები, ანკეტაში ჩაწერა ბავშვების მდგომარეობის შესახებ, შემდეგ კი სხვადასხვა სპეციალისტთან გააგზავნა. პირველად თერაპევტთან შევიდნენ. მან გასინჯა ირაკლი და მარიამი, ირაკლის ჰკითხა, ბრმანაწლავი ხომ არ სტკიოდა. აღმოჩნდა, რომ ირაკლის ბრმანაწლავი აწუხებდა. ექიმმა რჩევა მისცა, არ ერბინა და ორ თვეში კიდევ მოსულიყო გასასინჯად. თერაპევტის შემდეგ ლარინგოლოგთან შევიდნენ. პატარა მარიამს ჩირქოვანი გლანდები აღმოაჩნდა და ექიმმა ყელში სავლები ხსნარი დაუნიშნა. ოკულისტმა მხედველობა გაუსინჯა ბავშვებს. აღმოჩნდა, რომ მათ მხედველობის დარღვევა არ ჰქონდათ. თერაპევტმა ანალიზების აღებაც დაავალა. მეორე დღეს ცხრა საათზე ელენემ ანალიზები ჩააბარა.

## ფრაზების განმარტება

**ყბაყურა (წითურა) მოიხადა -**

**გამოკვლევა ჩაიტარა –გამოიკვლია -**

**ანკეტა გახსნა (ანკეტა გაუხსნა) -**

**ჯანმრთელობის მდგომარეობა -**

**რჩევა მისცა / ურჩია , დაარიგა -**

**ჩირქოვანი–ჩირქიანი გლანდები -**

**ავადმყოფობა აღმოაჩნდა -**

**მხედველობა გაუსინჯა -** მხედველობა შეამოწმა

ადამიანებს ხანდახან პრობლემები ექმნებათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ამ დროს ისინი ექიმთან მიდიან, პოლიკლინიკაში ან საავადმყოფოში. ექიმების გულისხმიერებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

## საჭირო ფრაზები:

**ავადმყოფს მაღალი ტემპერატურა აქვს -**

**ექიმმა პაციენტი გასინჯა და წამლები გამოუწერა. -**

**კბილის ექიმთან დიდი რიგი იდგა. -**

**ოპერაცია ორი საათი გრძელდებოდა -**

**ავადმყოფი რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანეს -**

**ღრმად ისუნთქეთ! -**

**მუცელს გაგასინჯავთ -**

**მადა როგორი გაქვთ? -**

**7.**

* * *

— გუშინ დედა დავაწვინე საავადმყოფოში.

— მართლა? რა მოუვიდა?

— აპენდიციტის (ბრმანაწლავის) შეტევა ჰქონდა.

— ოპერაცია გაუკეთეს?

— დიახ, დღეს დილით გაუკეთეს ოპერაცია.

— ახლა როგორ არის?

— კარგადაა. ორ-სამ დღეში გამოწერენ.

— ვინ უვლიდა?

— მე ვუვლიდი, ხვალ ჩემი და მოუვლის.

* * *

— ორი დღეა, სამსახურში ვერ წავედი.

— რატომ, რა მოხდა?

— გრიპი მქონდა.

— მაღალი სიცხით?

— დიახ.

— მერე ვინ გივლიდა?

— ვინ მივლიდა და ჩემი ცოლი მივლიდა, ვის უნდა მოევლო?

— გრიპი ძალიან საშიში დაავადებაა.

— ჰო. თან კბილის ტკივილმაც შემაწუხა.

— ამოსაღებია?

— არა, დასაპლომბი მაქვს და სტომატოლოგთან ვერ მივედი.

— ხომ არ გეშინია?

— რაღა დავიმალო და მეშინია.

— მე ვიცნობ ერთ ძალიან კარგ სტომატოლოგს. არაფერს გატკენს, ისე გაგიკეთებს ყველაფერს.

— ვინაა? სად მუშაობს?

– აღმაშენებლის გამზირზე.
– ხვალვე წავალ. გმადლობ.
– აბა, შენ იცი!

* * *

იმ დილით მწვავე ტკივილმა გამომაღვიძა. კუჭი მტკიოდა. სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახეთ. ათ წუთში მოვიდნენ. გამსინჯეს და გადაწყვიტეს, რომ საავადმყოფოში ვიყავი წასაყვანი. როგორც გამოირკვა, სასწრაფო ოპერაცია იყო გასაკეთებელი. ნარკოზი გამიკეთეს და რომ გამომეღვიძა, ყველაფერი დამთავრებული იყო. ჯერ რეანიმაციის განყოფილებაში ვიწექი, მხოლოდ მეორე დღეს დამაწვინეს პალატაში. ოპერაციის მერე მაღალი სიცხეები და ტკივილები მქონდა, მაგრამ გამაყუჩებელი ნემსი გამიკეთეს და ტკივილები მომეხსნა. დიდხანს მეძინა. კრიტიკულმა პერიოდმა მესამე დღეს გაიარა. მერე უკვე გაცილებით კარგად ვგრძნობდი თავს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი მეუღლე მივლიდა. მნახველები ყოველ წუთში აღებდნენ პალატის კარებს. მოდიოდნენ ჩემი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, თანამშრომლები. ერთ კვირაში გამომწერეს. ყველაფერი კარგად დამთავრდა

# თემა 2
# საყიდლები, ბაზარი, ბაზრობა

## 1. ბაზრობა

ზაურთან და გიორგისთან სტუმრად არიან ზაურის ნათესავი ელენე თავისი ორი შვილით. მათ კარგად დაათვალიერეს თბილისი, ბევრი რამ ნახეს და ბევრი რამ მოეწონათ.

შაბათს დილით ზაური და გიორგი ბაზარში წავიდნენ, იყიდეს ხორცი, ქათამი, ბოსტნეული, მწვანე, ხილი. სადილი ელენემ მოამზადა. სადილად გააკეთა ტოლმა, სალათი, ქათამი შეწვა. დესერტად ხილი და ნამცხვარი ჰქონდათ. სასმელად ჰქონდათ ცოტა ღვინო და ლიმონათი ბავშვებისთვის. სადილი ძალიან ხალისიანად ჩატარდა, იგონებდნენ ნანახს, გეგმავდნენ მომავალს.

კვირა დილით ზაური თავის ნათესავებს ბაზრობაზე გაჰყვა. ბევრი რამე იყიდეს. ელენემ თავისთვის იყიდა ლაბადა და პალტო, მეუღლისთვის – ტყავის ქურთუკი, ბავშვებისთვის – თბილი ფეხსაცმელები, თბილი შარვლები, სვიტრები და ქუდები. ყველაფერი ხარისხიანი იყიდეს და თანაც შედარებით იაფად. ძვირი მხოლოდ პალტო და ტყავის ქურთუკი იყო, გამყიდველთან ფასზე მალე შეთანხმდნენ. ელენე კმაყოფილი იყო ნავაჭრით.

ბაზრობა ბაზრისაგან განსხვავდება. ბაზარში სურსათ-სანოვაგე იყიდება, ბაზრობაზე კი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ადამიანისათვის საჭირო ყველა ნივთი და საგანი. განვითარებულ ქვეყნებში ბაზრისა და ბაზრობის ნაცვლად სუპერმარკეტებია, სადაც ყველაფერი იყიდება. ცენტრალური სუპერმარკეტი კი ძალიან დიდია და მასში ყველაფერია, რაც შეიძლება ადამიანს დასჭირდეს.

### განმარტებანი:

**სავაჭრო ადგილი** – ვაჭრობის ადგილი;

ადგილი, სადაც ხდება ყიდვა-გაყიდვა.

**გამყიდველი** – ის, ვინც ყიდის.

**მყიდველი** -- ის, ვინც ყიდულობს.

**დახლი** — სპეციალური მაგიდა მყიდველისათვის.

**დაბა** — პატარა დასახლებული პუნქტი.

**განვითარებული ქვეყანა** — ქვეყანა, რომელშიც ცხოვრების მაღალი დონეა.

**დროის დაზოგვა** — საქმის გაკეთება მცირე ზდროში და სწრაფად.

**იმ მხარეზე** - იქით

**ამ მხარეზე** - აქეთ

**გასასინჯი ოთახი** — ადგილი, სადაც მყიდველი იცვამს ახალ ტანსაცმელს და ისინჯავს.

**შემყევით** — მასთან ერთად შედით.

**სალარო** — ადგილი, სადაც ფულს იხდიან.

**შინდისფერი** — მუქი წითელი.

2.

სუპერმაკეტი პოპულარი დაარსდა 2007 წელს და ამ დროის განმავლობაში ერთგულად ემსახურება მომხმარებელს

მისია

- ჩვენი მისიაა ვიყოთ ლიდერები ახალციხის რეგიონში.
- ჩვენ ვთავაზობთ ჯანსაღ და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ჩვენს მომხარებელს და ამით ვართ გამორჩეულნი.
- ჩვენი მიზანია მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ კლიენტთა მოთხოვნები და ვიმეგობროთ მათთან.
- ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს მომხარებელთა ჯანსაღ ცხოვრებაზე.
- ჩვენ გვიყვარს ჩვენი მომხარებელები.
- ჩვენ პატივს ვცემთ მათ სურვილებსა და მოთხოვნებს და შესაბამისად ვითვალისწინებთ მათ.
- ჩვენი ძალა ჩვენი ხალხია.

ხედვა

- მყიდველს შევუქმნათ ყველა პირობა და სურვილი, რომ კომფორტულ და სუფთა გარემოში შეიძინოს ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტები.

- ჩვენ დაუღალავად ვზრუნავთ , რათა თითოეული კლიენტი არ დარჩეს უყურადღებოდ და კმაყოფილმა დატოვოს ჩვენი მაღაზია.

**ჩვენი შეთავაზება**

ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია.

- თავაზიანი მომსახურება.
- ხელმისაწვდომი ფასები.
- პროდუქციის ფართო არჩევანი.

**რა უპირატესობით სარგებლობს პოპულარი სხვა სუპერმარკეტებთან შედარებით**

- ეს გახლავთ ერთადერთი სუპრმარკეტი ახალციხეში!
- მომხმარებელს ემსახურებიან სასიამოვნო გარეგნობის და მაღალი ინტელექტის მქონე გოგონები!

**პოპულარი გთავაზობთ:**

- მომსახურების თანამედროვე სტილს!
- მზა უგემრიელეს კერძებს, რომლებიც მზადდება ჩვენსავე სამზარეულოში, სუფთა და კომფორტულ გარემოში!
- სადღესასწაულო და საბავშვო ტორტებს!
- გარანტირებული ხარისხი პოპულარში შეძენილ პროდუქციაზე

3.

ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონში დაიხსნა პირველი უფასო მაღაზია, სადაც არ არის საჭირო ფულის გადახდა რაიმე პროდუქტის შეძენისას. "საქმე ისაა, რომ საქონელი მოდის სხვადასხვა სუპერმარკეტიდან, ანუ ეს ის საქონელია, რომელსაც ვადა გასდის მალე და ვერ ასწრებენ რეალიზებას" – აცხადებს ამ საქველმოქმედო აქციის ავტორი კიმ პატონი.

მაღაზიის ასორტიმენტი თითქმის არ გამოირჩევა ჩვეულებრივი სუპერმარკეტისაგან. აქ არის როგორც ხილი, ასევე სხვადასხვა ცომეული ნაწარმი, ხორცეული და თევზეული

მაღაზია მუშაობს კვირაში ექვსი დღე, დილის 10-დან საღამოს 6 საათამდე. პატონის თქმით მისი ეს იდეა ენთუზიაზმით აიტაცეს სუპერმარკეტის მფლობელებმა და არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში კიდევ გაიხსნება ანალოგიური უფასო მაღაზია სხვა ქალაქებშიც.

4.

"ელიტელი" პირველი მაღაზიათა ქსელია საქართველოში, სადაც წარმოდგენილია მობილური ტელეფონები და ციფრული და კომპიუტერული ტექნიკა, კერძოდ: ფოტო და ვიდეო კამერები, MP3-ფლეერები, კომპიუტერები, ლეპტოპები, აიპოდები, ციფრული ჩარჩო, DVD ფლეერები, პრინტერები, ფოტო პრინტერები, სკანერები, მანქანის სტერეო სისტემები, სხვადასხვა სახის აქსესუარები და ა.შ.

"ელიტელის" მაღაზიათა ქსელი უახლეს ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული, სადაც დაახლოებით 400-მდე სახეობის პროდუქტი საკმაოდ კონკურენტულ ფასადაა წარმოდგენილი და რომლის შეძენაც ნებისმიერი კატეგორიის მყიდველისთვისაა შესაძლებელი. გაყიდვაშია ცნობილი ბრენდების პროდუქცია: Toshiba, Apple, HP, Samsung, Philips, Transcend, Adata, A4tech, Defender, Intel, HTC, Motorola, MSI.

ამჟამად "ელიტელი" საქართველოს მაშტაბით 6 მაღაზიას მოიცავს. აქედან ორი თბილისში, ორი ბათუმში, ერთი ქუთაისში და ერთიც ზუგდიდშია განთავსებული.

მაღაზიათა ქსელი ასევე აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. "ელიტელის" კონცეფციაა - ჯანმრთელი და დინამიური ცხოვრება, შესაბამისად ამ მიმართულებით ბრენდი უახლოეს მომავალში მრავალი პროექტის განხორციელებას გეგმავს. "ელიტელის" მაღაზიათა ქსელი მომხმარებლების წახალისებაზეც ზრუნავს და მათ სხვადასხვა სახის აქციებით ხშირად ანებივრებს. მაღაზიათა ქსელი სამომავლოდ კვლავაც უამრავ სიურპრიზს გვპირდება.

5.

## ინფორმაციას "გუდვილის" გაკოტრებისა და მისი შესყიდვის განხორციელებაზე "პოპულიში" არ ადასტურებენ

### სუპერმარკეტებში გაყიდვები შემცირდა

გლობალური ფინანსური კრიზისი საქართველოში თითქმის ყველა სფეროს შეეხო. ამ ფონზე მსხვილ სუპერმარკეტებში საქონლის რეალიზაცია, მიწოდება და გაყიდვებიც შემცირდა. ბოლო დროს გაჟღერდა არაერთი ინფორმაცია მსხვილი სუპერმარკეტების გაკოტრებასა თუ გასხვისების შესახებ. ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, "პოპულის" პროდუქციის ადგილობრივი მწარმოებლები და იმპორტიორები ფინანსური პირამიდის პრინციპით მოქმედებაში ამხელენ. მიმწოდებლები სავაჭრო ობიექტებიდან გაყიდული პროდუქციის საფასურს ვერ იღებენ. კერძოდ, კომპანია არ ისტუმრებს მომწოდებლების ვალებს და თანხას სხვა ობიექტების გასახსნელად იყენებს. მომწოდებლების "პოპულიდან" გაუსვლელობის ერთ-ერთი მეთოდი კი ის არის, რომ პროდუქციის გასაღება-გაუსაღებლობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, თანხას მაინც ანაზღაურებენ. საუბრობენ "პოპულის" გაკოტრებაზეც. თუ რა მდგომარეობაა "პოპულიში" და როგორ აგრძელებს სუპერმარკეტი მუშაობას, ამის თაობაზე გაზეთი "ბ&ფ" სუპერმარკეტის გენერალურ დირექტორს ბატონ არჩილ მელიქაძეს ესაუბრა. "კრიზისის ფონზე "პოპულიში" გაყიდვები, რა თქმა უნდა, არ გაზრდილა, მაგრამ პრაქტიკულად, გაყიდვების მნიშვნელოვანი კლებაც არ ყოფილა. "კრიზისის გამწვავებამდე გაყიდვები ყოველთვიურად გვეზრდებოდა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ეს რამდენიმე თვეა საქონელზე გაყიდვები არ მატულობს. თუმცა მნიშვნელოვნად არც შემცირებულა. კრიზისის ფონმა ძირითადად შემოსავლები შეგვიმცირა, ამის გამომწვევი მიზეზი კი ისაა, რომ ხალხი უფრო იაფ საქონელს ყიდულობს და შედარებით ძვირისგან თავს იკავებს. გავრცელებული ინფორმაცია ამის შესახებ, რომ "პოპული" კოტრდება ტყუილია", - ამბობს ბატონი მელიქაძე. მისივე განცხადების თანახმად, "პოპულს" მომწოდებლებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, ჩვენ მომწოდებლებს ფული რომ არ გადაგვეხადოთ, პროდუქტს არ მოგვაწვდიან. შესაბამისად, მათთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვაქვს. თქვენ შეგიძლიათ ჩვენს მომწოდებლებს დაუკავშირდეთ და ჩვენს ურთიერთობებზე ჰკითხოთ. ჩვენი კომპანია 8 წელია არსებობს და არც ერთ მომწოდებელთან

პრობლემა ჯერ არ გვქონია. მათ შორის არც "ბაგრატიონთან", რომელზეც ამბობენ, რომ კითომ ფულის არგადახდაზე გვიჩივიან. ჩვენ საკუთარი მოგების ხარჯზე ვფართოვდებით".

"პოპული"-ს წარმომადგენლები უარყოფენ გავრცელებულ ხმებს იმის თაობაზე, რომ აპირებენ ჰიპერმარკეტ "გუდვილის" შეძენას. ჩვენთვის ასევე კულუარული ინფორმაციის დონეზე ცნობილი გახდა, რომ "გუდვილი"-ს გოგი შევარდნაძე, რომელიც დიდხანს სათავეში ედგა სარფის საბაჟოს ასლან აბაშიძის დროს, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ გვარიანად შეავიწროვეს და, როგორც ამბობენ, მის მიმართ გატარდა 2004-2005 წლებისთვის დამახასიათებელი ღონისძიებები (რეკეტი, ჩაწილება და ა.შ.)

ბუნებრივია, "გუდვილში" ასეთ ინფორმაციებს არ ადასტურებენ.

არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, გაყიდვების სტიმულიერბისთვის ჰიპერმარკეტ "გუდვილის" მარკეტინგის სამსახური ცვლილებებზე მუშაობს. "გუდვილში" ფასდაკლების ბარათებისა და საბონუსე სისტემების ამოქმედების სახით. ჰიპერმარკეტი "გუდვილის" პრეს-სამსახურის უფროსმა ნატო დარჩიაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ "ეკონომიკური კრიზისის გამო შარშანდელთან შედარებით, გაყიდვების 20% მოგება დაგვაკლდა. ზრდის იმ ტემპს, რაც დაგეგმილი გვქონდა, ვერ მივაღწიეთ, თუმცა ჩვენ გაყიდვებში სერიოზული კლება არ გვქონია. მტკნარი სიცრუე და არ ვიცი ვისი მხრიდან აგორებული ჭორია, რომ "პოპული" "გუდვილს" ყიდულობს. ჰიპერმარკეტი "გუდვილი" აბსოლიტურად სხვა სტრატეგიის კომპანიაა. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და კომპანიის გაფართოების მიმართულებით ვმუშაობთ".

ჰიპერმარკეტებსაც და სუპერმარკეტებსაც ხელისუფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ აფინანსებს. როცა "პოპული"-ს ქსელი "საქართველოს ბანკმა" შეიძინა, ამის სიმპტომები მაშინვე გამოჩნდა. თუმცა სქემები, რომლებიც მუშაობს, იმდენად დახვეწილია, რომ პირდაპირი ხელშეკრულების დაფიქსირება ჭირს.

თუმცა საქართველო პატარა ქვეყანაა, თბილისი კი არც თუ დიდი ქალაქი და ყველა ყველას ბიზნესის შესახებ კარგად არის ინფორმირებული.

ეს თემა იმითაც არის აქტუალური, რომ მთელს მსოფლიოში კვების პროდუქტებზე ფასები იკლებს, ჩვენს სუპერმარკეტებში კი არა. ესეც მიუთითებს ამ სფეროს მონოპოლიზებისა და ხელისუფლებასთან კავშირზე.

# თემა 3
# სპორტი

## 1. შეჯიბრი ფეხბურთში

დღეს შეჯიბრი ტარდება ჩვენს რაიონში. ერთმანეთს ეთამაშება რაიონში შექმნილი ფეხბურთის ორი გუნდი. პირველი გუნდის წევრები ერთი სამსახურის თანამშრომლები არიან, მეორე გუნდი კი ნაკრებია. ერთ გუნდს „ბოლნისი" ჰქვია, მეორეს კი „მადნეული". მისი წევრები სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანები არიან: ***მშენებლები, მასწავლებლები,*** ერთი ***მხატვარი,*** ერთიც ***შემდუღებელი, მეკარე*** კი მაღაზიის ***გამყიდველია.*** ისინი, მართალია, არაპროფესიონალები არიან, მაგრამ ფეხბურთი ყველას ძალიან უყვარს და კარგადაც თამაშობენ.

ფეხბურთელები ყოველ დღე ვარჯიშობენ სამი ***საათიდან*** ექვს ***საათამდე.*** ისინი ***სამსახურიდან*** ადრე მიდიან. ფეხბურთელები საკმაოდ კარგად თამაშობენ, მათ გულშემატკივრების გახარებაც უნდათ მოგებით. ***შარშანდლიდან*** ისინი უკვე სერიოზულად ვარჯიშობენ. მომავალი ***გაზაფხულიდან*** კი ახლი და კეთილმოწყობილი სავარჯიშო მოედანიც ექნებათ. ისინი აქ ივარჯიშებენ და შეჯიბრსაც ჩაატარებენ.

დღეს შეჯიბრზე თითქმის მთელი ქალაქი იქნება. ახლო ***სოფლებიდანაც*** ჩამოვლენ გულშემატკივრები. ისინი ***ოჯახებიანად*** მოდიან სტადიონზე. მეც ჩემი ***ცოლშვილიანად*** მივდივარ შეჯიბრზე. ჩვენ „ბოლნისის" გულშემატკივრები ვართ. მინდა ამ გუნდმა მოიგოს. თუ ისინი მოიგებენ, მერე შეხვდებიან მარნეულის „თავთავს", იქ გამარჯვებული კი რეგიონის ჩემპიონი იქნება. „ბოლნისის" ***მწვრთნელი*** ჩემი მეგობარია. ის ადრე ფეხბურთს თამაშობდა და პერსპექტიული ფეხბურთელი იყო. მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და თამაშს თავი დაანება. ახლა კი სამსახურის შემდეგ გუნდსავარჯიშებს. თვითონ მას გამარჯვების იმედი აქვს.

ვნახოთ, ვინ მოიგებს!..

# საჭირო ფრაზები

– კარგი მკერავი ხომ არ ვყავს?

– მებაღედ (მეყვავილედ...) მუშაობს.

– მბეჭდავად (მტვირთავად...) მუშაობს.

– მშენებლის ადგილს ვეძებ. მინდა მუშაობა დავიწყო.

– ინჟინრად ვმუშაობდი, მაგრამ წამოვედი –ხელფასი ცოტა მქონდა.

– ძნელი სამუშაოა?

– მთელი დატვირთვით მუშაობ? სრულ განაკვეთზე ხარ? ნახევარ განაკვეთზე ხარ?

– ხელფასი მაღალი გაქვს?

– არა, ახალ სამსახურს ვეძებ.

– ვაკანსია ხომ არ არის თქვენს სამსახურში?

– იქ ორი წელი ვმუშაობდი ხელშეკრულებით. ახლა მუდმივ სამსახურს ვეძებ.

– დიდი ხანია, მანდ მუშაობ?

– არა, არც ისე დიდი ხანია, მაგრამ წამოსვლა მინდა.

– სულ ახლახან დავიწყე აქ მუშაობა და ძალიან მომწონს.

2. განცხადება

ორშაბათს, 3 ნოემბერს, გაიმართება რაიონული გამგეობის სპორტული განყოფილების ინიციატივით მოწყობილი სხდომა თემაზე:

სპორტის პერსპექტივები რეგიონში

სპორტის მასწავლებელთა და მწვრთნელთა დასწრება სავალდებულოა. ასევე დასწრება შეუძლია ყველა მსურველს.

დააკვირდით, როგორაა მიღებული სპორტის წარმომადგენელთა სახელები და დაიმახსოვრეთ. ააგეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

3. სპორტის წარმომადგენლები:

| -ელ | მო - ე | -ოსან | -ისტ- |
|---|---|---|---|
| ფეხბურთელი | მოკრივე | მშვილდოსანი | ჰოკეისტი |
| ხელბურთელი | მოჭიდავე | მძლეოსანი | ბეისბოლისტი |
| კალათბურთელი | მოცურავე | | |
| ფრენბურთელი | მოფარიკავე | | |
| წყალბურთელი | მორაგბე | | |
| | მოჭადრაკე | | |
| | ტანმოვარჯიშე | | |

4.

საქართველოს
იტალიის
ბრაზილიის
არგენტინის
} ეროვნული ნაკრები

დაიმახსოვრეთ:

ნაკრები - აქ: სხვადასხვა გუნდის მოთამაშეები ერთად თამაშობენ.

5. გაეცანით ტექსტს:

## არგენტინამ პარტნიორი იპოვა

ორ ნოემბერს ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრები რუსეთის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა უკვე დაასახელა გუნდის შემადგენლობა:

მეკარეები: რობერტ ასათიანი („დინამო", თბილისი), ალექსანდრე კარტოზია („ტორპედო", ქუთაისი); მცველები: არმენ კოხარიანი („ჯავახეთი", ახალქალაქი)

ზურაბ მაისურაძე („დინამო“, თბილისი), ჯამლეტ კორძაძე („სიონი“, ბოლნისი), არჩილ გაბაძე („დილა“, გორი), **ნახევარმცველები:** ზაურ ფანჩვიძე („ჭყონი“, მარტვილი), სტეფან აზარიანი („ჯავახეთი“, ახალქალაქი), დიმიტრი გელოვანი („ტორპედო“, ქუთაისი), კონსტანტინე კაკიტაძე („ინტერი“, ცაგერი), ჭაბუკი ქირია („დინამო“, ზუგდიდი), ანტონ ინგოროყვა („დინამო“, თბილისი), **თავდამსხმელები:** ილია ჭრელაშვილი („დურუჯი“, ყვარელი), დავით ზედგინიძე („ვარძია“, ასპინძა), მიხეილ ცაგარელი („მთვარე“, თბილისი), თენგიზ შარმანაშვილი („ქსანი“, კასპი).

**დაიმახსოვრეთ: ვულშემატკივარი**

## 6. დიალოგი

– გამარჯობათ, თუ შეიძლება, გურამს სთხოვეთ, მე მისი თანამშრომელი ვარ.

– ახლავე დავუძახებ.

– გამარჯობა გურამ, მე ალი ვარ, შენი თანამშრომელი. სამსახურში რატომ არ დადიხარ?

– ო, გამარჯობა, ალი, კარგია რომ დარეკე. გაცივებული ვარ, სიცხე მაქვს და ვწევარ. რა ხდება სამსახურში?

– სამსახურში ბევრი ახალი ამბავია, გუშინ სხდომაც გვქონდა, ახალი პერსპექტივებია, სპორტის განყოფილების გამგე გამოვიდა მოხსენებით და საინტერესო წინადადებები ჰქონდა.

– მართლა, რა დროს ვარ ავად!.. ძალიან მაინტერესებს ყველაფერი. რა არის ახალი?

– ჩვენს რაიონში ინვესტორები ჩამოვიდნენ და ახალი სპორტული ბაზის მშენებლობა უნდა დაიწყონ. სპორტული ბაზა დიდი იქნება, რესპუბლიკური მნიშვნელობის. აქ გაიმართება სპორტული შეჯიბრებები, სავარჯიშოდ ჩამოვლენ თითქმის ყველა სახის სპორტსმენები – ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოჭიდავეები, მოკრივეები, შენ წარმოიდგინე, მოცურავეებიც. დიდი საცურაო კომპლექსიც უნდა აშენდეს. აშენდება სასტუმროც, სავარჯიშო მოედნები და დარბაზები...

– რა კარგი ამბავი მითხარი!.. ჩვენი მხარე რატომ აირჩიეს?

– აქაური კლიმატის გამო, ზაფხულში ჩვენთან გრილა, გარდა ამისა, ამ რეგიონში ასეთი რამ არ არის და ინვესტორები დაინტერესებულან. მომავალში ტურისტული ცენტრებიც გაიხსნება.

– ძალიან კარგია. ეს მართლა დიდი პერსპექტივაა. მოხსენება რაზე იყო?

– სპორტის განყოფილების უფროსი გამოვიდა და ინვესტორები დაახასიათა, შემდე წინადადებები მოისმინეს რეგიონის სპეციალისტებისაგან.

– ძალიან მინდოდა ამ სხდომაზე დასწრება. კიდევ გაიმართება სხდომა?

– კი, ორ კვირაში ბიზნეს-გეგმას გაგვაცნობენ. გაზაფხულზე კი მშენებლობ დაიწყება. ახლა შენთან საქმე მაქვს: უფროსმა თქვა, რომ სპორტის განვითარების პერსპექტივებზე მოხსენება შენ უნდა წაიკითხო მომავალ სხდომაზე.

–კარგი, მოვამზადებ მოხსენებას. უკვე არა მიშავს, უკეთესად ვარ, ორშაბათს კ სამსახურში მოვალ.

– ძალიან კარგი... მომავალ შეხვედრამდე.

– დიდი მადლობა ახალი ამბებისთვის, კარგად იყავი...

7.

* * *

ბერლინში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე 16 აგვისტო ბირთვის კვრაში ქართველმა სპორტსმენმა – მარიამ ქევხიშვილმა 28 მონაწილე შორის მე-14 ადგილი დაიკავა. მარიამმა ბირთვი 17.95 მეტრზე კრა, მაგრამ ეს შედეგ საკვალიფიკაციო ეტაპის დასაძლევად საკმარისი არ გამოდგა. ფინალურ ეტაპზ გამსვლელ 12 საუკეთესოს შორის მოსახვედრად მარიამს 15 სანტიმეტრი დააკლდ მსოფლიოს ჩემპიონი ახალ ზელანდიელი ვალერია ვილი გახდა (20.44).

## საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლიეს

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზ მძლეოსნობაში ქართველმა სპორტსმენებმა საკვალიფიკაციო ეტაპები ვერ დაძლიე 400 მეტრზე სირბილში ენდრიკ ზილბერშტეინმა საკვალიფიკაციო ეტაპის გარბენ 48.25 წამი ანვენა, რაც 29 მონაწილეს შორის მე-18 შედეგი გამოდგა. ასევე მე-18 ოყ ბადრის ტყორცნაში (44.63 მ.) სალომე რიგიშვილი, ხოლო გიორგი ბელოშვილ ბირთვის კვრაში მართალია პერსონალური რეკორდი დაამყარა (17.36 მ.), მაგრამ მხოლოდ მე-19 ადგილის დასაკავებლად გამოდგა საკმარისი.

ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე სამი ქართველი მძლეოსანი იბრძოლებს

23-26 ივლისს სერბეთის ქალაქ ნოვი სადში მძლეოსნობაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართება, სადაც 50 ქვეყნის სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე გიორგი ბედოშვილი (ბირთვის კვრა), სალომე რიგიშვილი (ბადროს ტყორცნა) და ენდრიკ ზილბერშტეინი (400 მ) წარმოადგენენ. ქართველი სპორტსმენები ჩემპიონატში 23 ივლისიდან ჩაერთვებიან.

## ქართველმა მძლეოსნებმა ისრაელში იჩემპიონეს

1-2 ივლისს ისრაელის დედაქალაქ - თელ-ავივში გამართულ ღია ჩემპიონატზე მძლეოსნობაში საგანგებო მიწვევით მყოფმა საქართველოს ნაკრების წევრებმა3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 110 მეტრზე თარჯრბენში დავით ილარიანმა, შუბის ტყორცნაში როსტომ ჭინჭარაულმა და ბირთვის კვრაში ზურაბ გიგაიამ პირველი ადგილები დაიკავეს.

## ილარიანი სარაევოში პირველია

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში დასრულდა ევროპის მესამე ლიგის გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომლის მეორე დღეს - 21 ივნისს 110 მეტრზე თარჯრბენში პირველი ადგილის მოპოვება დავით ილარიანმა შეძლო. ილარიანმა დისტანცია 14.02 წამში დაფარა და საქართველოს ჩემპიონატზე პირველი უმაღლესი ადგილი მოუტანა. გუნდურ ჩათვლაში, საბოლოო ჯამში, საქართველოს ნაკრები მე-9 პოზიციაზე დარჩა 227 ქულით, ჩემპიონატის გამარჯვებული კი ისრაელის ნაკრები გახდა 401.5 ქულით.

## მძლეოსნებმა 1 მეორე და 3 მესამე ადგილით დაიწყეს

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში მიმდინარე მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე (მე-3 ლიგა) პირველ დღეს - 20 ივნისს ქართველმა სპორტსმენებმა 20 დისციპლინაში მიიღეს მონაწილეობა და 1 მეორე და 3 მესამე ადგილების დაკავება შეძლეს. მე-2 ადგილი ბადროს ტყორცნაში სალომე რიგიშვილმა დაიკავა, მე-3 საპრიზო ადგილებზე კი ზურაბ გიგაია (ბირთვის კვრა), ბოლესლავ ჩხირტლაძე (სიგრძეზე ხტომა) და ენდრიკ ზილბერშტეინი (400 მ) გავიდნენ. პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში საქართველო მე-9 ადგილზეა 110 ქულით.

## ქართველი მძლეოსნები ევროპის ჩემპიონატისათვის მზად არიან

საქართველოს ნაკრები მძლეოსნობაში ბოსნიის დედაქალაქ სერაევოში 20- ივნისს ევროპის მესამე ლიგის გუნდურ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას, სადა პირველობისათვის ერთმანეთს 13 ქვეყანა შეეჯიბრება. საქართველოს 32 კაციან დელეგაცია სარაევოში სტამბულის გავლით 18 ივნისს ჩაფრინდა და ქალაქი გარეუბანში, სასტუმრო "ტერმში" დაბინავდა. ევროპის გუნდური ჩემპიონატ სარაევოს ოლიმპიურ სტადიონ "კოშევოზე" მძლეოსნობის 40 სახეობაში ჩატარდება. მძლეოსნებმა ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს ჩემპიონები გაარკვიეს 6-7 ივნისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ლი ჩემპიონატი ჩატარდა მძლეოსნობაში, სადაც მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვ რეგიონის 250-მდე სპორტსმენის გარდა, ისარელის მძლეოსნობის ნაკრების წევრებმაც მიიღეს. მთლიანობაში, ჩემპიონატი საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა და რამდენიმე საინტერესო შედეგიც დაფიქსირდა.

## მძლეოსნობაში საქართველოს ჩემპიონატი განახლებული ინვენტარით ჩატარდება

6-7 ივნისს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მძლეოსნობაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონის 250 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატი განახლებული, "ნორდიკის" ფირმის ინვენტარით ჩატარდება, რომელიც საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ ტურნირის დაწყებამდე შეიძინა.

## ქუთაისელი მძლეოსნების პრიზზე

ქუთაისმა გამოჩენილი ქუთაისელი მძლეოსნობის - ილია ჩირიკაშვილის, იური კოზელსკის და რამაზ ქობულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ღია პირველობას უმასპინძლა, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 100-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირი ქუთაისის მძლეოსნობის 319-ე სპორტული სკოლის ორგანიზებით და ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალო თანადგომით ჩატარდა. ტურნირს მხარში საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციაც ამოუდგა.

# თემა 4

# მოგზაურობა, არდადეგები, შვებულება; განცხადებები

## 1. განცხადების ნიმუში:

ბოლნისის რაიონის

საგადასახადო სამსახურის უფროსს,

**ბატონ ელდარ მამედოვს**

გთხოვთ, მომცეთ კუთვნილი შვებულება 12 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე.

საგადასახადო სამსახურის ინსპექტორი

**ელზა ნიაზოვას**

---

**„ევროტური" და „ეგზოტური" გთავაზობთ კარგ დასვენებას.**

**მოგვმართეთ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი # 15.**

**ტ. 23-15-05**

---

„ევროტური" და „ეგზოტური" გეპატიჟებათ სამოგზაუროდ მსოფლიოს ხვადასხვა ქვეყანაში. გთავაზობთ სწრაფ და იდეალურ მომსახურებას. კარგი ასვენება, ცხოვრება საუკეთესო სასტუმროში, ქვეყნის ღირსშესანიშნაობების ათვალიერება კომფორტული ავტობუსებით და ბევრი სხვა საინტერესო სიურპრიზი.

2. დიალოგი:

- ელენე!
- ო, ანა, გამარჯობა! როგორა ხარ?
- კარგად.
- რამდენი ხანია, არ მინახავხარ!
- ჰო, დიდი ხანი არაა, რაც ჩამოვედი.
- სად იყავი?
- ზაფხულში შევებულება არ ამიღია და ახლა გამოვიყენე: „ევროტურის“ სამოგზაურ ხაზით ვიყავი და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვიმოგზაურე. ეს ახალი ფირმა ყველას ვურჩევ, ამ ფირმას დაუკავშირდეს. კარგადაც დავისვენე და ბევრ საინტერესო რამეც ვნახე. თბილისიდან პრაღაში ჩავფრინდით და ორი დღე ი გავატარეთ. კარგად დავათვალიერეთ ქალაქი. შემდეგ რომში გადავედით. ხუთ დღის მანძილზე იტალიის რამდენიმე ქალაქში ვიყავით. იტალიის შემდეგ საფრანგეთში გადავედით. პარიზში 4 დღე გავატარეთ. ეიფელის კოშკზე ავედი იქიდან პარიზს გადმოვხედე. ეს დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა! ბევრი სურათ გადავიღეთ. საფრანგეთის რამდენიმე ქალაქში ვიყავით.
- ესპანეთში? ესპანეთში იყავით?
- არა, ესპანეთში არ წავსულვარ. ესპანეთი ამ ტურში არ შედიოდა.
- ერთი ეს მითხარი, მოგზაურობა რა ჯდება?
- შენ წარმოიდგინე, არც ისე ძვირი. ევროპის 4 ქვეყანაში 20 დღის მანძილზე და ეს ყველაფერი თავისი მომსახურებით – 1000 ევრო. მე მგონი, ძალიან ძვირი არ უნდა იყოს, ხომ?
- არა, ძვირი მართლაც არაა. შეიძლება მეც ვიფიქრო ზაფხულისთვის, თან რაღაც თანხასაც ველოდები და ამაზე უკეთესში რაში შეიძლება დახარჯო!
- ძალიან გამიხარდა, რომ გნახე. კიდევ დაგიკავშირდები, დაგირეკავ კიდეც და გნახავ კიდეც.
- ჰო, კარგი. აბა, ნახვამდის.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტებები:

**არგად გამოიყურები** – კარგი გარეგნობა გაქვს, სასიამოვნო შესახედავი ხარ.

**აოცრად კარგად** – ძალიან კარგად.

**რა ჯდება?** – რა ღირს?

**ვრილმანი** – პატარა და უმნიშვნელო ინფორმაცია.

## 3. აეროპორტში

ზაურის თანამშრომელი ნოდარი საზღვარგარეთ მიდის სტაჟირებაზე. მან კონკურსში გაიმარჯვა და ახლა ერთი წელი ისწავლის და იმუშავებს კალიფორნიაში. ნოდარმა კარგად იცის ინგლისური ენა, ლაპარაკობს რუსულად და გერმანულად. აეროპორტში მას ოჯახის წევრები და თანამშრომლები აცილებენ.

ნოდარს ორივე მიმართულების ბილეთი აქვს აღებული. ერთი თვის წინ საელჩოში შეიტანა საბუთები. ჯერ კონსულს შეხვდა, მერე კონსულის თანაშემწეს. გაიარა გასაუბრება და საზღვარგარეთ გასასვლელი პასპორტიც აიღო. ნოდარს ვიზა გაუფორმეს. მას ამერიკის გარდა, კანადაშიც შეუძლია გასვლა. ნოდარს ძალიან უყვარს მოგზაურობა და ბევრი რამის დათვალიერებას აპირებს.

ახლა ისინი აეროპორტში არიან. ნოდარს ორი ჩემოდანი და ხელბარგი – პატარა ჩანთი აქვს. ჩემოდნები უნდა ჩააბაროს, ხელბარგს კი თან შეიტანს თვითმფრინავში. მაგრამ მანამდე მან ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია უნდა შეავსოს.

გარეთ ცივა, ღრუბლიანი ამინდია, მაგრამ ფრენა ალბათ არ გადაიდება. მეგობრები და ოჯახის წევრები თვითმფრინავის გაფრენას დაელოდებიან და მშვიდობიან მგზავრობას უსურვებენ ნოდარს.

## 4. სასტუმროში

– გამარჯობათ! ეს სასტუმროა?

– დიახ, სასტუმროა. ვინ გნებავთ?

– თუ შეიძლება ადმინისტრატორს დამაკავშირეთ. მასთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

– ადმინისტრატორი გასულია, რამდენიმე წუთში იქნება, მაგრამ მე შემიძლი გიპასუხოთ.

– მაინტერესებს, თქვენს სასტუმროში როგორ ***იჯავშნება*** ნომერი?

– ვისთვის გნებავთ დაჯავშნა?

– ხუთ კაციანი დელეგაცია ჩამოდის ინგლისიდან, ორი ჩემს ბინაში იქნება, სამი კი – სასტუმროში. მე წინასწარ მინდა ნომრების დაჯავშნა.

– ყველაფერს გეტყვით, როგორ ***კეთდება***. ***იწერება*** მონაცემები, მოიტანთ ჩვენთან, **ი** ***გადაეცემა*** ადმინისტრატორს, შემდეგ ***ივსება*** სპეციალური ბანკი და ყველაფერი **ე** შევა კომპიუტერში. ნომერი ასე ***იჯავშნება***. თქვენ რა დროისთვის გინდათ დაჯავშნა?

– მომავალი კვირისთვის.

– მონაცემები კვირის ბოლოს ***იკრიბება***. კარგი იქნება, თუ მონაცემები მალ ***გამოიგზავნება***. შეგიძლიათ მონაცემების ინტერნეტით გამოგზავნა. იცით ჩვენ მისამართი?

– დიახ, მისამართი ვიცი და ინტერნეტით გამოგიგზავნით.

– რამდენი ნომერი გინდათ?

– ერთი ორკაციანი ნომერი და ერთი – ლუქსი.

– გასაგებია. ველოდებით თქვენგან მონაცემებს.

– დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.

– კარგად ბრძანდებოდეთ.

# საჭირო ფრაზები

– ძალიან მინდა სამოგზაუროდ წასვლა. ეს ჩემი ოცნებაა!

– ტურისტული საგზურით მივდივარ ევროპაში.

– ბილეთები აიღე? რა ღირდა ბილეთი? გზა იქით-აქეთ რა ჯდება?

– თუ შეიძლება, დამიჯავშნეთ ბილეთები.

– ვიზა გამოგიგზავნეს? ტრანზიტული ვიზა გჭირდება?

– ორ კვირაში მივფრინავ. ყველაფერი მოვაგვარე.

– საელჩოში გასაუბრება უნდა გავიარო. კონსულთან მომიწევს შესვლა.

– ყველაზე მეტად რის ნახვა გინდა მოგზაურობისას?

– რომელ ქვეყანაში მოგზაურობაზე ოცნებობ?

– საბაჟო დეკლარაცია გარკვევით შეავსე, თორემ არ ჩაიბარებენ.

– როგორი შთაბეჭდილებებით ჩამოხვედით უცხოეთიდან?

– იაფი ქვეყანაა თუ ძვირი?

– რა დაათვალიერე? რის დათვალიერება გინდოდა?

– ფული გადაცვალე? რამდენი ევრო მიგაქვს?

– ვიზა ბარათი გახსენი ბანკში და ფულს იმით მიიღებ ხოლმე – ასე უფრო იოლია!

– უკან როდის ბრუნდები? აეროპორტში დაგხვდებით.

5.

* * *

– როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ, კარგ ***დროს ატარებ*** სოფელში?

– კი, აქამდე კარგ ***დროს ვატარებდი***, ახლა კი წვიმები დაიწყო და მოვიწყინეთ.

– არა უშავს, ამინდები გამოვა და ისევ კარგ ***დროს გაატარებ***.

– მართლა კარგი ***დრო გავატარე***, ასე კარგად დრო ჩემს სიცოცხლეში *არ გამიტარებია*.

– კარგია კარგი ცხოვრება! შვებულება ყოველთვის კარგად ***უნდა*** *გაატარო*.

* * *

ად ***მიდიხარ?*** – ნანა მეძახის და ***მივდივარ.***

გუშინ სად *მიდიოდი?* – გუშინ მეგობართან ***მივდიოდი.***

ვალ სად *წახვალ?* – ხვალ თეატრში ***წავალ.***

გუშინ სამსახურიდან ადრე *წახვედი?* მე დაგირეკე და არ იყავი.

– არა, ადრე ***არ წავსულვარ***, იქვე გავედი.

– ჰო. სამსახურიდან ადრე ***არ უნდა წახვიდე***, ვინ იცის, ვის როდის დასჭირდები...

* * *

– დღეში რამდენს ***ხარჯავ***? – რა ვიცი, ხან რამდენს ***ვხარჯავ***, ხან რამდენს.

– მე ადრე 10 - 20 ლარს ***ვხარჯავდი*** დღეში.

– აი, ახლა ნამდვილად ვიცი, ხელფასს რომ ავიღებ, ერთ დღეში სუ ***დავხარჯავ***.

– გუშინ მეც ბევრი ***დავხარჯე***, 25 ლარი დავტოვე მაღაზიაში.

– გუშინ ბევრი ***არ დამიხარჯავს***, მაგრამ რად გინდა, დღეს დავხარჯ სამაგიეროდ ორი დღის...

– ასე ბევრი არ ***უნდა დახარჯო***, თორემ თვის ბოლომდე არ გვყო ხელფასი.

* * *

– შენი გოგონა სად ***სწავლობს***?

– შარშან თბილისში ***სწავლობდა***, წელს კი ახალციხეში გადმოვიყვანე.

– ახლა აქ ***ისწავლის***? რამდენი წელი ***ისწავლა*** თბილისში?

– დიდხანს ***არ უსწავლია***, ერთი წელი ისწავლა.

– ჰო, რა მნიშვნელობა აქვს სად ისწავლის, მთავარია კარგად ***უნდა ისწავლოს***.

## საჭირო ფრაზები

**გვერდში (მხარში) ამოდგომა** – დახმარება.

**გრძელი დღე არა აქვს** – დიდხანს ვერ იცოცხლებს.

**გრძელი ენა აქვს** – ბევრი ლაპარაკი იცის.

**გუდა-ნაბადი აიკრა** – წავიდა, გაიქცა.

**გულზე არ ახატია** – არ უყვარს, არ მოსწონს

**გულზე ლოდი აწევს** – დარდიანია, სევდიანია, მოწყენილია.

**გული არ აქვს** – ცუდი ადამიანია, ბოროტია.

**გული ეუბნება** – წინასწარ გრძნობს, ხვდება.

**გული უკვდება** – განიცდის, ძალიან აწუხებს რამე.

**გული შესტკივა** – ეცოდება, მასზე ზრუნავს.

**გულიდან ამოიგდო** – დაავიწყდა, შესძულდა.

არდადეგები სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებსა აქვთ, შვებულება – მოსამსახურეებს. ბავშვებს ძალიან უხარიათ სასკოლო არდადეგები, განსაკუთრებით ზაფხულის არდადეგები, რაც მთელი სამი თვე გრძელდება.

* * *

**ზაფხულის არდადეგები ივნისიდან იწყება.**

**ზამთრის არდადეგები ორი კვირა გრძელდება.**

**შვებულების ნაწილს მთაში გავატარებ, მერე ზღვაზე წავალ.**

* * *

– როდის გეწყება არდადეგები?

– მაისის ბოლოს.

– მერე სად მიდიხარ?

– სად მივდივარ და სოფელში.

– იქ ვინა გყავს?

– ბებია და პაპა მყავს.

– მთელი ზაფხული იქ უნდა იყო?

– აგვისტოს თვემდე.

– აგვისტოში სად მიდიხარ?

– ზღვაზე მივდივარ.

– შენებიც მიდიან?

– რა თქმა უნდა, ყველანი ერთად მივდივართ.

* * *

– შვებულებას როდის იღებ?

– ზამთარში.

– იანვარში?

– არა, თებერვალში.

— მერე სად მიდიხარ?

— გუდაურში.

— თხილამურებით უნდა ისრიალო?

— ჰო, ძალიან მიყვარს თხილამურები.

— რამდენდღიანი შვებულება გაქვს?

ორკვირიანი.

— ცოლ-შვილიც თან მიგყავს?

— რა თქმა უნდა, მიმყავს.

— როდის მიდიხარ?

— ხუთში.

— აბა, ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!

— გმადლობ.

* * *

— გამარჯობა, რა კარგია, რომ გნახე!

— გამარჯობა. მეც მიხარია, რომ შეგხვდი. როგორ ხართ?

— კარგად, არა გვიშავს, თქვენ?

— ჩვენც კარგად. როდის გადიხართ ქალაქიდან?

— ალბათ ერთ კვირაში.

— ზაფხულში სად დაისვენებთ?

— ალბათ ჯერ მთაში, შემდეგ კი ზღვაზე წავალთ.

— მთაში სად?

— ჩვენს სოფელში. სოფელი გვაქვს ქვემო ქართლში, მთიანი სოფელია. ბავშვებისთვის მთის ჰაერი ძალიან სასარგებლოა.

— სოფელში მდინარე არის?

— მდინარე ცოტა შორსაა. მაგრამ სოფელში პატარა ღელე ჩამოდის ბავშვები მიდიან და ბანაობენ. წყალი ცივია, ღელე კი მთისაა და ჩქარია. ერ ადგილას ჩანჩქერია. წყალი დიდი სიმაღლიდან ვარდება და ძალიან ლამაზია.

— ზღვაზე როდის წახვალთ?

— აგვისტოს მეორე ნახევარში.

7.

* * *

შვებულებას, ჩვეულებრივ, ზღვაზე ვატარებ. მთელი ოჯახი მივდივართ ბათუმში. საკმაოდ სუფთა ზღვაა, მაგრამ ხანდახან ჭოროხს ისეთი მღვრიე დინება შემოაქვს, ბანაობა შეუძლებელია. ისე, ღელვა იშვიათად იცის.

წელს უფროსმა ბიჭმა ისწავლა ცურვა, პატარა კი კამერით ცურავდა. ბიჭებს ძალიან უყვართ ზღვა, გარუჯვითაც მშვენივრად ირუჯებიან.

ხანდახან ბულვარშიც მივდიოდით. ბათუმს ულამაზესი ბულვარი აქვს. უამრავი ხალხი სეირნობს იქ.

საერთოდ, ბათუმი კოხტა და ლამაზი ქალაქია, გულისხმიერი და თბილი ხალხი ცხოვრობს.

აგვისტოს ბოლოს უკვე თბილისი გვენატრება, ჩვენი მშობლიური ქალაქი; ვალაგებთ ბარგს და მომავალ შეხვედრამდე ვემშვიდობებით ჩვენს მასპინძლებს.

8.

## აეროპორტი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 18 კილომეტრითაა დაშორებული ქალაქის ცენტრიდან და საათში 2 000 მგზავრის მომსახურება შეუძლია.

აეროპორტთან დაგელოდებათ ტაქსი და ავტობუსები, რომლებიც პირდაპირ ქალაქში წაგიყვანთ. ტაქსის ღირებულება ცენტრამდე 15 აშშ დოლარამდეა. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრამდე მისვლას 37 ნომერი ავტობუსითაც შეძლებთ, რომელიც დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე (12 წუთიანი ინტერვალე-ბით) მოძრაობს. ავტობუსის მარშრუტია: რკინიგზის სადგური - თამარ მე-ფის გამზ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - მელიქიშვილი ქუჩა - რუსთა-ველის გამზ. - ბარათაშვილის ქუჩა - წამებულის გამზ. - შავი ზღვის ქუჩა - ჯორჯ ბუშის ქუჩა - კახეთის გზატკეცილი - აეროპორტი.

აეროპორტის რკინიგზის სადგური 70 კილომეტრითაა დაშორებული თბილისის რკინიგზის სადგურს. მგზავრობის ხანგრძლივობა 25 წუთია და 2 ლარი ღირს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 18 კილომეტრითაა დაშორებული ქალაქის ცენტრიდან და საათში 2 000 მგზავრის მომსახურება შეუძლია.

აეროპორტთან დაგელოდებათ ტაქსი და ავტობუსები, რომლებიც პირდაპირ ქალაქში წაგიყვანთ. ტაქსის ღირებულება ცენტრამდე 15 აშშ დოლარამდეა. გარდა ამისა, ქალაქის ცენტრამდე მისვლას 37 ნომერი ავტობუსითაც შეძლებთ, რომელიც დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე (12 წუთიანი ინტერვალე–ბით) მოძრაობს. ავტობუსის მარშრუტია: რკინიგზის სადგური - თამარ მე–ფის გამზ. - გმირთა მოედანი - ვარაზისხევი - მელიქიშვილი ქუჩა - რუსთა--ველის გამზ. - ბარათაშვილის ქუჩა - წამებულის გამზ. - შავი ზღვის ქუჩა - ჯორჯ ბუშის ქუჩა - კახეთის გზატკეცილი - აეროპორტი.

აეროპორტის რკინიგზის სადგური 70 კილომეტრითაა დაშორებული თბილისის რკინიგზის სადგურს. მგზავრობის ხანგრძლივობა 25 წუთია და 2 ლარი ღირს.

## სასტუმრო "გუდაური"

ოთხვარსკვლავიანი საერთაშორისო სასტუმრო „გუდაური" სრულადაა უზრუნველყოფილი კონფერენციების ჩატარებისა და დასვენებისთვის საჭირო პირობებით: რესტორანი, ბუხრიანი ბარი, ბისტრო, ღამის კლუბი, დასვენების ზონა, 2 დახურული ჩოგბურთის კორტი, საცურაო აუზი, საკონფერენციო დარბაზი, 4 სხდომათა დარბაზი, სავაჭრო ზონა, თხილამურების გაქირავება და პირველი სამედიცინო დახმარების ცენტრი.

სასტუმროში 122 ნომერია, მათ შორის 78 დიდი ზომის ნომერი (ლუქსი, ნახევრად ლუქსი და დელუქსი) და 44 ორადგილიანი სტანდარტული ნომერი.
სასტუმროს მთავარი რესტორანი 200 კაცზე სადღესასწაულო სადილის გამართვის საშუალებას იძლევა. მომსახურებაში შედის საუზმე, ლანჩი და სადილი „შვედური მაგიდის" პრინციპით. ამასთან. წინასწარი დაკვეთით შესაძლებელია სპეციალური მენიუს ორგანიზება. ბუხრიანი ბარი, ბისტრო და ღამის კლუბი სტუმრებს ემსახურება დილის 11 საათიდან გვიან ღამემდე (5 საათამდე). სპორტის მოყვარულებს ელოდება 2 დახურული ჩოგბურთის კორტი, აუზი, საუნა, მაგიდის ჩოგბურთი,

ბოულინგი, ალპინისტის კედელი, თხილამურების გაქირავება. საკონფერენციო მომსახურების საშუალებები იდეალურია სემინარების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებისთვის საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე.
სასტუმროში არის საკონფერენციო დარბაზი (80-100 კაცზე), მცირე საკონფერენციო დარბაზი (30 კაცზე) და 3 სხდომათა დარბაზი. საკონფერენციო დარბაზები და

მთავარი დარბაზები უზრუნველყოფილია უფასო უსადენო ინტერნეტით. სასტუმროს შეუძლია უზრუნველყოს აპარატურა სინქრონული თარგმანისთვის, რომელიც 60 მონაწილეზეა გათვლილი.

წინასწარი მოთხოვნით შესაძლებელია დამატებითი მომსახურების ორგანიზება. გვაქვს ხუთი (3 და 4-ადგილიანი) კომფორტული საბაგირო, რომელიც ავსტრიული კომპანია ოპპელმაყერ-ის მიერაა შექმნილი.

# თემა 5

# საქართველოს ისტორიის შესახებ

## 1. ქართველთა უძველესი ისტორია

ქართულ მატიანეში - „ქართლის ცხოვრება“ შედის ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც კავკასიელი ხალხის წარმოშობის შესახებ ამგვარ ცნობას გვაწვდის: ბიბლიური ნოეს შთამომავალი იყო თარგამოსი, იაფეტის ძმისწული. იგი დიდი გმირი ყოფილა. ბაბილონის გოდოლის მშენებლობისა და ენების წარმოშობის შემდეგ თარგამოსი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით კავკასიაში წამოვიდა და აქ დამკვიდრდა. იგი 600 წელი ცხოვრობდა და მისი შთამომავლობა მეტად გამრავლდა. უამრავ შვილს შორის გამოირჩეოდნენ ქართლოსი, ჰაოსი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასი, ეგროსი...

ქართლოსი ქართველთა წინაპარი იყო, ჰაოსი – სომეხთა, ლეკოსი – ლეკთა და ასე შემდეგ. ამათგამ მოდის ყველა კავკასიელი ერი. ქართლოსის შთამომავლები საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ. ქართველებს თავდაპირველად ჰყავდათ ერის მმართველები, რომლებსაც მამასახლისები ეწოდებოდათ. მამასახლისი განიხილავდა ყველა საქმეს და წყვეტდა ადამიანებისა და ხალხის ბედს. შემდგომში კი მამასახლისობა გაუქმდა და ერისმთავრობა ანუ მეფობა დაწესდა. მეფე ქვეყნის ერთპიროვნული გამგებელი იყო, იგი მართავდა ქვეყანას, კრებდა ჯარს, აცხადებდა ომს ან დებდა ზავს. ეს ყოველივე ქრისტეს დაბადებამდე, ანუ ძველი წელთაღრიცხვის ხანაში იყო.

საქართველოს ტერიტორიაზე ორი დიდი სამეფო ჩამოყალიბდა: ეგრისისა და იბერიის სამეფო.

### სიტყვების და ფრაზების განმარტება:

**გვაწვდის** – გვეძლევა;

**მატიანე** – ისტორია;

**შემდგომში** – მერე;

**ერთპიროვნული გამგებელი** – ქვეყნის ერ-

თხზულება – ნაწარმოები;

წარმოშობა – გაჩენა;

მრავალრიცხოვანი – ბევრი, მრავალი.

დამკვიდრდა – დასახლდა;

გამრავლდა – ბევრი გახდა;

თავდაპირველად – პირველად, ჯერ;

მმართველი – ის, ვინც მართავს;

ლაშქარი – ჯარი;

რეფორმა ჩაატარა – ბევრი რამ შეცვალა; თადერთი მმართველი;

ომის გამოცხადება – ომის დაწყება;

ზავის დადება – ომის დამთავრება რაიმეზე შეთანხმებით;

დინასტია – სამეფო ხელისუფლება;

მიწურულს – ბოლოს;

ძმისწული – ძმიშვილი;

სახელმწიფო რეფორმა – ცვლილებები სახელმწიფოს მართვაში;

## 2. ვახტანგ გორგასალი

ვახტანგ გორგასალი ქართლის მეფე იყო ახალი წელთაღრიცხვით V საუკუნეში, დაახლოებით 40-იანი წლებიდან 502 წლამდე. იგი დიდი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი იყო. „გორგასალი“ სპარსული სიტყვაა და „მგლისთავას“ ნიშნავს. ვახტანგ გორგასალი ბრძოლისას მუზარადს ატარებდა, რომელსაც მგელი ჰქონდა გამოსახული; ეს სახელიც ამიტომ დაარქვეს. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი ირანელების წინააღმდეგ იბრძოდა ქართლის გასათავისუფლებლად. მისი მიზანი იყო ქვეყნის ცენტრალიზაცია და შეუზღუდავი სამეფო ხელისუფლების შექმნა.

ექვსი წლის ვახტანგი დაობლდა, სამეფოს მართვა დედამისმა ითავა, მაგრამ მტრებმა ისარგებლეს ძლიერი მეფის არარსებობით და ქართლს შემოუტიეს. ვახტანგი 15 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე და ქართლის მტრების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. მტრები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ვახტანგმა გააძლიერა კავშირი კონსტანტინეპოლთან, დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიელ ჰუნებს და დაიწყო ბრძოლა ირანელების წინააღმდეგ. ქართლთან ერთად ირანელების წინააღმდეგ აჯანყდნენ სომხეთი და ალბანეთი. აჯანყების პირველ წელს ირანელები განდევნეს ქართლიდან. აჯანყებულ ქართველებს შეუერთდნენ სომხები ვარდან მამიკონიანის მეთაურობით. ქართველ-სომეხთა ლაშქარი მტერს შეებრძოლა და აიძულეს ისინი, დაეთმოთ აჯანყებულებისათვის.

ვახტანგ გორგასლის მეფობისას საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია ანუ დამოუკიდებლობა. მას სათავეში ჩაუდგა ქართველი კათალიკოსი.

ვახტანგ გორგასალი სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მოწამლული ისრით დაიჭრა და გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში. ვახტანგ გორგასლის ცხოვრება აღწერილია ისტორიკოს ჯუანშერის წიგნში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს დაიწყო თბილისის მშენებლობა, სადაც იგი აპირებდა სატახტო ქალაქის გადატანას. თბილისის მშენებლობა მისმა ძემ – დაჩიმ გააგრძელა. თბილისი საქართველოს დედაქალაქი გახდა.

## სიტყვების და ფრაზების განმარტება:

**მუზარადი** – რკინის თავზე დასაფარებელი, ადამიანი ბრძოლის დროს რომ არ დაიჭრას.

**გამოსახული** – ზედ დახატული, ზედ ამოკვეთილი.

**ქვეყნის ცენტრალიზაცია** – ქვეყნის გაერთიანება ერთი ცენტრის გარშემო.

**შეუზღუდავი სამეფო ხელისუფლება** – ძლიერი მმართველობა, როცა მეფეს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს ყველაფერი.

**დაობლდა** – მშობლებიდან ერთ-ერთი გარდაიცვალა (ან გარდაიცვალა ორივე).

**ითავა** – თავის თავზე აიღო.

**ისარგებლეს არასებობით** – ისარგებლეს იმით, რომ არ არსებობდა.

**გააძლიერა კავშირი** – უფრო კარგი კავშირი დაამყარა.

**აჯანყება** – ბრძოლა მმართველის წინააღმდეგ.

**ავტოკეფალია** – დამოუკიდებლად არსებობის უფლება.

## 3. თამარ მეფე

საქართველოს ისტორიულ წარსულში საპატიო ადგილი უჭირავს სამ გმირ ქალს: წმ. ნინოს, თამარ მეფეს და ქეთევან დედოფალს. თითოეულმა მათგანმა თავდადებული მოღვაწეობით უდიდესი ამაგი დასდო ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურულ დაწინაურების საქმეს. ნინომ ქართველები მოაქცია ქრისტიანულ

რწმენაზე და ამ გზით საქართველო დაუახლოვდა იმდროინდელ დაწინაურებული ხალხების კულტურულ-იდეოლოგიურ სამყაროს. თამარმა საქართველოს მოუპოვა დიდი პოლიტიკური ძლიერება და გავლენა, ქეთევანმა გვიჩვენა ხალხისა და რწმენისათვის თავგანწირვის დიადი მაგალითი.

გიორგი III სიცოცხლეშივე აიყვანა 1179 წელს სამეფო ტახტზე თავისი ასული თამარ (ვაჟი მას არ ჰყავდა). სამეფო ტახტზე ქალის ასვლა და მეფობა იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო, საქართველოში კი პირველ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. თამარის თანამოსაყდრედ დასმის შედეგად გიორგი III მხურვალე მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში, მან 1179 წელს მოიწვია საგანგებო საკანონმდებლო კრება, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამოეფხვრა იმ დროს საქართველოში გავრცელებული ქურდობა და ავაზაკობა. ამ საკანონმდებლო კრებამ ასეთი ბოროტმოქმედებისათვის დააწესა მკაცრი სასჯელი—ჩამოხრჩობა, რომელიც საზოგადოების ყველა წოდებაზე ვრცელდებოდა.

1184 წელს გარდაიცვალა მეფე გიორგი III და საქართველოს მეფედ დაჯდა თამარ (1184-1214 წ.). გამეფებისთანავე თამარმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს. თამარმა მიზნად დაისახა შეექმნა ძლიერი მონარქია და გაეგრძელებინა თავისი მამის პოლიტიკა. თამარმა სწორედ ამაში გამოიჩინა ნებისყოფის სიმტკიცე, დიდი პოლიტიკური ნიჭი და დიპლომატიური გამჭრიახობა.

თამარის შეუღლების საკითხს მაშინ ეძლეოდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში ეძებდნენ ძლიერ და გავლენიან სახელმწიფოს უფლისწულებს, რომ შეუღლების საშუალებით შეეკრათ ერთმანეთთან სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიური კავშირი. ამასთანავე, რელიგიურ რწმენასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და ყოველთვის ეძლეოდა ერთმორწმუნე სახელმწიფოს უფლისწულებს.

აბულასანის წინადადებით გადაწყვიტეს თამარის მეუღლედ მოეწვიათ რუსეთის მთავრის, ანდრია დიდი ბოგოლუბსკის (ღვთის მოყვარის) შვილი, გიორგი, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა ყივჩაყებში ქალაქ სუნჯში.

მალე გიორგი რუსი ჩამოიყვანეს საქართველოში, მაგრამ თამარი ფრთხილობდა. დიდებულნი მოითხოვდნენ ქორწილის დაჩქარებას და მიზეზად ტახტის მემკვიდრის უყოლობას ახსენებდნენ. მეტი გზა აღარ იყო და თამარმაც დიდის ზეიმით იქორწინა. მაგრამ თამარს და გიორგის შორის ჩქარა დაიწყო განხეთქილება და შინაური ბრძოლა. თამარის კარის ისტორიკოსი ამაში ბრალსა სდებს გიორგი რუსს, რომელსაც იგი ახასიათებს უარყოფითად და ამბობს, რომ იგი იყო თამარისათვის

შეუფერებელი მეუღლე, რომელსაც აკლდა პოლიტიკური ნიჭი, გამოცდილება და ტაქტიკა. ამასთანავე იგი ეწეოდა უდარდელ ცხოვრებას, დროს ატარებდა სმაში და ნადირობაში. ამის გამო თამარსა და მისი მომხრე დიდებულს არ მოსწონდათ გიორგი რუსის ქცევა და გადაწყვიტეს მისი მოშორება.

1187 წელს გიორგი რუსი საქართველოდა განდევნეს კონსტანტინეპოლში. თამარმა ამით ისარგებლა, და სავაზიროს დაუკითხავად შეირთო მისთვის სასურველი პიროვნება ოსთა უფლისწული დავით სოსლანი, რომელიც არ აცხადებდა არავითარ პრეტენზიებს საქართველოს სამეფო ტახტზე. იგი იყო თამარის ერთგული მეუღლე და თავის ვაჟკაცობით და გულადობით იცავდა თამარის მონარქიულ უფლებებს. მათ იქორწინეს დიდუბეში. გიორგი რუსისა და მისი მომხრე მეამბოხე დიდებულების დამარცხების შემდეგ თამარს არ მოელოდა შინაური საფრთხე. ახლა მოეპოვებინა პოლიტიკური ძლიერება და გავლენა საგარეო საქმეებშიაც, იგი შეუდგა ლაშქრობათა მოწყობის თადარიგს, რასაც ეძლეოდა უაღრესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. საქართველოს სამხედრო ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ მეზობელი ქვეყნები ახლა თამარს სთხოვდნენ დახმარებასა და მფარველობას.

ძლიერი იყო თამარის პოლიტიკური გავლენა დასავლეთით მოსაზღვრე საბერძნეთის ქვეშევრდომ ქვეყანაზე. თამარმა აქ შექმნა ცალკე ტრაპეზონის სამეფო, რომელიც იმყოფებოდა საქართველოს მეფის მფარველობაში.

თამარ მეფემ XII საუკუნეში მართლაც შეძლო შეექმნა საკმაოდ ძლიერი მხედრობა, რომლის შიშით არა ერთმა მთავარმა, ამირამ და სულტანმაც აღიარა საქართველოს ყმობა და იკისრა მისი მეხარკეობაც.

თამარის ბრძნული პოლიტიკის წყალობით საქართველოს ფეოდალური მონარქია ტერიტორიულ გაფართოებასთან ერთად აწარმოებდა აქტიურ პოლიტიკას კავკასიაში, მცირეაზიაში ა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

თამარმა შესძლო საგარეო და შინაური მშვიდობიანობის დამყარება და იგი მტკიცედ იცავდა თავის სახელმწიფოებრივ უფლებებს. მან ფეოდალურ არისტოკრატიისაგან შექმნა ისეთი ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელმაც ერთგული და თავდადებული სამსახურით მოუპოვა მას პოლიტიკური ძლიერება და გავლენა.

თამარის მეფობის დროს საქართველო ეკონომიკურადაც დაწინაურდა.

თამარის მეფობაში დიდვაჭართა წარმომადგენელნი სახელმწიფოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ამ წრიდან ირჩევდნენ ქალაქის ბჭეს და დესპანებს.

საქართველოს XII საუკუნეში გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდა არაბებთან, სპარსეთთან და საბერძნეთთან.

ამ საგარეო ვაჭრობასთან გაცხოველდა შინაური აღებ-მიცემობა, იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც იყიდებოდა ადგილობრივი ნაწარმი. ბაზარზე ტრიალებდა ქართული ფული, თამარის დროს იჭრებოდა სპილენძის ფული, რომელზედაც ერთ მხარეზე ამოჭრილია „თამარ". მეორეზე არაბულად აწერია: „დედოფალი დედოფალთა, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა თამარ ასული გიორგისა შედეგი მესიისა".

XII საუკუნეში ხელოსნობა ჩვენში საკმაოდ იყო დაწინაურებული, რასაც მოწმობს იმდროინდელი შესანიშნავი ძეგლები: სამთავისისა და ნიკორწმინდის ტაძარი, ბეთანიის მონასტერი, განსაკუთრებით ვარძია, რომლის აშენება დაიწყო გიორგი III და დაამთავრა თამარმა, ვარძია იშვიათი ძეგლია, იგი გამოჭრილია კლდეში და შეიცავს სამასამდე ოთახს.

ოქრომჭედლები აკეთებდნენ ძვირფას ხატებს, ჯვრებს, სამკაულებს და სხვა. მაშინ ცხოვრობდნენ სახელგანთქმული ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარნი.

ქართულმა ფეოდალურმა მონარქიამ თავისი პოლიტიკური ძლიერების ხანაში შესძლო შექმნა საკმაოდ მაღალი კულტურა. ჯერ კიდევ თამარის დრომდის დაწინაურდა მწერლობის სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით ფილოსოფიური აზროვნება, რომლის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ: იოანე პეტრიწონელი, ეფრემ მცირე, არსენი იყლთოელი და იოანე ტარიჭის-ძე. იოანე პეტრიწონელი იყო გამოჩენილი ნეოპლატონიკოსი და ნეოპლატონურ ფილოსოფიურ აზროვნებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

რაინდული მიჯნურობა და რომანტიკა ახასიათებდა ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიასაც. მით უმეტეს, რომ ქართველები კარგად იცნობდნენ იმდროინდელ არაბ-სპარსულ საგმირო და სააშიკო მწერლობის ნიმუშებს, როგორიც იყო შაჰნამე, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, ლეილ-მაჯნუნიანი და სხვა.

ამ თხზულებათა გაცნობამ ხელი შეუწყო ჩვენში საერო მწერლობის აღორძინებას.

## 4. ენის ფუნქციები

ენის საშუალებით გამოვხატავთ აზრებს. ენის ამ ფუნქციას, რომელიც აზრის გამოხატვაში მდგომარეობს, ეწოდება ექსპრესიული ანუ გამომხატველობითი ფუნქცია.

აზრის გამოხატვა თავისთავად ნიშნავს ურთიერთობას ინდივიდთა შორის. ენის ამ ფუნქციას ეწოდება საკომუნიკაციო ფუნქცია. კომუნიკაცია გულისხმობს მინიმუმ ორ ინდივიდს მაინც, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ინფორმაციის გადამცემს (მოლაპარაკე), ხოლო მეორე – ინფორმაციის მიმღებს (მსმენელი).

ენა მხოლოდ აზრის გამოხატვისა და მისი გადაცემის უბრალო საშუალება არ არის. იგი აზრის წარმომქნელი საშუალებაცაა.

აზროვნების დანაწევრება ცნებებად ხორციელდება ბგერების საშუალებით. ერთი ცნება რომ მეორისგან იყოს განსხვავებული, საჭიროა ისინი, პირველ რიგში, ბგერობრივად იყვნენ განსხვავებული.

ენა ანაწევრებს ბგერით გამოხატულებებს ცალკეულ ბგერებად ანუ ფონემებად და მათი სხვადასხვა კომბინაციით გამოხატავს სხვადასხვა ცნებას.

ყოველი ენა შედგება ბგერების ანუ ფონემებისაგან, რომელთა რიცხვი თითოეულ ენაში მერყეობს 10-დან 80-მდე. 10-15 ფონემა გვაქვს ზოგიერთ პოლინეზიურ ენაში, ხოლო 80 ფონემა – ზოგ კავკასიურ ენაში.

ადამიანი რომ სოციალური არსება არ იყოს, მას არც ენა ექნებოდა, რადგანაც ენის მოთხოვნილება არ ექნებოდა. ენა არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში, სადაც უჩნდება ადამიანს ურთიერთგაგებინების მოთხოვნილება და საჭიროება. ენისათვის საზოგადოება წარმოადგენს იმას, რასაც ფიზიკური სხეულისთვის სივრცე. არ არსებობს ენა საზოგადოების გარეშე, ისევე როგორც საზოგადოება არ არსებობს ენის გარეშე. ენის საჭიროება ჩნდება იქ, სადაც კომუნიკაციის მოთხოვნილება ჩნდება. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ საკომუნიკაციო ფუნქცია ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. სწორედ ამ პროცესში (კომუნიკაციის პროცესში) ხდება ადამიანის წარმოდგენებისა და ცნებების სიტყვებად გარდაქმნა და ამ გზით მეორე ადამიანთან ურთიერთობის დამყარება.

ორმა ადამიანმა ერთმანეთთან კავშირი რომ დაამყაროს, ამისათვის საჭიროა ისინი ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ.

კომუნიკაციის მიზანია ურთიერთგაგებინება, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ორი ინდივიდი იყენებს ერთსა და იმავე ენობრივ სისტემას.

ადამიანი სოციალურ არსებად რჩება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი მარტო რჩება საკუთარ თავთან. მონოლოგშიც იმავე ენას ვიყენებთ, რომელსაც დიალოგის შემთხვევაში მივმართავთ.

აზრი რომ გამოვხატოთ, იგი ჯერ სათანადო ენობრივ ყალიბში უნდა მოვაქციოთ. ორივე ამ ფუნქციას ენა ასრულებს. იგი კიდეც ანაწევრებს (აყალიბებს) აზროვნებას და კიდეც გამოხატავს მას. ამდენად, დანაწევრებითი და გამომხატველობითი ფუნქციები არც ეწინააღმდეგება ერთმანეთს და არც დაიყვანება ერთმანეთზე.

ის გარემოება, რომ ენა წარმოადგენს აზრის წარმომქმნელ ორგანოს, არ ნიშნავს ენისა და აზროვნების იგივეობას. ენა და აზროვნება სხვადასხვაა.

ენა პირობითი სისტემაა. მის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი ჩვენ გვეძლევა არა უშუალოდ, არამედ ცალკეული სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების, ანუ, ტექსტების სახით. ყოველი ტექსტის მიღმა დგას გარკვეული ენა, რომელზე დაყრდნობითაც წარმოქმნილია ეს ტექსტი. ტექსტი ყოველთვის გარკვეულ ენას გულისხმობს.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება:

**ექსპრესიული -**

**გამომხატველობითი ფუნქცია -**

**აზრის გამოხატვა -**

**თავისთავად ურთიერთობა ინდივიდთა შორის -**

**საკომუნიკაციო ფუნქცია -**

**კომუნიკაცია გულისხმობს მინიმუმ ორ ინდივიდს მაინც ...**

**წარმოადგენს -**

ინფორმაციის გადამცემი -

ინფორმაციის მიმღები

აზრის წარმომქნელი საშუალება -

აზროვნების დანაწევრება

ცნება -

ცნებებად ხორციელდება -

ბგერობრივად -

ენა ანაწევრებს ბგერით გამოხატუ-ლებებს ცალკეულ ბგერებად -

ფონემა -

კომბინაცია -

სოციალური არსება -

ენა არსებობს მხოლოდ საზოგადოებაში ურთიერთგაგებინების მოთხოვნილება -

არ არსებობს ენა საზოგადოების გარეშე -

საჭიროება ჩნდება -

წარმოდგენებისა და ცნებების სიტყვებად გარდაქმნა -

ურთიერთობის დამყარება ... თან

ენობრივი სისტემა -

სოციალური არსება - მარტო რჩება საკუთარ თავთან

მონოლოგი -

დიალოგი -

ენობრივი ყალიბი -

დანაწევრებითი -

გამომხატველობითი - დაიყვანება ერთმანეთზე -

აზრის წარმოშქმნელი ორგანო - ბირობითი სისტემა -

მის დამახასიათებელ თვისებას

წარმოადგენს...

უშუალოდ

რომელზე დაყრდნობითაც... -

# თემა 6
# დღესასწაულები საქართველოში

1. გამორჩეულ დღეს ქართულად „დღესასწაული" ჰქვია. არსებობს რელიგიური და სამოქალაქო დღესასწაულები.

**2. ყურადღება მიაქციეთ ამ სიტყვის განმარტებას:**

**სასწაული** – არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული, საკვირველი, დიადი რამე.

**დღესასწაული** – რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული ზეიმი, რაც ყოველთვის წლის ერთსა და იმავე დროს იმართება: დღე, დრო, როდესაც ეს ზეიმი მოდის – საზეიმო დღე.

3.

ყველა ქვეყანას აქვს ტრადიციული, რელიგიური და სამოქალაქო დღესასწაულები. ყველა დღესასწაული თავისებურად აღინიშნება.

## ახალი წელი

ახალი წელი ყველაზე დიდი სამოქალაქო დღესასწაულია. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები ახალი წლის დადგომას 1 იანვარს დღესასწაულობენ. ამ დღეს ყველა ოჯახში მხიარულება, ლხინი, იმედიანი განწყობილებაა. ადამიანები ერთმანეთს ულოცავენ, უსურვებენ წარმატებებს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიკეთეს, მშვიდობას, ყოველივე კარგს.

## აღდგომა

უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული. აღდგომის დღესასწაული ერთ კვირას გრძელდება – ესაა ნათელი კვირა. სააღდგომო სიმბოლო – წითელი კვერცხი აღნიშნავს ადამიანის სახსნელად ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს და მარადიულ სიცოცხლეს (კვერცხი).

## დამოუკიდებლობის დღე

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა. 1918 წელს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს დღესასწაული კვლავ განახლდა. 1991 წლიდან 26 მაისს აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

ეს ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო დღესასწაულია ერისთვის.

## ფერისცვალება

ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული, აღინიშნება 6 (19) აგვისტოს. ამ დღეს ქრისტემ თავისი მოწაფეების წინაშე ფერი იცვალა და თავისი ღვთაებრივი ბუნება გამოავლინა. ეს მოხდა ძე-ღმერთის მიწიერი ცხოვრების ბოლო წელს, როცა სასწაულებითა და ქადაგებებით ქრისტემ თავისი ღვთაებრიობა დაამტკიცა. ქრისტემ თან წაიყვანა სამი მოწაფე – პეტრე, იაკობი და იოანე, აიყვანა ისინი მაღალ მთაზე და აჩვენა მათ ღვთიური ბრწყინვალებით.

## მარიამობა

მარიამ ღვთისმშობლის დიდი დღესასწაული, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეროვნული სახე მიეცა, რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა – მარიამ ღვთისმშობელს აქ უნდა გავრცელებინა ქრისტიანული სარწმუნოება. მან ამ მიზნით აქ გამოგზავნა თავისი

ხატი. მარიამობის დღესასწაულს ანუ ღვთისმშობლობას საქართველოში განსაკუთრებულად აღნიშნავენ 28 აგვისტოს.

### გიორგობა

ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული დღესასწაული საქართველოში. წმინდა გიორგი გმირი წმინდანია, რომლის სახელზეც საქართველოში უამრავი ეკლესიაა აგებული. იგი მიჩნეულია შუამავლად ღმერთსა და ადამიანებს შორის. გიორგი იყო კაბადოკიელი დიდებული, მამაცი მეომარი, საქართველოსთან დაახლოებული მხარის გამგებელი. როცა იმპერატორმა დიოკლიტიანემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, გიორგი ქრისტიანთა ბურჯად იქცა. რვადღიანი წამების შემდეგ მას თავი მოჰკვეთეს. წმინდა გიორგი საქართველოს მფარველად ითვლება. გადმოცემის თანახმად, მოწამის 365 ნაწილად დანაწევრებული სხეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოუბნევიათ და სადაც წმინდა ნაწილი მოხვდა, ყველგან ეკლესია აუგიათ. აქედან არის გამოთქმა: „365 წმინდა გიორგის მადლი შეგეწიოსო". ხალხის რწმენა და სიყვარული ამ წმინდანისადმი ყველა სფეროში აისახა. მასზე შეიქმნა ლეგენდები, თქმულებები, ლექსები, ხატები, ჯვრები, ფრესკები, მინანქარი... გიორგობა აღინიშნება 23 ნოემბერს.

## 4. გრაფიკული და კინეტიკური ენები

არაბგერითი ენებია: დამწერლობითი ანუ გრაფიკული ენა, ჟესტ-მიმიკის ენა ყრუ-მუნჯებისა, მორზეს ანბანი და სხვ.

რა მიმართება შეიძლება იყოს ბგერითსა და არაბგერით ენებს შორის?

საკომუნიკაციო და გამომხატველი ფუნქცია აქვს არაბგერით ენებსაც. დამწერლობით, მაგალითად, ჩვენ ვაწარმოებთ ინფორმაციის გადაცემას შორ მანძილზე. სადაც ბგერითი ენა ვერ გამოდგება: ყრუ-მუნჯები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ ჟესტებითა და მიმიკით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჟესტ-მიმიკის ენა საკომუნიკაციო სისტემაა.

გრაფიკული ენა დანაწევრების წესების მიხედვით ბგერით ენას მისდევს. მაგალითად, ქართული სამწერლობო ენაა და ამიტომ ჩვენ გვაქვს არამარტო ბგერითი

სამწერლო ენა, რომელსაც მეტყველების პროცესში ვიყენებთ, არამედ გრაფიკული ქართული ენაც, რომელსაც წერის დროს ვხმარობთ. გრაფიკული ქართული ენა შეიცავს იმავე სიტყვებს, რაც ბგერით ქართულ ენაში გვაქვს, ე. ი გრაფიკულ ქართულ ენაში იგივე ცნებები გამოიხატება, რაც ბგერით ქართულ ენაში. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ბგერით და გრაფიკულ ენებს შორის სომხურში ინგლისურში, რუსულში და სხვა ენებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ აზროვნების დანაწევრების წესი გრაფიკულ ენას ბგერითი ენიდანა აქვს აღებული (ნასესხები). თუ ბგერით ენაში არა გვაქვს ესა თუ ის ცნება, მაშინ ის არც გრაფიკულ ენაში გვექნება.

დამწერლობა ბგერითი ენისაგან სესხულობს აზრებს უკვე დანაწევრებული, მზამზარეული სახით, ამიტომ მას აღარ სჭირდება ხელახალი დანაწევრება და არც აქვს ამის შესაძლებლობა.

ენაში გამოყოფენ ორ სხვადასხვა სტრუქტურას, ორ სხვადასხვა პლანს — შინაარსისა და გამოხატულების პლანებს. შინაარსის პლანს ქმნის ენის მნიშვნელობათა (ცნებათა) სისტემა, ხოლო გამოხატულების პლანს — ფონემათა სისტემა.

დამწერლობას შინაარსის პლანი ბგერითი ენისა აქვს; განსხვავება გვაქვს მხოლოდ გამოხატულების პლანში, რომელიც დამწერლობას საკუთარი აქვს და რომელიც ქმნის კიდევაც განსხვავებას ბგერით ენასა და დამწერლობას შორის.

ამრიგად, დამწერლობას თავისთავად არა აქვს უნარი არც შინაარსისა და არც გამოხატულების პლანის დანაწევრებისა. იგი მათ იღებს დანაწევრებული სახით.

ასეთივე მდგომარეობაა ყრუ-მუნჯების ენაშიც. ამიტომაა, რომ ყველა არაბგერითი (დამწერლობის) ენა დაიყვანება ბგერით ენაზე. ბგერითი ენა წარმოადგენს საფუძველს ყველა სხვა ენისთვის.

საკუთარი შინაარსის პლანი არა აქვს არც კინეტიკურ (ჟესტიკულაციისა და მიმიკების) ენას, რომელიც ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალებაა ყრუ-მუნჯებისთვის. მაგრამ როგორც დამხმარე საშუალება, ნორმალურ ადამიანებშიც გამოიყენება. კინეტიკურ ენასაც საკუთარი მხოლოდ გამოხატულების პლანი აქვს.

გრაფიკული, კინეტიკური და სხვა ამგვარი სისტემები დანაწევრების პრინციპს ემყარებიან, რაც მათ ცხოველის ენისაგან განასხვავებს. მაგრამ რადგანაც დანაწევრების წესები ბგერითი ენისაგანა აქვთ აღებული, ისინი განსხვავდებიან არა მარტო ცხოველის ენისაგან, არამედ ბგერითი ენისგანაც.

ბგერითი ენა უნიკალური მოვლენაა როგორც ცხოველების ენასთან, ისე გრაფიკულ, კინეტიკურ და სხვა ტიპის ენებთან მიმართებაში.

ასე რომ, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, ბგერითსა და არაბგერით ენებს შორის განსხვავება მაინც არსებითი ხასიათისაა.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება:

**არაბგერითი ენები -**

**გრაფიკული ენა -**

**ჟესტ-მიმიკის ენა -**

**მეტყველების პროცესში ვიყენებთ -**

**ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს...**

**ნასესხები -**

**მზამზარეული სახით -**

**ხელახალი დანაწევრება -**

**სტრუქტურა -**

**ქმნის განსხვავებას -**

**იღებს დანაწევრებული სახით -**

**წარმოადგენს საფუძველს -**

**კინეტიკური ენა -**

**დანაწევრების პრინციპს ემყარებიან -**

**უნიკალური მოვლენა -**

## 5. ახალი წლის ნატვრები:

ახალი წლის წინ ყოველთვის ბევრი ნატვრა მაქვს. ახალი წელი განსაკუთრებული დროა, ბევრი რამ უნდა *ნაიფიქრო*, *ნაიწერო* და მერე *ნახო*, აგიხდა თუ არა. მე ასეთი წესი მაქვს: ახალი წლის წინ, სამ-ოთხი დღის მანძილზე, ჩემს სურვილებსა და ოცნებებს ფურცელზე ვიწერ, მერე ამ ფურცელს დავკეცავ, ლამაზ კონვერტში ჩავდებ და მეორე ახალ წლამდე ვინახავ. ახალი წლის წინ ამ კონვერტს გავხსნი და ვნახავ, შარშანდელი ოცნებებიდან რა ამიხდა და რა – არა. რაც არ ამიხდა და ისე ოცნებად დამრჩა, ახალ „ოცნებების ფურცელზე" დავწერ, რაც ამიხდა, იმისთვის კი ღმერთს მადლობას შევწირავ. აი, ესაა ჩემი ტრადიცია, თუ გნებავთ თქვენც ასე გააკეთეთ, ეს ძალიან სახალისოა და თან ძალიან საინტერესო.

ოცნებებიც ხომ ჩვენთან ერთად იზრდებიან და იცვლებიან... აი, ჩემი ერთი წლის ოცნებები:

– ნეტავ ამ წელს ყველა ოცნება *ამიხდეს*!

– ნეტავ ყველა ჩემიანი ჯანმრთელად *იყოს*!

-- ნეტავ ჩემს ქვეყანაში ყველაფერი უკეთესობისაკენ *შეიცვალოს*!

– ნეტავ ქვეყანაზე ომი არ *იყოს*!

– ყველა ბავშვი ბედნიერად *აგრძელებდეს* სიცოცხლეს!

– ნეტავ ჩემს ბიძაშვილს ამ წელს ბიჭი *შეეძინოს*!

– ნეტავ ამ წელს დისერტაციას *დავამთავრებდე*!

– ნეტავ არასოდეს არაფერში არ *შევცდებოდე*!

– ნეტავ ამ წელს სამოგზაუროდ *წავიდოდე*!

– ნეტავ ყველამ *იცოდეს* რა ძვირფასია სიცოცხლე და ადამიანები ერთმანეთს *უფრთხილდებოდნენ*!

– ადამიანებს მადლიერების გრძნობა მუდამ *ჰქონოდეთ* და უმადურობა არ *ეგრძნოთ*!

– ჩემი ძმა კარგად იყოს და რაც *უნდოდეს*, *სრულდებოდეს*!

– მამაჩემს ამ წელს წიგნი *დაემთავრებინოს* და ახლი *დაეწეროს*!

– ნეტავ ჩემს დეიდაშვილს ამ წელს ცოლი *მოეყვანოს* და მისი და *გათხოვილიყოს*!

# საჭირო ფრაზები

– გილოცავთ ქრისტეშობას!

– ქრისტე აღდგა!

– ჭეშმარიტად!

– გილოცავ ახალ წელს, ბედნიერებას გისურვებ!

– მეც გილოცავ! სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება დაგბედებოდეს!

– უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს!

– გფარავდეთ უფალი!

– გილოცავ დამოუკიდებლობის დღეს!

– მშვიდობა ყოფილიყოს ქვეყანაზე!

– დღეს ფერისცვალებაა, გილოცავთ!

– მრავალს დაესწარით!

– წმინდა გიორგის ძალა გფარავდეს!

6.

* * *

– ახალ წელს ყველა ქვეყანაში დიდი *ზეიმი იმართება*.

– ადრე 1 მაისს დიდი *ზეიმი იმართებოდა*, ახლა *ალარ* იმართება.

– 23 ნოემბერს თბილისში დიდი *აღლუმი გაიმართება*.

– *აღლუმი გაიმართა* წელსაც, 23 ნოემბერს.

– შარშანწინ *აღლუმი არ გამართულა*.

– მე ძალიან მიყვარს აღლუმების ყურება, ნეტავ წელსაც დიდი *აღლუმი გაიმართოს*!

* * *

– კანონებს საქართველოს პარლამენტი *ამტკიცებს*.

– კანონებს ყოველთვის პარლამენტი *ამტკიცებდა*.

– ამ კანონს ალბათ ორ თვეში დაამტკიცებენ.

– ეს კანონი შარშან *დაამტკიცეს* პარლამენტზე.

– რამდენიმე კანონი წინა სესიაზე *არ დაუმტკიცებიათ*.

– ეს კანონები პარლამენტმა *უნდა დაამტკიცოს*.

* * *

– *გილოცავ* ახალ წელს!

– ახალ წელს ყოველთვის მე *ვულოცავდი*. წელს საზღვარგარეთ ვიყავი და ვერ მოვულოცე.

– ხვალ შენთან მოვალ და დაბადების დღეს *მოგილოცავ*.

– მაპატიე, აქ არ ვიყავი და დაბადების დღე ვერ *მოგილოცე*.

– მაპატიე, დაბადების დღე რომ არ *მომილოცავს* შენთვის, ახლა გილოცავ.

– დღეს აუცილებლად უნდა მივიდე და დაბადების დღე უნდა *მივულოცო*.

* * *

– *გისურვებ* დიდხანს სიცოცხლეს!

– ყოველთვის *გისურვებდი* დიდ ბედნიერებას და ახლაც ამას გისურვებ!

– მე ყველაფერი კარგი *გისურვე* და ღმერთმა აგიხდინოს!

– ასე ბევრი რამ სხვა დროს *არ მისურვებია* შენთვის და ღმერთმა აგიხდინოს ყველაფერი კარგი!

– *მინდა გისურვო* ჯანმრთელობა და ბედნიერება!

* * *

– ახალ წელს ვისთან ერთად *ატარებ*?

– ყოველთვის ოჯახთან ერთად *ვატარებდი* და ახლაც მათთან ერთად *გავატარებ*.

– არასოდეს ახალი წელი ოჯახის გარეშე არ *გამიტარებია*.

– ახალი წელი ოჯახთან ერთად უნდა *გაატარო* და მერე სადაც გინდა იქ წახვალ!

# თემა 7
# გადასახადები

1. დიალოგი:

– გამარჯობათ.

– გამარჯობათ. ვინ ბრძანდებით?

– მე თქვენი ახალი ინკასატორი ვარ, გადასახადის ქვითარი მოგიტანეთ. ელექტროენერგიის საფასური ამ ქვითრით უნდა გადაიხადოთ ბანკში.

– რომელ ბანკში უნდა გადავიხადო და როდის?

– თქვენი რაიონის რომელიმე ბანკში, ერთ-ერთი ბანკის მისამართი და ტელეფონი ქვითარზე წერია. რაც შეეხება გადახდის დროს, ამ თვის 15-მდე აუცილებლად უნდა გადაიხადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტროენერგია შეგიწყდებათ.

– გასაგებია. მთლიანად უნდა გადავიხადო გადასახადი თუ შეიძლება გადასახადის ნაწილი გადავიხადო?

– სასურველია მთლიანად გადაიხადოთ გადასახადი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში შეგიძლიათ გადასახადის ნაწილი დაფაროთ.

– ძალიან კარგი, აუცილებლად გადავიხდი.

– 15 რიცხვის შემდეგ შემოწმებაზე მოვალთ, გადასახადი მანამდე უნდა დაფაროთ.

– გასაგებია.

– კარგად ბრძანდებოდეთ!

– კარგად იყავით.

### სიტყვებისა და ფრაზების განმარტება

**შეღავათი გადასახადში** - ნაწილ-ნაწილ გადახდა

**გადასახადის ქვითარი** – ელ. ენერგიის ქვ.

**წინააღმდეგ შემთხვევაში** -

**გამონაკლის შემთხვევაში** -

**გადასახადის დაფარვა** -

**გადასახადის ნაწილობრივ დაფარვა -**

**გადასახადის ქვითარი -**

**წინააღმდეგ შემთხვევაში -**

**გამონაკლის შემთხვევაში -**

**გადასახადის დაფარვა -**

## 2. დიალოგი ბანკში

– გამარჯობათ. გადასახადი მინდა გადავიხადო და სად მივიდე?

– რა გადასახადის გადახდა გნებავთ?

– ელექტროენერგიის, გაზის, ტელეფონის და ინტერნეტით სარგებლობის.

– ყველა გადასახადის გადახდა ერთ ადგილას არ შეგიძლიათ. ელექტროენერგიის გადასახადს ბანკში გადაიხდით, ასევე ბანკში შეიძლება გადაიხადოთ ბუნებრივი აირის გადასახადი, ხოლო ტელეფონის გადასახადი სატელეფონო სადგურში უნდა გადაიხადოთ. ასევე იქ გადაიხდით ინტერნეტით სარგებლობის გადასახდას.

– გმადლობთ ინფორმაციისთვის, მაგრამ მე ახლა სამსახურიდან ვარ გათავისუფლებული და ამდენი დრო არა მაქვს. თან აქ დიდი რიგია, ხომ ვერ მირჩევთ რა გავაკეთო?

– ელექტროენერგიის გადასახადი შეგიძლიათ აქვე ჩემთან გადაიხადოთ, გაზიც აქვე გადაიხადეთ. დანარჩენს კი ჩვენ არ ვიღებთ და ჯერჯერობით ვერ დაგეხმარებით, მაგრამ ერთ თვეში ჩვენი ბანკი სიახლეს გთავაზობთ: ერთი თვის შემდეგ შესაძლებელი იქნება ყველა გადასახდი ბანკში გადაიხადოთ, გარდა ამისა, თუ ჩვენი მეანაბრე ხართ, ან ჩვენთან გახსნით ანგარაიშს, მაშინ ყველა გადასახადს ანგარიშიდან დაგიქვითავთ.

– მართლა, რა კარგი იქნება, გადასახადის გადახდაც არ დამაგვიანდება. სამსახურში ძალიან დატვირთული ვარ და ხანდახან ვერც ვახერხებ გადასახადის გადახდას. ამ ახლაც დამაგვიანდა გადახდა და ელექტროენერგია გამომირთეს. გადახდიდან რამდენი ხნის მერე ჩამირთავენ?

– გადახდიდან ორ საათში მონაცემები გადაიგზავნება და ისინი დღის ბოლომდე ჩაგირთავენ.

– ძალიან დიდი მადლობა დახმარებისათვის და კარგი ინფორმაციისათვის. მე თქვენი მეანაბრე ვარ, ხელფასიც ბანკში მერიცხება და დაქვითვის ფორმა ძალიან კარგი იქნება ჩემთვის.

– ერთ თვეში მობრძანდით და ყველაფერში გაგარკვევთ.

– დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება

**ბუნებრივი აირის გადასახადი -**

**სამსახურიდან გათავისუფლებული -**

**დიდი რიგი -**

**ხომ ვერ მირჩევთ, რა გავაკეთო? -**

**ხომ ვერ მირჩევთ, როგორ მოვიქცე? -**

**ჯერჯერობით**

**დაქვითვა -**

**ხელფასიდან დაქვითვა -**

**გადახდიდან რამდენი ხნის მერე... -**

**დიდი მადლობა დახმარებისათვის -**

**დაქვითვის ფორმა -**

**ყველაფერში გაგარკვევთ -**

## 3. გადასახადები

ყოველმა მოქალაქემ აუცილებლად *უნდა გადაიხადოს* გადასახადი!

მოქალაქეებო! *გადაიხადეთ* გადასახადი, დროულად შეიტანეთ ბანკში სახელმწიფოს კუთვნილი თანხა და შემდეგ თქვენც *მოითხოვეთ* სახელმწიფოსაგან ელემენტარული პირობები! გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში თქვენი პრეტენზიები არ მიიღება!

*შეასრულეთ* თქვენი მოვალეობები! *იყავით* პასუხისმგებელი თქვენი ცხოვრების პირობებზე! *ნუ აარიდებთ* თავს თქვენი ვალდებულებების შესრულებას! *არ დაარღვიოთ* კანონი! *შეასრულეთ* სახელმწიფოს მოთხოვნები და ჩვენც *წაუყენეთ* მოთხოვნები სახელმწიფოს!

# საჭირო ფრაზები

– საინტერესოა, როგორ შესრულდა ბიუჯეტი?

– რატომ (რა მიზეზით) ვერ შესრულდა ბიუჯეტი?

– თქვენ რომელი ბანკის მენაბრე ხართ?

– რომელ ბანკში გაქვთ ანგარიში გახსნილი?

– როგორ უნდა გავხსნა თქვენს ბანკში ანგარიში?

– თან უნდა გქონდეთ პირადობის მოწმობა და ათი ლარი. დანარჩენს იქ გეტყვიან. ხელშეკრულებას გაეცნობით და ხელს მოაწერთ საბუთებზე.

– ბანკიდან ფულის გატანა როგორ და როდის შემიძლია?

– ეს შემნახველი ანგარიშია.

– ფულის გატანა გარკვეულ დრომდე არ შეგიძლიათ.

– ფულს მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გაიტანთ...

– აქ ფულს ინახავთ და პროცენტიც გერიცხებათ.

– მე ფულის გადაგზავნა მინდა.

– ამისთვის საჭიროა ვიზა-ბარათი.

– მე ფულის გატანა მინდა. აი, ჩემი პირადობის მოწმობა და ვიზა-ბარათი.

* * *

ახლა ბანკში ვარ და გადასახადებს *ვიხდი.*

მე ყოველთვის დროულად *ვიხდიდი* გადასახადებს.

ხვალ ალბათ შუადღისას წავალ ბანკში და გადასახადებს *გადავიხდი.*

ყველაფერი *გადავიხადე,* ამ თვეში გადასახადი აღარაფერი მექნება.

არა, ჯერ არ *გადამიხდია* გადასახადი, ალბათ ხვალ გადავიხდი.

ყველაფერი თავის დროზე *უნდა გადაიხადო!*

* * *

ახლა ბანკში ვარ და გადასახადებს *ვფარავ*.

მე ყოველთვის დროულად *ვფარავდი* გადასახადებს.

ხვალ ალბათ შუადღისასს წავალ ბანკში და გადასახადებს *დავფარავ*.

ყველაფერი *დავფარე*, ამ თვეში გადასახადი აღარაფერი მექნება.

არა, ჯერ არ *დამიფარავს* გადასახადი, ალბათ ხვალ გადავიხდი.

ყველა გადასახადი თავის დროზე *უნდა დაფარო*!

* * *

სამსახურიდან დღეს ვერავის ვერ *ვათავისუფლებ*, რადგან უამრავი საქმე გვაქვს, ხვალ ვისაც დასჭირდება, *გავათავისუფლებ*.

ვინც მთხოვდა, ყველას *ვათავისუფლებდი*, მაგრამ დღეიდან ვერავის ვერ *გავათავისუფლებ*.

არა, მე ალექსანდრე მე *არ გამითავისუფლებია*, თვითონ წავიდა, მერი კი მე *გავათავისუფლე*.

* * *

ახლა ვერ დაგელაპარაკები, სამსახურში *მაგვიანდება*.

გუშინაც ვერ დაგელაპარაკე, სამსახურში *მაგვიანდებოდა*.

ახლა შენ რომ გელაპარაკო, სამსახურში *დამაგვიანდება*.

გუშინ ძალიან *დამაგვიანდა* სამსახურში.

არა, დღეს *არ დამგვიანებია*, გუშინ კი ნამდვილად დამაგვიანდა.

სამსახურში არასოდეს *არ უნდა დააგვიანო*!

* * *

ხელფასი მე პირდაპირ ბანკში *მერიცხება*.

შარშანაც ბანკში *მერიცხებოდა* ხელფასი.

არა, ხელზე არ ავიღებ ხელფასს, ბანკში *ჩამერიცხება*.

როდის *ჩამერიცხა* ხელფასი, იქნებ მითხრათ.

არა, ჯერ *არ ჩამრიცხვია* ხელფასი, ალბათ ამ ორ დღეში *ჩამერიცხება*.

4.

საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და მისი სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. ეროვნული ბანკის საქმიანობის უმთავრესი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. იგი დღევანდელი სახით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ცენტრალური ბანკი, 1991 წლიდან არსებობს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ მის საქმიანობაში ჩარევის უფლება. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. იგი ფლობს, მართავს და განკარგავს ქვეყნის ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებს. საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, მის ხელთ არსებული მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით უზრუნველყოს მასზე კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულება.

საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისათვის, სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით ეროვნული ბანკი ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს. საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის" მეშვეობით ეროვნული ბანკი ატარებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ღონისძიებებს. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკი არის მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია, საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს

ქვეყნის საფინანსო და საგარეო სექტორის სტატისტიკა. აგრეთვე, უზრუნველყოს ქვეყანაში საგადახდო სისტემების ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების, როგორც გადახდის კანონიერი საშუალების, ემისია, ასევე, მიმოქცევისათვის ან ნუმიზმატიკური მიზნებისათვის სამახსოვრო მონეტების მოჭრა.

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ ბანკებსა და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. საქართველოს ეროვნული ბანკი მონაწილეობს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის გზით ფულად-საკრედიტო სფეროში ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა.

5.

* * *

ბანკი "რესპუბლიკა" - ჯგუფი "სოსიეტე ჟენერალი" საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საფინანსო ინსტიტუტია. მას წამყვანი პოზიცია უკავია ქვეყნის კორპორაციული და საცალო საბანკო მომსახურების ბაზარზე. ბანკის გრძელვადიანი ზრდის სტრატეგია დამოკიდებულია იმგვარ ძირითად ღირებულებებზე, როგორებიცაა: პროფესიონალიზმი, ინოვაცია და გუნდური სულისკვეთება. ბანკი "რესპუბლიკა", როგორც ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" წევრი, თავისი რესურსებისა და გამოცდილების წყალობით, მუდმივად ცდილობს მომხმარებლებისთვის დამატებითი ღირებულებების შექმნას.

6.

* * *

"პროკრედიტ ბანკი, საქართველო" განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსალური ტიპის ბანკია, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საუკეთესო მომსახურებას და საბანკო პროდუქტების ფართო არჩევანს. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ძალიან მცირე, მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება. ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ეს საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სხვა ბანკებისაგან განსხვავებით ჩვენ არ ვართ ორიენტირებული სამომხმარებლო სესხებზე. ჩვენი უმთავრესი მიზანია შევქმნათ საიმედო საკრედიტო მომსახურება კლიენტებთან გრძელვადიანი პარტნიორობის დამყარებით.

ჩვენი აქციონერები საკუთარი ინვესტიციებისაგან სტაბილურ შემოსავლებს ელიან, მაგრამ მათი ძირითადი ინტერესი მოკლევადიანი მოგების მიღების მაქსიმიზაცია არ არის. ბანკი მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებს კადრების მომზადებაში, რათა შექმნას სასიამოვნო და ეფექტიანი სამუშაო გარემო. ხოლო კლიენტებს შესთავაზოს მაქსიმალურად კეთილგანწყობილი და კონკურენტუნარიანი მომსახურება.

# თემა 8
# სამცხე-ჯავახეთი; ქვემო ქართლი

## 1. იაკობ გოგებაშვილი

## ახალციხის მხარე

თრიალეთის მთის სამხრეთით ახალციხის მხარე და ჯავახეთი მდებარეობს.

ახალციხის მხარეს მეტად მაღალი მდებარეობა აქვს. ამის გამო აქ ძალიან გრილი ჰავაა. ზამთარი ცივი იცის და ხშირად სამ-ოთხ თვეს დედამიწა თოვლით არის დაფარული. ნოემბერში, როცა შემოდგომის მშვენიერი თბილი დღეებია ქართლსა და კახეთში, ახალციხის მხარეში თოვლი დევს და ცივი ზამთარია. სიგრილისა და სიცივის გამო ამ ქვეყანაში ქართლისა და კახეთის ბევრი ხილი სრულიად არ ხარობს. აქ ვერ ნახავ წაბლს, ლეღვსა და ბროწეულს; ყურძენი ვერ იტანს იქაურ ცივ ზამთარს და ვენახები აქ თითქმის სრულიად არ არის და ღვინოსაც, რასაკვირველია, აქაური მაცხოვრებლები მოკლებულნი არიან. ვაშლი და მსხალი კი ჩინებული მოდის.

აქაური ბაღები ვაზების მაგივრად სხვადასხვა ჩინებული ხეხილით არის სავსე; კაკალი მეტად დიდი იზრდება ბევრსაც ისხამს. შინაურ საქონელში აქ უფრო ხშირია ცხვრისა და ღორის ყოლა. ჭირნახულიდან თესავენ სიმინდს, შვრიას, ქერს და პურს.

ახალციხის მხარეში უდიდესი ქალაქია ახალციხე. ძველად ამ ქალაქს ლომისი ერქვა. ახლანდელი სახელი დაერქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა ოსმალებმა აიღეს ახალციხე, ძველი ციხე დააქციეს, ახალი ააშენეს და იწყეს აქ ბატონობა. ახალციხე გაშენებულია პატარა მდინარე ფოცხოვის ნაპირზე, რომელიც დასავლეთით ერთვის მტკვარს. ფოცხოვი ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს: სამხრეთის მხარეს ახალი ქალაქია გაშენებული, ჩრდილოეთის მხარეს – ძველი ქალაქი. ახალ ქალაქში უფრო სომხები ცხოვრობენ და აქ უფრო კარგი სახლებია, განიერი, სწორი და სუფთა ქუჩები, ვიდრე ძველ ქალაქში. ძველი ქალაქის მაცხოვრებლები ქართველები და ურიები

არიან. ქართველებში ბევრი ფრანგია, ზოგი კი მართლმადიდებელი. ძველ ქალაქშია არის სახელგანთქმული ციხე, მაღლა კლდეზე აშენებული, ზედ ფოცხოვის ნაპირზე.

ახალციხის მხარეში შემდეგი შესანიშნავი სოფლებია: აბასთუმანი, სადაც სამკურნალო წყლებია; რუსთავი, სადაც დაიბადა მთელი საქართველოს უწარჩინებულესი პოეტი შოთა რუსთაველი; ურაველი, შესანიშნავი რკინის წყლით; აწყური, თავის შესანიშნავი ძველი ციხით; ასპინძა, სადაც ერეკლე მეფემ ოსმალოს ჯარი საშინლად დაამარცხა, და სხვანი

აქვე არის ორი დიდებული ნაშთი წარსულისა: ვარძია და საფარა. საზოგადოდ ძველად ახალციხის მხარე მდიდარი იყო მონასტრებით. პირველ მონასტრად ითვლებოდა ვარძია, რომელიც მდებარეობს ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ვარძიის აგება დაიწყო თამარის მამამ, გიორგი მეფემ, ხოლო დაამთავრა იგი თვით თამარ მეფემ. მანვე გამართა აქ ორი სამეფო სასახლე – ერთი საზაფხულო და ერთიც საზამთრო, რომლებიც კლდეში იყო გამოკვეთილი. აქ ხშირად უყვარდა დასვენება საქართველოს სამაგალითო დედოფალს. ეს დიდებული და მდიდარი მონასტერი მტრის ხარბ თვალს ძლიერ იზიდავდა, რის გამოც ვარძია რამდენჯერმე გაძარცვეს ურჯულოებმა. უკანასკნელად ვარძია სრულიად ააოხრა და ბერებიც ამოწყვიტა სპარსეთის ერთმა შაჰმა. ამის მერე ვარძია ველარ წამოდგა ფეხზე და ველარც მოღონიერდა. ბოლოს სრულიად დაცარიელდა, გაუქმდა ახალციხის მხარე, საქართველოს მოსწყდა და ოსმალოს ჩაუვარდა ხელში.

## 2. იაკობ გოგებაშვილი
## ჯავახეთი

ახალციხის აღმოსავლეთით მდებარეობს ჯავახეთი. ჯავახეთს უჭირავს ახალციხის მხარესე კიდევ უფრო მაღლობი და ტიტველი მინდვრები, ამიტომ აქ კიდევ უფრო გრილი საფხული და ცივი ზამთარი იცის. თუმცა აქ ნიადაგი მეტად ნოყიერია, ტყე საერთოდ არ არის. ამიტომ მდინარეებიც ცოტაა. ამ მდინარეებში ძალიან გემრიელი კალმახი იცის.

ჯავახების უმთავრესი საქმე ხვნა-თესვაა. სახნავი ადგილები ბევრია და მოსავალიც ჩინებული იცის, განსაკუთრებით პური და ქერი. ჯავახი ყიდის პურს და ქერს და აღებული ფულით ყიდულობს, რაც სჭირდება. მართალია, ჯავახეთი ურწყავი ქვეყანაა, მაგრამ წვიმა ხშირად იცის. ხვნა-თესვის გარდა, ჯავახეთში

შინაური ცხოველების მოშენებასაც მისდევენ. ბევრია ცხვარი. იალაღები ჩინებული აქვთ.

უტყეობა ძალიან აწუხებს ჯავახეთს. შეშის მაგივრად გასათბობად ხმარობენ წივას. ზამთარი ძალიან მკაცრია და ამის გამო დიდ ტანჯვას განიცდიან.

სიცივის გამო ჯავახეთში ყურძენი არ ხარობს, ამიტომ ვენახები აქ არ აქვთ. სახლებს ქვითა და ტალახით აშენებენ.

ჯავახეთში ბევრი ტბაა. მათ შორის ულამაზესია ფარავნის და ბარალეთის ტბები.

აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში ცხოვრობენ ბოშები, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ეტყობა, უძველეს დროში მოსულან აქ.

ჯავახეთში ერთი პატარა ქალაქია – ახალქალაქი, რომელიც მაღლობ ადგილზე არის აშენებული ორ დიდ ხევს შუა. წინა საუკუნეებში ახალქალაქი წმინდა ქართული ქალაქი იყო. ახლა კი მცხოვრებლები აქ თითქმის სულ სომხები არიან, რიცხვით 1500 კომლი. ჯავახეთში შესანიშნავი სოფლებია: ხიზაბავრა, ბარალეთი, ტოლოში და სხვა.

## 3. მარნეული

მარნეული (1947 წლამდე ბორჩალო), ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში, მარნეულის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარე ალგეთის ნაპირერზე. ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს. მოსახლეობა 19,9 ათასი] (2002 წ.). ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. მარნეულში არის რუსთავის ეპარქიის რეზიდენცია.

მარნეულში ზომიერად თბილი სტეპის ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 12 ჩ, იანვარში 0 ჩ, ივლისში 23,9 ჩ. აბსოლუტური მინიმალური –– 25 ჩ, აბსოლუტური მაქსიმალური 40 ჩ. ნალექები 500 მმ წელიწადში.

დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა-მარნეულის, ყულარის, ჭანდარ-სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც [illegible] მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარჯვენა მხარეს.

იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. XII საუკუნეში ირანის შაჰმა აბას I-მა აქედან აყრილი მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნაცვლად ამ ადგილას ბორჩალუს თურქმანული ტომი დაასახლა, შემდგომში, დასახლებასაც ბორჩალო ეწოდა. 1947 წელს აღადგინეს ძველი ქართული სახელწოდება მარნეული. მარნეულის ტერიტორიაზე შემორჩენილია მეგალითური ხანის ციხის ნაშთები და ადრინდელი ფეოდალური ხანის ეკლესია.

## 4. ბოლნისი

ბოლნისი, ქალაქი (1967 წლიდან) საქართველოში, ქვემო ქართლის მხარეში ბოლნისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მოსახლეობა 13,8 ათასი (2002 წ.) ბოლნისი მდებარეობს მდინარე მაშავერის შუა დინებაში, ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე, თბილისიდან 64 კმ. რკინიგზის სადგური მარნეულ-კაზრეთის ხაზზე ძირითადად გაშენებულია ვაკეზე, ჩრდილოეთი ნაწილი კი — გორაკ-ბორცვიან მთისწინეთზე. საშუალო წლიური ტემპერატურა 12,0 °C; იანვარში — 0,3 °C აგვისტოში — 23,3 °C, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა — 24 °C აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა 39 °C. ნალექები 572 მმ წელიწადში მაქსიმუმი — მაისში (86 მმ), მინიმუმი — დეკემბერში (21 მმ).

XIX საუკუნის 50-იან წლებში სოფელ რატევნის მახლობლად გერმანელები ჩამოასახლეს. ამ დასახლებას ჯერ ეკატერინენფელდი ერქვა, 1921-1943 წლებში — ლუქსემბურგი. ამჟამად ბოლნისს უკავია ისტორიული სოფლების სატრედოს ყორანთის და ველკეთილის ტერიტორიები (ეს სოფლები საბარათიანო საორბელიანოში შედიოდა). ბოლნისი ქალაქს დაერქვა ამ მიდამოებში ძველთაგანვე არსებული მნიშვნელოვანი პუნქტების სახელწოდების მიხედვით. ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ყორანთის ეკლესია (XIII-XIV სს.). გორა რომელზედაც ეს ეკლესიაა აგებული, ენეოლითური ხანის ნასახლარის ნაშთებსაც შეიცავს. საყურადღებოა აგრეთვე გვიანდელი ფეოდალური ხანის სატრედოს თაღოვანი ხიდი მდინარე მაშავერაზე; იგი ახლაც მკვიდრად დგას. ბოლნისში არის ბოლნისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

## 5. დმანისი

დმანისი — ქალაქი საქართველოში, დმანისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს დმანისის ვულკანურ პლატოზე, მდინარე მაშავერის ორივე ნაპირზე, კაზრეთის რკინიგზის სადგურიდან 30 კმ მანძილზე. დმანისის ტერიტორიაზე VI-VIII საუკუნეებში მცირე დასახლება იყო, სადაც საეპისკოპოსო კათედრალი მდებარეობდა. როგორც ქალაქი, წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენიება, ამ დროს მას არაბები ფლობდნენ. XI ს-ის 80-იან წლებიდან სელჩუკთა ხელშია, 1123 წელს დავით IV აღმაშენებელმა გაათავისუფლა. დმანისი განსაკუთრებით დაწინაურდა XII-XIII სს-ში. XVI ს-დან ქალაქი დაცემის გზაზეა, მოიშალა ეკონომიური ცხოვრება, შემდეგ კი სულ გაპარტახდა და გაუკაცრიელდა. 1921-1947 წლებში მას ბაშკიჩეთი ეწოდებოდა. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1981 წელს. მოსახლეობა 3,4 ათასი (2002 წ.).

თანამედროვე დმანისის ახლოს არის ამავე სახელწოდების ქალაქი-სიმაგრის ნანგრევები (VI-XV სს.), სახლების, ქუჩების, ღვინის სარდაფების და სხვა ობიექტების ნაშთები. დმანისის არქეოლოგიური შესწავლა 1936 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. აქ აღმოჩენილია ევროპაში ყველაზე ძველი ადამიანის ნაკვალევი — თავის ქალა, რომლის ასაკი 1,6 მილიონი წლით განისაზღვრება. დმანისში არის ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის კათედრა და რეზიდენცია.

არქეოლოგიური გათხრები [რედაქტირება]

გათხრები დმანისის ნანგრევებში დაიწყო 1936 წელს და 1960-იან წლებამდე გრძელდებოდა. შუასაუკუნეების სარდაფებს ქვეშ არქეოლოგებმა იპოვეს ცხოველთა ძვლები, რომელთა შორის ქართველმა პალეონტოლოგმა პროფ. ა. ვეკუამ ამოიცნო აწ გადაშენებული ჯიშები. 1984 წელს პირველი ქვის იარაღები იპოვეს. მას შემდეგ ქართველი მეცნიერები დმანისის პლეისტოცენური დეპოზიტების გათხრებს აწარმოებდნენ დმანისში, და 1991 წელს მათ შეუერთდნენ გერმანელი არქეოლოგები რომაულ-გერმანიულ ცენტრალურ მუზეუმიდან. დმანისის სამუშაოები შემდეგ უფრო გაფართოვდა და საერთაშორისო კვლევის პროექტის ხასიათი მიიღო საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით, გერმანიის, აშშ-ის, საფრანგეთისა და ესპანეთის კოლეგების მონაწილეობით.

1999 და 2001 წელს დმანისის რეგიონში გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა ჰომინიდთა თავის ქალები და ყბის ძვლები, რომელსაც მოგვიანებით ჰომო გეორგიკუს შეარქვეს. დღესდღეობით უკვე ხუთი თავის ქალაა აღმოჩენილი[საჭიროებს წყაროს მითითებას].

## 6. უძველესი ქართული წარწერა

ცნობილმა იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ 1952-1953 წლებში პალესტინაში, იუდეას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები სამი ქართული წარწერითურთ. ეს წარწერები საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თარხნიშვილმა წაიკითხა პირველად.

საერთოდ, ძველი უთარიღო წარწერების დათარიღება მეტად რთული საქმეა. მ. თარხნიშვილმა პალეოგრაფიული ნიშნებით აღნიშნული წარწერები VI საუკუნით დაათარიღა; მან გამოთქვა მეტად საყურადღებო აზრი ამ წარწერებში მოხსენიებულ პირთა (მარუანისა და ბურზენის) ვინაობის შესახებ: „ეს სახელები ოდნავ განსხვავებული ფორმით ცნობილი იყო საქართველოში. პეტრე იბერიულის (V ს.) ქართული ცხოვრების მიხედვით, მისი ქართული სახელი სახელი იყო მურვანოსი და ამავე პეტრეს მამას ბუზმირი ერქვა. ბუზმირი სახელი ერქვა ერთ ქართველ მთავარს დაახლოებით VI საუკუნის ბოლოს“.

1959 წელს შალვა ნუცუბიძემ გამოაქვეყნა გამოკვლევა – „პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები“. იგი ვარაუდობდა, რომ მურვანოსი იგივე მურვანია (პეტრე იბერიელის საერო სახელი). ამდენად, ნუცუბიძის აზრით, წარწერა V საუკუნის მხოლოდ I ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

მ. თარხნიშვილის დაკავშირება გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმაც.

1960 წელს დაიბეჭდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის მონოგრაფია – „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, რომელშიც მან ეჭვმიუტანლად დაადგინა წარწერებში მოხსენიებულ პირთა ვინაობა და ამის მიხედვით საკმაოდ ზუსტად დაათარიღა ისინი. ავტორის მოსაზრებით, წმინდა თეოდორეს სახელობის მონასტერი პეტრე იბერიელმა ააგო V საუკუნის 30-იან წლებში. ბუნებრივია, წარწერათა ამოკვეთაც ამ დროისათვის ივარაუდება. ქართული წარწერების თარიღთან

დაკავშირებით იგი დაასკვნის: „ოთხას ოცდაათიან წლებში მარვანოს-პეტრე ქართველს იორდანის უდაბნოში აუშენებია მონასტერი, საზეთე, საღვინე და სხვ. მოწყობილობით, და შეუმკია იგი ქართული წარწერებით, სადაც თვით მისი, მისი მამისა და პაპის სახელებია მოხსენიებული. უფრო გვიან, მეექვსე საუკუნის მეორე მეოთხედში აქ იღვწოდა მეორე ქართველი მოღვაწე ანტონი აბაი, შემდეგში სულევკიის ეპისკოპოსი, რომელსაც აგრეთვე დაუტოვებია ქართული წარწერები და შეიძლება მონასტრის განახლებაშიც ღვაწლი მიუძღოდეს. მაშასადამე, წარწერები II და III დაშორებული არიან I წარწერისაგან სულ ცოტა ერთი საუკუნით. ამავე დროს ეს წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს“.

გ. წერეთლის ეს მოსაზრება ამჟამად საყოველთაოდ გაზიარებულია.

# თემა 9
# მხატვრობა, ფერწერა

## 1. პერსონალურ გამოფენაზე

– დღეს კვირაა. მოდი, ქალაქში გავისეირნოთ, თან გალერეაშიც შევიდეთ, ერთი ჩემი ნაცნობი მხატვრის ნახატების გამოფენაა.

– კარგი იდეაა, წავიდეთ. მაგრამ ვისი გამოფენაა და რომელ გალერეაში?

– ჩემი თანაკურსელის დეიდაშვილი მხატვარია, კარგი მხატვარი. თან ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა სამხატვრო აკადემიაში. ძალიან კარგი ხელოვნებათმცოდნეა. მას საკუთარი გალერეა აქვს გახსნილი და იქ ძალიან ხშირად უწყობ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვართა გამოფენებს.

– რა ჰქვია ამ გალერეას და სადაა?

– გალერეა ძველ თბილისშია და „ვერნისაჟი" ჰქვია. იქ ძალიან კარგი სიტუაციაა. ნახატები გამოფენას ერთი დიდი დარბაზი ეთმობა, შემდეგ კი პატარა დარბაზია, სადაც ამ გალერეაში ადრე გამოფენილი მხატვრების ნახატებია. მათ ეს ნახატები გალერეას აჩუქეს. ამ დარბაზში პატარა ბარია, სადაც შეგიძლია შეიძინო ჩაი, ყავა, უალკოჰოლო სასმელები და ისაუბრო ხელოვნებაზე. ჩვეულებრივ, გამოფენის შემდეგ აქ იმართება განხილვა, ყველაფერი კი მეგობრულ ატმოსფეროშია და, ამდენად, საინტერესოც... მხატვრებისათვის საჭიროა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

– ძალიან მომეწონა ეს ყველაფერი. წავიდეთ, მაგრამ გამოფენა რომელ საათზეა? არ დაგვაგვიანდეს! გამოფენა 12 საათზე იხსნება. სიტყვით გამოვა რამდენიმე ხელოვნებათმცოდნე, მათ შორის გალერეის მეპატრონეც. აზრს გამოთქვამენ მხატვრები...

* * *

გალერეა „ვერნისაჟი" ძველი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაშია მოთავსებულ როცა მეგობრები იქ მივიდნენ, გალერეის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. ბევრი ერთმანეთ ნაცნობი იყო და ერთმანეთის ნახვა უხაროდათ, ზოგი კი ხელოვნებაზე საუბრობდა. ზოგ ხუმრობდა და იცინოდა, ზოგი კი მომავალი გამოფენის შესახებ ეკითხებოდა გამოფენ ორგანიზატორებს. გიორგიმ და ბაგრატმაც ბევრი ნაცნობი ნახეს, თავიანთი თანაკურსელებ და მათთან საუბარი დაიწყეს.

**2.**

* * *

– ნანი, შენ იცნობ ამ მხატვრის შემოქმედებას?

კი, როგორ არა, და ძალიან მომწონს. ის აკვარელშიც მუშაობს და გრაფიკაშიც. გრაფიკა მაინც არაჩვეულებრივია! მთელი სერია აქვს ნახატებისა შექმნილი ადამიანის გრძნობებზე.

– ეს როგორ?

– აი, მალე ნახავ. იგი გამოხატავს, მაგალითად, შიშს, სიხარულს, წუხილს, შურს და ამ თვისებებს თავის ფორმას აძლევს. ძალიან საინტერესოა.

– მართლაც. ფერწერა როგორია?

– ფერებს საოცრად კარგად გრძნობს. მე ფერწერაც ძალიან მომწონს მისი.

– პორტრეტები აქვს თუ პეიზაჟები?

– არა, პორტრეტებს არ ხატავს. ერთი-ორი კი ძალიან კარგი პეიზაჟი აქვს. მის ყველა ნახატში რაღაც დიდი აზრია და მე ეს ყველაზე მეტად მომწონს.

– ძალიან კარგი. ვნახავ და ჩემს აზრს შემდეგ გეტყვი.

– რომელი საათია? ჯერ ხომ არ იწყება? იქნებ შევიდეთ უკვე?

– ახლა თორმეტს 20 წუთი აკლია. მე მგონი, დროა, შევიდეთ, თორემ ხალხი ძალიან ბევრია და კარგი ადგილის მოძებნა გაგვიჭირდება. ჯერ ხომ ამ მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრებენ?

– ჰო, ასე იქნება, შევიდეთ.

– ბაგრატსაც დაუძახე და ერთად შევიდეთ. იქაც ერთად ვიყოთ, ნუ დავკარგავთ ერთმანეთს, იმიტომ რომ ჩვენ გამოფენის შემდეგაც უნდა დავრჩეთ. პატარა დარბაზში მშვენიერი სიტუაციაა, დავისვენებთ კიდეც და საინტერესოცაა.

– აუცილებლად დავრჩებით. ახლა კი შევიდეთ.

* * *

დაიწყო გამოფენა. სიტყვით გალერეის მეპატრონე, გამოფენის ორგანიზატორი, ხელოვნებათმცოდნე ვასილ აბაშიძე გამოვიდა. მან საზოგადოებას გააცნო ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედება:

- ილია ქრელაშვილს 1990 წელს დაუმთავრებია თბილისის სამხატვრო აკადემია, შემდეგ ასპირანტურაში გაუგრძელებია სწავლა. ახლა კი სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრაზე მუშაობს. მას არაერთ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა. მისი სურათები განთავსებულია ინტერნეტშიც. აქვს საკუთარი ინტერნეტგვერდი. ილია ქრელაშვილის ნახატები შეისყიდა ევროპის რამდენიმე ქვეყნის გალერეამ, რის უცხოელთა პირად

# თემა 9

# მხატვრობა, ფერწერა

## 1. პერსონალურ გამოფენაზე

– დღეს კვირაა. მოდი, ქალაქში გავისეირნოთ, თან გალერეაშიც შევიდეთ, ერთი ჩემ ნაცნობი მხატვრის ნახატების გამოფენაა.

– კარგი იდეაა, წავიდეთ. მაგრამ ვისი გამოფენაა და რომელ გალერეაში?

– ჩემი თანაკურსელის დეიდაშვილი მხატვარია, კარგი მხატვარი. თა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა სამხატვრო აკადემიაში. ძალიან კარგ ხელოვნებათმცოდნეა. მას საკუთარი გალერეა აქვს გახსნილი და იქ ძალიან ხშირად აწყობ ნიჭიერ ახალგაზრდა მსატვართა გამოფენები.

– რა ჰქვია ამ გალერეას და სადაა?

– გალერეა ძველ თბილისშია და „ვერნისაჟი" ჰქვია. იქ ძალიან კარგი სიტუაციაა. ნახატები გამოფენას ერთი დიდი დარბაზი ეთმობა, შემდეგ კი პატარა დარბაზია, სადაც ამ გალერეაშ ადრე გამოფენილი მხატვრების ნახატებია. მათ ეს ნახატები გალერეას აჩუქეს. ამ დარბაზშ პატარა ბარია, სადაც შეგიძლია შეიძინო ჩაი, ყავა, უალკოჰოლო სასმელები და ისაუბრ ხელოვნებაზე. ჩვეულებრივ, გამოფენის შემდეგ აქ იმართება განხილვა, ყველაფერი ძ მეგობრულ ატმოსფეროშია და, ამდენად, საინტერესოც... მხატვრებისათვის საჭიროა აზრთ გაცვლა-გამოცვლა.

– ძალიან მომეწონა ეს ყველაფერი. წავიდეთ, მაგრამ გამოფენა რომელ საათზეა? ა დაგვაგვიანდეს! გამოფენა 12 საათზე იხსნება. სიტყვით გამოვა რამდენიმ ხელოვნებათმცოდნე, მათ შორის გალერეის მეპატრონეც. აზრს გამოთქვამენ მხატვრები...

* * *

გალერეა „ვერნისაჟი" ძველი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაშია მოთავსებულ როცა მეგობრები იქ მივიდნენ, გალერეის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. ბევრი ერთმანეთ ნაცნობი იყო და ერთმანეთის ნახვა უხაროდათ, ზოგი კი ხელოვნებაზე საუბრობდა. ზოგ ხუმრობდა და იცინოდა, ზოგი კი მომავალი გამოფენის შესახებ ეკითხებოდა გამოფენ ორგანიზატორებს. გიორგიმ და პაკრატმაც ბევრი ნაცნობი ნახეს, თავიანთი თანაკურსელებ და მათთან საუბარი დაიწყეს.

2.

* * *

– ნანი, შენ იცნობ ამ მხატვრის შემოქმედებას?

კი, როგორ არა, და ძალიან მომწონს. ის აკვარელშიც მუშაობს და გრაფიკაშიც. გრაფიკა მაინც არაჩვეულებრივია! მთელი სერია აქვს ნახატებისა შექმნილი ადამიანის გრძნობებზე.

– ეს როგორ?

– აი, მალე ნახავ. იგი გამოხატავს, მაგალითად, შიშს, სიხარულს, წუხილს, შურს და ამ თვისებებს თავის ფორმას აძლევს. ძალიან საინტერესოა.

– მართლაც. ფერწერა როგორია?

– ფერებს საოცრად კარგად გრძნობს. მე ფერწერაც ძალიან მომწონს მისი.

– პორტრეტები აქვს თუ პეიზაჟები?

– არა, პორტრეტებს არ ხატავს. ერთი-ორი კი ძალიან კარგი პეიზაჟი აქვს. მის ყველა ნახატში რაღაც დიდი აზრია და მე ეს ყველაზე მეტად მომწონს.

– ძალიან კარგი. ვნახავ და ჩემს აზრს შემდეგ გეტყვი.

– რომელი საათია? ჯერ ხომ არ იწყება? იქნებ შევიდეთ უკვე?

– ახლა თორმეტს 20 წუთი აკლია. მე მგონი, დროა, შევიდეთ, თორემ ხალხი ძალიან ბევრია და კარგი ადგილის მოძებნა გაგვიჭირდება. ჯერ ხომ ამ მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრებენ?

– ჰო, ასე იქნება, შევიდეთ.

– ბაგრატსაც დაუძახე და ერთად შევიდეთ. იქაც ერთად ვიყოთ, ნუ დავკარგავთ ერთმანეთს, იმიტომ რომ ჩვენ გამოფენის შემდეგაც უნდა დავრჩეთ. პატარა დარბაზში მშვენიერი სიტუაციაა, დავისვენებთ კიდეც და საინტერესოცაა.

– აუცილებლად დავრჩებით. ახლა კი შევიდეთ.

* * *

დაიწყო გამოფენა. სიტყვით გალერეის მეპატრონე, გამოფენის ორგანიზატორი, ხელოვნებათმცოდნე ვასილ აბაშიძე გამოვიდა. მან საზოგადოებას გააცნო ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედება:

- ილია ქრელაშვილს 1990 წელს დაუმთავრებია თბილისის სამხატვრო აკადემია, შემდეგ ასპირანტურაში გაუგრძელებია სწავლა. ახლა კი სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრაზე მუშაობს. მას არაერთ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა. მისი სურათები განთავსებულია ინტერნეტშიც. აქვს საკუთარი ინტერნეტგვერდი. ილია ქრელაშვილის ნახატები შეიძინა ევროპის რამდენიმე ქვეყნის გალერეამ, რის უცხოელთა პირად

კოლექციებშიც. იგი საინტერესო შემოქმედია და აქვს საკუთარი ხედვა. თუმცა ჯერ ახალგაზრდა მხატვარია, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი.

სხვებმაც კიდევ ბევრი ისაუბრეს ახალგაზრდა მხატვრისა და მისი შემოქმედების შესახებ. მიულოცეს პერსონალური გამოფენის გახსნა და სტუმრებმაც ნამუშევრების დათვალიერება დაიწყეს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო პატარა დარბაზში მხატვართან შეხვედრა. იგი საზოგადოებას თავად გაესაუბრა საკუთარი შემოქმედების, გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ. ახალგაზრდა შემოქმედი ძალიან საინტერესო და თბილი ადამიანი აღმოჩნდა. სტუმრებმა მრავალი შეკითხვა დაუსვეს. შეხვედრა გვიან საღამომდე გაგრძელდა. გიორგი და ბაგრატი ძალიან კმაყოფილები დაბრუნდნენ შინ.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება

**შემოქმედება** - ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოებები, ერთიანობაში.

**შემოქმედი** – ადამიანი, რომელიც რაიმეს ქმნის, რაიმეს ავტორია.

**განხილვა** – აზრის გამოთქმა.

**აზრთა გაცვლა-გამოცვლა** – საუბარი რაიმე თემაზე, აზრის გამოთქმა ორი ან რამდენიმე პირის მიერ.

**სიტყვით გამოვა** – ისაუბრებს ხალხის წინაშე, ილაპარაკებს ვინმეზე ან რაიმე თემაზე.

**სასიამოვნო დღე გვქონდა** – კარგად გავატარებთ დროს დღეს.

**ხალხი ირეოდა** – ბევრი ხალხი იყო.

**არაჩვეულებრივი** – ძალიან კარგი, საუკეთესო, ბრწყინვალე.

**მონახვა** – მოძებნა.

**კარგი (მშვენიერი) სიტუაციაა** – ადამიანი თავს კარგად გრძნობს.

**მეპატრონე** – პატრონი.

**არაერთი** – ბევრი.

**განთავსებულია ინტერნეტში** – ინტერნეტშია.

**ბირადი კოლექცია** – კოლექცია, რომელიც ადამიანის საკუთრებაა.

**შეისყიდა** – იყიდა.

**სახელმოხვეჭილი** - ცნობილი, სახელოვანი, სახელგანთქმული.

**ნამუშევარი** – ის, რაც ავტორმა შექმნა.

**განსაკუთრებით საინტერესო** – ძალიან საინტერესო, რაღაცით გამორჩეული.

3.

ნიკო ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი) დაიბადა მირზაანში 1862 წელს. იგი ბავშვობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა მხატვრობისადმი. თვითონაც ხატავდა, მაგრამ სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. მშობლების გარდაცვალების შემდეგ იგი თბილისში გადმოვიდა, იღებდა აბრების შეკვეთებს, ხატავდა მათ და თავს ამით ირჩენდა. ერთ ხანს ვაჭრობაშიც სცადა ბედი, მაგრამ ამაოდ – მალე გაკოტრდა. ფიროსმანს საკუთარი ბინაც კი არ ჰქონდა და თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს. მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს. ნიკო ფიროსმანი გაჭირვებასა და სილატაკეში ცხოვრობდა, გარდაიცვალა 1918 წელს, სრულ მარტოობაში და მისი საფლავიც უცნობი დარჩა. ფიროსმანის შემოქმედებითი გენიალურობა უფრო გვიან შეიგრძნო საზოგადოებამ, მასზე გამოიცა წიგნები, კატალოგები, გადაიღეს ფილმი, არაერთგზის გაიმართა მისი სურათების გამოფენა არა მხოლოდ მის სამშობლოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მისი ნამუშევრები ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე უცხოეთის გალერეებსა თუ კერძო კოლექციებში.

თემატიკურად ფიროსმანის შემოქმედება მრავალფეროვანია: ხატავდა ძველი თბილისის ამსახველ სურათებს, ქეიფებს, ნატურმორტებს, აბრებს. თავისებური და განუმეორებელია მისი პეიზაჟები, ცხოველები. ფიროსმანის ყოველ ნახატში იგრძნობა მხატვრის სიწმინდე, სიმართლე, უშუალობა, დიდი გრძნობა და ხასიათის გამოკვეთა.

ფიროსმანი ეროვნული მხატვარია. მის შემოქმედებაში ქართული სული ჩანს.

4.

ლადო გუდიაშვილი გამოჩენილი ქართველი მხატვარია. იგი ახალგაზრდობისას ფიროსმანს შეხვედრია და ამ შეხვედრის შესახებ თავის მოგონებებში წერს:

ლადო გუდიაშვილი

## შეხვედრა ფიროსმანთან

იმპერიალისტური ომი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა პირველად შევხვდი ფიროსმანს. კარგად მახსოვს, მხატვართა საზოგადოების კრებაზე მოვიყვანეთ. გულხელდაკრეფილი იჯდა და გარინდებული და გაქვავებული ერთ წერტილს მისჩერებოდა. სახე სიყვარულსა და გაჭირვებას გამოხატავდა. ასე იჯდა მთელი სხდომის განმავლობაში და ხმა არ ამოუღია. სხდომის გათავების შემდეგ შემოეხვივნენ მხატვრები და დაუწყეს

გამოკითხვა. პასუხს იძლეოდა მოკლედ, ლაპარაკობდა ცოტას. დაინტერესდა ორატორები
„ჰოდა, რა გვინდა, ძმებო, იცით? -- თქვა მან, - უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხი
სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასთვის იყოს ახლოს. ავაშენოთ დიდი სახლ
რომ შევიყაროთ ხოლმე, ვიყიდოთ დიდი მაგიდა და სამოვარი, ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ დ
ვილაპარაკოთ მხატვრობაზე, თქვენ კი ეს არ გინდათ, თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ."

შემდეგ სხდომაზე ფიროსმანაშვილი არ გამოცხადებულა. ცხოვრობდა, როგორ
გავიგეთ, სადღაც დიდუბეში, მაგრამ ვერავინ იპოვა. გაიარა წელიწადმა. ფიროსმანაშვილ
გაქრა და მის შესახებ არაფერი ისმოდა.

მხატვართა საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება – აღმოეჩინა
მატერიალური დახმარება ღარიბი მხატვრებისთვის. გადაწყდა, ნიკო ფიროსმანაშვილისათვი
მიეცათ დახმარება 200 მანეთის რაოდენობით. ფულის გადაცემა მე მომანდეს. ეს იყ
ფიროსმანის ცხოვრების უკანასკნელი წლები. მივიღე ფული და დავიწყე ფიროსმანაშვილი
ძებნა.

ბევრი ძებნის შემდეგ ვიპოვნე... ნიკო ფიროსმანი იყო მაღალი ტანის
შეჭაღარავებული და უკან გადავარცხნილი თმით. საშუალო წვერი და ქვევით დაშვებულ
ულვაშები ჰქონდა. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი და ჭუჭყიანი, საღებავებით მოთხუპნულ
შარვალი.

– ვინ გნებავთ? – შემეკითხა ჩაფიქრებული.

– ბატონი ფიროსმანიშვილი.

– მე ვარ, გთხოვთ, - გააღო კარები. დავიღუნე და შევედი.

უეცრად შემაჩერა და მკითხა:

– როგორ მოხვედით, როგორც მტერი თუ როგორც მოყვარე? – და თან მიყურებდა თვალებ
არაჩვეულებრივი გამომეტყველებით.

– არა, თქვენც მხატვარი ხართ და მეც, რა მტერი უნდა ვიყო მე თქვენი? მე გულიაშვილ
ვარ, არ გახსოვართ?

– დიახ, დიახ, - დაიწყო მან თითქოს ცახცახით – გთხოვთ მობრძანდეთ, გთხოვთ... ლადო
არა?

– დიახ, ლადო.

სწრაფად შევათვალიერე ოთახი. ეს იყო კიბის ქვეშ მოთავსებული, რამდენიმე ნაბიჯი
სიგრძისა და სიგანის პატარა ოთახი. კუთხეში საწოლი იდგა, ზედ ჭუჭყიანი ქვეშაგებ
ეგდო. კუთხეში ეყარა სხვადასხვა ხელსაწყო მღებრისა და მხატვრისა: ვედრო, მუშამბ
საღებავები, ფუნჯები და სხვა.

– ახლა რაზე მუშაობთ? – ვკითხე მე.

– არაფერს, არ ვმუშაობ, ვასრულებ მარტო შეკვეთებს რესტორანში, სიღარიბეში ვცხოვრო
ხშირად მატყუებენ და არ მაძლევენ ფულს...

ამოვიღე ფული და გადავეცი. ისიც ვუთხარი, ვისგან იყო. შეჩერდა და გაოცებული გაქვავდა. ხმა ვეღარ დასძრა. არ იცოდა, როგორ ვადაეხადა მადლობა.

მერე ნიკომ მაჩვენა თავისი სურათები...

– აქ ბავშვები მიშლიან ხელს, ყვირიან და ქვებს ისვრიან ფანჯრებში, მაწვალებენ ულმერთოდ. მიდიხართ? იცით რა... – თქვა მან წყნარად, - წავიდეთ სარდაფში, დავლიოთ.

მე ვუთხარი, რომ ღვინოს არა ვსვამდი.

– არა უშავს, ლიმონათს მაინც დალევთ.

კიდევ უარით ვუპასუხე. სახეზე წყენა შევნიშნე. სახლში რომ დავბრუნდი, მეტად დამაღონა ჩემმა საქციელმა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა.

თავისი წუთისოფელი ნიკომ სადღაც, მიგდებულ სარდაფში დაასრულა 1918 წელს, მაგრამ რა დღეს მოკვდა, რა პირობებში, ან ვინ დამარხა, ეს გამოურკვეველი დარჩა.

### სიტყვებისა და ფრაზების განმარტება:

**დიდ ინტერესს იჩენდა** – აინტერესებდა, უყვარდა, მოსწონდა.

**ბედი სცადა** – დაიწყო.

**ამაოდ** – ტყუილად იწვალა არაფერი გამოუვიდა.

**გაკოტრდა** – ქონება დაკარგა, გაღარიბდა, ღატაკი გახდა.

**თავს აფარებდა** – დროებით სხვაგან ცხოვრობდა.

**არაერთგზის** – არაერთხელ, ბევრჯერ.

**იმპერიალისტური ომი** – პირველი მსოფლიო ომი.

**დასასრულს უახლოვდებოდა** – მთავრდებოდა.

**გულხელდაკრეფილი** – გულზე ხელები ჰქონდა დაწყობილი (გადატანით: არაფერს აკეთებდა).

**გარინდებული** – გაჩუმებული.

**გაქვავებული** – უძრავად.

**შევიყაროთ** – შევიკრიბოთ, ერთმანეთს შევხვდეთ.

**აღმოუჩინათ მატერიალური დახმარება** – დახმარებოდნენ მატერიალურად (ფულით).

**მოთხუპნული** – დასვრილი.

**მუშამბა** – ნაჭერი, რომელზეც მხატვრები ხატავენ.

**შენაკვეთი** – რაც შეუკვეთეს, რაც დაავალეს.

**ხმა ვერ დაძრა** – ხმა ვერ ამოიღო, გაჩუმდა, დადუმდა.

5.

# ფიროსმანი

*მდიდარს ოქრო აქვს –*
*ჩვენ კი თვითონ ვართ ოქრობიჭები...*

რობერტ ბერნსი

— ფიროსმანმა რომ სმას უმატა და უმატა, - გვიყვებოდა ერთი ყმაწვილი კაცი, - მეგობარმა მხატვრებმა გადაწყვიტეს – რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაიღუპებაო. ფული შეაგროვეს, ღვინის სარდაფი უყიდეს მთელი უძრავ-მოძრავით, ჩააბარეს და დაანამუსეს: ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნუღარ წახვალ, ისევ აქ დალიეო. ფიროსმანი ყველაფერზე დაითანხმდა. ასეთი კაცი იყო – მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ბავშვს რომ ეთქვა: - არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვისო, თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: - მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზეო. მეგობარ მხატვრებთან ხომ შემოპარული კაცივით იქცეოდა...

არავინ იცოდა მისი დახლის ამბავი. სარდაფი ყოველთვის სავსე იყო მუშტრით, აურაცხელი ღვინო-არაყი ისმეოდა. ეს კია – შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიათად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა. მაშინ ის მხრებშიმოჭმუჭნულ პიჯაკს შემოიცვამდა, ჩექმებს გააპრიალებინებდა, თმას დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიპეწავდა და გოლოვინის პროსპექტზე გავიდოდა. მიდიოდა მძიმედ, ხელებ-ხელებით. თუ რაღაც საინტერესო რამ იყო – ქართულ თეატრში ან ოპერაში შეუხვევდა...

იმ შემოდგომას ერთი ფრანგი მოცეკვავე ჩამოვიდა, მარგარიტა ერქვა. ცეკვით ხომ ცეკვავდა, ლამაზი იყო – თბილისელებიც კი გადარია. ეს გაფრცქვნილი თავადები და თავქარიანი სტუდენტები უკანასკნელ ნივთებსაც კი აგირავებდნენ, ოღონდ იმ ქალისთვის ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი. თეატრის წინ ზედახორა ჰქონდათ გამართული.

აბა, ფიროსმანი რაღა დღეში ჩავარდებოდა – ლამაზი რამის გულისათვის ეშმაკსაც რომ მიჰყიდდა სულს! ტყავი გაიძრო, ვიღაც სპეკულანტი ააშენა და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა.

ფარდა რომ აიხადა და დედოფალასავით თვალებფყოფინა მარგარიტა გამოჩნდა, დარბაზმა რომ იქუხა და ვიღაც-ვიღაცები დასაზმელები გახდნენ, ფიროსმანი მოიღუშა, დაპატარავდა. ასე გაუნძრევლად იჯდა პირველ განყოფილებაზე, ანტრაქტზე, მეორე განყოფილების დაწყებისას... მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი დამცინავი თვალი და გარეთ გავარდა. თავისი ღვინის სარდაფი, მთელი ქონება ვიღაც სომხის მიკიტანს მიაჩეჩა. სურათები იყო თუ იარაღები, ისიც ზედ მიაყოლა, აღებული ფულით მებაღეებსა და საყვავილეებს ჩამოუარა, რაც კი თბილისში შემოდგომის ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა, ამით ეტლი დააზვინინა და სასტუმრო „პალას-ოტელს" მიაყენა.

წარმოდგენის შემდეგ ბანკეტი ჰქონოდათ. მარგარიტას იქ შეჰგვიანებოდა და სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. ყვავილებით სავსე ეტლები სასტუმროს წინ ასე ორ მწკრივად იდგნენ.

– მეჩვენება თუ რა არისო, - შესჩივლა მარგარიტამ კავალერს, მაგრამ ამ დროს ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი წარუდგა წინ, ერთი დიდი ხავერდოვანი შავი ვარდი მიართვა და თავაზიანად მოახსენა: – ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროსმანი გიძღვნით თქვენო.

მარგარიტა არა ერთი ევროპელი ყაყაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა, მაგრამ ასეთი რამეს მაინც პირველად ხედავდა.

– მხატვარი? თვითონ მხატვარი სად არისო.

ამაზეც უბრალოდ, თავაზიანად მოახსენეს: აქ ჩვენთან, მტკვრის პირას, ბაღია, ბაღში დიდი სეები დგას და დიდი მთვარე იცის. ფიროსმანი ახლა იქა ზის და თქვენს სადღეგრძელოს სვამსო.

ამან ხომ გადარია: წავალ და მე თვითონ ვნახავო. მაგრამ მერე გადაიფიქრა, იმ ქართულ ქულაჯიან ბიჭს თავისი სურნელოვანი სადარბაზო ბარათი გაატანა „ბატონი ფიროსმანთან". ნაშუადღევისათვის, დიდის მოწიწებით, თავისთან იწვევდა.

ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით, ვინც კი აიარ-ჩამოიარა, ყველა სუფრაზე მიიპატიჟა, ხელადები დააჯარებინა, დამკვრელების კიდევ ერთი დასტა დაისვა და ქეიფი გაანახლა.

გათენდა. ამოვიდა მზე.

– გეყოფა, ნაშუადღევს სხვაგან ხარ წასასვლელიო! – რამდეჯერმე შეახსენეს მეგობრებმა, მაგრამ ფიროსმანმა ნაშუადღევამდე ვერ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი და ვერც ძმაბიჭების „ალავერდი-იახშიოლ"...

გვიან ღამით წამოდგა, ქამარი გაისწორა, პიჯაკს მკლავი გაუყარა, საყველაწმინდო დალია, ულვაშები ხელის ზურგით გადაიწმინდა და ეტლი „პალას-ოტელისაკენ" დააძრევინა.

იქ შემდეგი მოახსენეს:

– ქალბატონი მარგარიტა ნაშუადღევიდან ვიღაცას ელოდა, ნერვიულობდა, წუხდა, სხვა არავინ მიუღია... ხოლო ცხრა საათზე პეტერბურგს გაემგზავრა თავის თეატრთან ერთად.

ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისკენ დაახვევინა, იქ ბალახებზე წამოქცა, ხელადა ჩაიხუტა და ხმამაღლა ატირდა.

მეღუქნეებმა გვიანით იგრძნეს, რა ცეცხლიც მოსდებოდა მათ საყვარელ მხატვარს, - ვაიმე, ვაიმეო, - გააქნიეს თავები სინანულით, ერთმანეთს გადახედეს და დამწვრისა დაუკრეს:

„კარგი იყო, არ მენახე თავიდანო" და სხვა.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება:

**ყმაწვილი კაცი** – ახალგაზრდა.

**დაანამუსეს** – ნამუსი დააფიცეს, დაავალდებულეს.

**ბოხხმიანი** –ვისაც ბოხი ხმა აქვს.

**დამყოლი** – დამთმობი, კარგი ხასიათის მქონე.

**არაფრის მაქნისია** – არაფერს აკეთებს.

**არაფერს წარმოადგენ!** არაფერი არ ხარ!

**შემობარული კაცივით** – უცხოსავით, მორიდებულად, მორცხვად.

**მუშტარი** – მყიდველი.

**სატინა** – ნაჭრის სახეობა.

**სპეკულანტი აშენა** – გადამყიდველი გაამდიდრა, ბევრი ფული მისცა.

**თვალებფოფინა** – დიდ და ლამაზთვალებიანი.

**დააზვინინა** – დაატვირთინა.

**ქართული ქულაჯა** – ქართული ტანსაცმელი.

**ცას შესწვდა სიხარულით** – ძალიან გაუხარდა.

**ფიალა** – ღვინის სასმისი, თასი (თიხის ან ხისა).

**მტლედ დაედება** – დაეხმარება, მისთვის თავს გასწირავს.

**საყველაწმინდო** – ბოლო სადღეგრძელო ქართულ სუფრაზე, რომლითაც ოჯახს ყველა წმინდა სალოცავს დახმარებას (შეწევნას) სთხოვენ.

**გადაიბეწა** – ლამაზად გაისწორა.

**აბობღდა** – ძლივს აძვრა.

**ორთაჭალა** – ძველი უბანი თბილისში, სადაც სახელგანთქმული აბანოებია.

**ხელადა** – ღვინის შესანახი და ჩამოსასხმელი პატარა ჭურჭელი.

**გუმანით იგრძნეს** – მიხვდნენ.

**დამწვრისა დაუკრეს** – სევდიანი მელოდია დაუკრეს.

**კარგი იყო"** - იეთიმ გურჯის ცნობილი ლექსი (მასზე

## 6. თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრები „კობრას“ მუზეუმში გამოიფინა

თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრები ამსტერდამში, მსოფლიო'ში ცნობილ „კობრას“ მუზეუმში გამოიფინა. ექსპოზიციის გახსნა კონცერტის ფონზე შედგა. “ამსტერდამ სინფონეტამ” გია ყანჩელის საორკესტრო ნაწარმოებები შეასრულა.

გახსნას თავად კომპოზიტორიც დაესწრო. სტუმრებს შორის იყო საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი. ქართულ დღეებში 27 ქართველი ხელოვანი მონაწილეობს. თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრები "კობრას" მუზეუმში ექვს თვეს დარჩება.

ექსპოზიციას რამდენიმე დღეში, მუზეუმის ჰოლანდიელი კურატორის სურვილით, შეემატება ფიროსმანის ტილო ”თეთრი ღორი გოჭებით”.

7.

## თბილისში გაიხსნება გამოფენა „ქართველი ებრაელები - მათი ისტორია და კულტურა“

4 ივლისს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნება გამოფენა, სახელწოდებით “ქართველი ებრაელები – მათი ისტორია და კულტურა”.

გამოფენა ეძღვნება იერუსალიმის ბენ ცვი ებრაული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას "ქართველი ებრაელები - მათი ისტორია და კულტურა".

როგორც „მედიანიუსს“ ეროვნული მუზეუმიდან აცნობეს, ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მცხეთის მუზეუმში დაცული ასზე მეტი, ქართველ ებრაელთა უძველესი ისტორიის და კულტურის ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები, ესენია:

ფერწერული და გრაფიკული ტილოები, ეროვნული სამოსი, ფოტოები, საკულტო-რელიგიური და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

საქართველოში 1933-1936 წლებში ებრაელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მოეწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციები. შეგროვდა უამრავი ჩანახატი, ფოტო, ეროვნული კოსტიუმი, აქსესუარი, ამულეტი, ფოლკლორული მასალა, საკულტო-რელიგიური და სხვა ყოფითი ნივთი. ექსპედიციაში მონაწილე მოწვეული ქართველი მხატვრები ადგილზევე აკეთებდნენ ებრაელთა ტიპაჟებისა და მათი ცხოვრების ამსახველი დეტალების ესკიზებს და შემდეგ უკვე მუზეუმში ჩამოტანილი ნივთების საფუძველზე ქმნიდნენ ებრაული ყოფისა თუ რელიგიური ტუალური შინაარსის სურათებს.

გამოფენა 1 სექტემბრამდე გაგრძელდება.

# თემა 10

# ხელოვნება

1. გიორგიმ გადაწყვიტა, თავისი ნათესავები ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაეპატიჟებინა. ეს განსაკუთრებული წარმოდგენაა - ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი".

ყურადღება!

**2003 წლის 28 აპრილს**
**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის**
**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**
გთავაზობთ:
ზაქარია ფალიაშვილი

## აბესალომ და ეთერი

**ოპერა ოთხ მოქმედებად**

## 2. ზაქარია ფალიაშვილი

ზ. ფალიაშვილი გენიალური ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწეა. იგი ქართული ეროვნული საკომპოზიციო სკოლის ფუძემდებელია. განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღო. 1910 წელს დაიწყო მუშაობა ოპერაზე - „აბესალომ და ეთერი", რომლის ნაწყვეტები 1913 წელს შესრულდა. 1919 წლის 21 თებერვალს ავტორის დირიჟორობით გაიმართა ოპერის პრემიერა. 1923 წელს შექმნა ოპერა „დაისი", 1927 წელს – ოპერა „ლატავრა".

ზ. ფალიაშვილის ოპერაში შერწყმულია ქართული მუსიკალური კულტურისა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის ტრადიციები.

ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო დაწერა პეტრე მირიანაშვილმა ხალხური თქმულების „ეთერიანის“ საფუძველზე.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერებზე ქართველ მომღერალთა თაობები აღიზარდა. მის სახელს 1937 წლიდან ატარებს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი. 1971 წლიდან კი დაწესებულია ფალიაშვილის სახელობის პრემია.

## 3. ზაქარია ფალიაშვილი

## აბესალომ და ეთერი

## ლიბრეტო

### პირველი მოქმედება

ტყეში განმარტოებით ზის ავი დედინაცვლისგან გამოქცეული გლეხის გოგო ეთერი და თავის ობლობას დასტირის.

შორიდან მოისმის მონადირეთა სიმღერა. უფლისწული აბესალომი და მისი ვეზირი მურმანი ამალასთან ერთად სანადიროდ წამოსულან. ეთერი უნებურად მიჰყვება ამ ხმას და მურმანს გადაეყრება. მოულოდნელი შეხვედრით დამფრთხალი ქალი სხვა მხარეს გარბის. აქ მას აბესალომი გადაუჭრის გზას. ეთერის სილამაზით მოჯადოებული ჭაბუკი მარადიულ სიყვარულს ეფიცება მას.ეთეტრსაც ხიბლავს აბესალომის ალსარების მგზნებარება და სიწრფელე.

ენება იპყრობს მურმანსაც, მაგრამ ვეზირი ვერ ბედავს თავისი გრძნობის აშკარად გამოხატვას, ბოროტ ზრახვას კი ჩაიდებს გულში: იგი ფიცს დებს, რომ აბესალომს ეთერს წაართმევს.

### მეორე მოქმედება

სასახლეში ქორწილია. სამეფო ამალის თანხლებით შემოდიან აბესალომი და ეთერი. მეფე ლოცავს ახლად ჯვარდაწერილებს. აბესალომი და ეთერი მარადიული სიყვარულისა და ერთგულების ფიცს დებენ.

მურმანი ეთერს საჩუქრად პატარა ყუთს მიართმევს, რომელშიც მოჯადოებული ყელსაბამი დევს. ყელსაბამმა საშინელი სენი უნდა შეჰყაროს ეთერს. მხოლოდ მურმანს შეუძლია ამ სენისგან მისი დახსნა.

ეთერი შეუძლოდ ხდება. მეფე აბით ცდილობს გაამხიარულოს სტუმრები და მარეხს სთხოვს იმღეროს. მარეხი მღერის, იმართება მხიარული ცეკვა-თამაში.

## მესამე მოქმედება

უბედურება დაატყდა სასახლეს – ეთერი უკურნებელი სენით დაავადდა, ჩამოჭკნა, დაუძლურდა, ველარაფერი შველის.. სასოწარკვეთილებამ შეიპყრო აბესალომი. გლოვობს მთელი სასახლე. დედოფალი ურჩევს შვილს, გაუშვას ეთერი, იქნებ მთებმა და მზემ დაუბრუნოს ჯანმრთელობა. აბესალომისათვის წარმოუდგენელია ეთერის დათმობა, მაგრამ რაკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს, ეთერისავე სიკეთისათვის თანხმდება ასლობლების რჩევას.

მურმანი საწადელს ეწია: ეთერი მას მიჰყავს!

## მეოთხე მოქმედება

მურმანის კოშკში ეთერი განიკურნა, კვლავ დაუბრუნდა სილამაზე. მურმანის დედა და დები თავს ევლებიან მას, ეფერებიან, ცდილობენ გაამხიარულონ, მაგრამ ეთერი უბედურია, მისი გული აბესალომთან დარჩა.

ისმის საყვირების ხმა. ეს აბესალომია! ვერ აიტანა აბესალომმა ეთერთან განშორება, მძიმედ დასნეულდა და აი, ახლა, მურმანის ციხე-კოშკს მიაშურა, რომ უკანასკნელად შეავლოს თვალი ეთერის სამყოფელს.

მურმანი რომ ეთერს დააშოროს, აბესალომი ვეზირს ცხრა მთას იქით გზავნის უკვდავების წყლის მოსატანად.

დედოფალი ნათელა ეთერს აბესალომის ნახვას სთხოვს. მაგრამ ეთერი უარზეა – მას აღარა სწამს ფიცის გამტეხისა!..

მარეხის თხოვნა გულს ულბობს ეთერს. იგი მზადაა შეხვდეს სატრფოს, თუკი ეს აბესალომს ტანჯვას შეუმსუბუქებს.

ხანმოკლე გამოდგა შეყვარებულთა შეხვედრა. დასუსტებული აბესალომი ეთერის მკლავზე კვდება. ეთერი თავს იკლავს სწორედ იმ დანით, რომელიც ოდესღაც აბესალომმა აჩუქა ნიშნად ერთგული სიყვარულისა.

დადგმული რეჟისორი

სცენოგრაფი

სცენის მხატვარი

მუსიკალური გაფორმება

ქორეოგრაფი

რეჟისორი

თეატრალური წარმოდგენის
შემქმნელნი

რეჟისორის ასისტენტი

რეჟისორის თანაშემწე

ტექნიკური კონსულტანტი

ტექნიკური უზრუნველყოფა

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

## 4. თეატრალურ ფესტივალზე

– გამარჯობა, ნანი!

– გამარჯობა, როგორა ხარ?

– კარგად, ნანი. გუშინ სახლში არ იყავი? გირეკავდი და არავინ მიპასუხა...

– არა, არ ვიყავი. მთელი ოჯახი თეატრში წავედით. გუშინ ფესტივალი საზეიმო დაიხურა და დაჯილდოება იყო. ძალიან ლამაზი საღამო იყო.

– მე კი არაფერი ვიცი ამ ფესტივალის შესახებ. გუშინ ჩამოვედი სოფლიდან. მე ხ არდადეგები სოფელში გავატარე. კარგი ფესტივალი იყო? საინტერესო წარმოდგენე იყო?

– ო, ძალიან კარგი. ეს ფესტივალი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, მთელ საქართველოს თეატრები ღებულობენ მონაწილეობას. ორი კვირის მანძილ თბილისის ყველა თეატრში წარმოდგენები იმართება. ფესტივალის პროგრა წინასწარ დგება, ამიტომ ყველამ იცის, სად, რომელი თეატრის რა სპექტაკ ჩატარდება. ბოლოს კი ყველაფერი დაჯილდოების ცერემონიით მთავრდება. ძალი კარგი საღამო იყო რუსთაველის თეატრში.

– შენ რომელ წარმოდგენას დაესწარი?

– შენ ხომ იცი, მე ძალიან მიყვარს თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობ თეატრი. თითქმის ყველა მის წარმოდგენას დავესწარი. ორ სპექტაკლზე მეგობრე დამპატიჟეს. კიდევ ბათუმისა და ახალციხის თეატრების ძალიან კარგი სპექტაკლ ვნახე. მშვენიერი წარმოდგენები იყო, ძალიან მომეწონა.

– დაჯილდოების ცერემონია როგორი იყო?

– ძალიან კარგი. ამ საღამოში თითქმის ყველა მსახიობმა მიიღ მონაწილეო მრავალი პრიზი გაიცა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრ

თუმანიშვილის თეატრის მსახიობს გია როინიშვილს გადაეცა. მთავარ როლს ასრულებს სპექტაკლში - „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის კი ნინელი ჭანკვეტაძეს. საერთოდ, ეს ძალიან კარგი სპექტაკლია, რაფიელ ერისთავის პიესაა და მსახიობებიც ძალიან კარგად თამაშობენ.

– ეს ხომ ტელესპექტაკლიც იყო?

– კი, ტელესპექტაკლიც იყო. და ძალიან ცნობილი მსახიობები თამაშობდნენ: ვასო გოძიაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მურმან ჯინორია, ზაზა ლებანიძე... მაგრამ თუმანიშვილის თეატრის მსახიობების თამაშის და შესრულების მანერა სრულიად სხვაგვარია და ბრწყინვალეა. ძალიან კარგი სპექტაკლია, აუცილებლად ნახე!

– კიდევ ვინ დააჯილდოვეს?

– ახალციხის თეატრის რამდენიმე მსახიობი და რეჟისორი – საუკეთესო რეჟისურისათვის, კიდევ ბათუმისა და რუსთავის თეატრის მსახიობები. ბევრი პრიზი გაიცა. ბოლოს ფესტივალის ორგანიზატორები გამოვიდნენ და დიდი ოვაციები დაიმსახურეს ამ მშვენიერი ფესტივალის მოწყობისათვის.

– ბევრი რამ კარგი გინახავს ამ არდადეგებზე.

– კი, ბევრი რამ იყო საინტერესო.

ახლა კი მეც ჩამოვედი და ერთად ვიაროთ თეატრში. შენ უკვე ყველა წარმოდგენის შესახებ იცი და მირჩევ, რომელი სპექტაკლი ვნახო.

– აუცილებლად, მეც წამოვალ. რამდენიმე სპექტაკლი ისე მომეწონა, მოერედაც სიამოვნებით ვნახე. ზოგი კი ფესტივალზე ვერ ვნახე და ახლა ერთად ვნახოთ.

– კარგი. ახლა ლექცია მეწყება და წავალ.

– მეც. კარგად იყავი.

– ნახვამდის.

## 5. ოთარ მელვინეთუხუცესი

ოთარ მელვინეთუხუცესი 1932 წლის 16 იანვარს, თბილისში, მაშინდელი კავშირის (დღევანდელი თავაიშვილის) ქუჩაზე დაიბადა. ხუთსულიანი ოჯახი ერთ პატარა, 9 კვ / მ ოთახში სახლობდა და ამიტომაც ნივთის საწოლად ჩამაკი აურჩევიათ. შემდეგ, როცა ცოტა წამოიზარდა და ჩამაკში ვეღარ ეტეოდა, იატაკზე გადაინაცვლა..

პურმარილიან ოჯახში გვიანი სტუმრის მოსვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო და მამაც, თურმე, სიყვარულით ეტყოდა, აბა, ჩაიწი, შვილო, ჩაიწიო. პატარა ოთარიც ჩასწევდა ლოგინს და, მხართეძოზე წამოწოლილი, სიამოვნებით უსმენდა სტუმარ-მასპინძლის სიმღერას, ხუმრობას, სადღეგრძელოებს...

დედა დიასახლისი გახლდათ. ადრე დაწვრილშვილებულ ქალბატონს განათლება ვერ მიუღია, მაგრამ შრომისმოყვარეობითა და მუყაითობით ყველას აოცებდა. ცხოვრების უკანასკნელ წლებში, მიუხედავად მძიმე სენისა (იგი ასთმით იყო დაავადებული), როგორც კი ოდნავ მოიკეთებდა და ენერგიას მოიკრეფდა, ვერავინ ნახავდა მოსვენებულს, ფეხჩაკრეფილს, უსაქმოდ გაჩერებულს.

სკოლაში თანაკლასელი ჰყავდა, გურამ ჭიჭინაძე, რომელიც თაამამი ბავშვი იყო, კარგად მღეროდა, უკრავდა, იუმორის გრძნობა ჰქონდა.

მონოლოგი: „მე კი ძალიან მორცხვი ვიყავი, მორიდებული და მომწონდა მასთან ურთიერთობა, ალბათ, ერთმანეთს ვავსებდით. მას ავეტორლიალე და ერთად მივედით პიონერთა სასახლის მხატვრული კითხვის კაბინეტში, ნოდარ ჩხეიძესთან და ვახტანგ სულაქველიძესთან.“

ასე გადადგა ოთარ მეღვინეთუხუცესმა პირველი ნაბიჯი თეატრალური სამყაროსკენ, თუმცა, არც ოჯახური ტრადიცია და არც გარემო, რომელშიც იგი იზრდებოდა, არ მიანიშნებდნენ, რომ ამ ყმაწვილისგან დიდი მსახიობი დადგებოდა. ვახტანგ სულაქველიძეს მთელი ჯგუფიდან მხოლოდ თენგიზ არჩვაძისა და ბატონი ოთარისთვის ურჩევია, თქვენი ხელობა მსახიობობააო.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს უკვე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი გახლდათ ბატონი ოთარი, როდესაც თეატრალური ინსტიტუტის პირველკურსელი გურანდა გაბუნია გაიცნო. ცოტა ხანში იგი მისი მეუღლე და თითქმის უცვლელი თეატრალური პარტნიორი გახდა.

ოთარ მეღვინეთუხუცესი კინოეკრანებზე პირველად 1958 წელს გამოჩნდა. ჯამბულათი ითამაშა სიკო დოლიძის „ფატიმაში“. ამას მოჰყვა გიგა ბეთანელის ფილმში „კეთილი ადამიანები“, ბონდო - „თავადის ქალი მაია“, ჯოყოლა - „ვედრება“, გაიოზი - „ტარიელ გოლუა“, ვახტანგი - „მზე შემოდგომისა“, ელიოზი - „ნატვრის ხე“ და სხვა მრავალი. მაგრამ თავად მსახიობისთვის საეტაპო, განსაკუთრებული მნიშვნელობა მეფე გიორგის - „დიდოსტატის მარჯვენა“, დათა თუთაშხიასა - „დათა თუთაშხია“ და რაბინოვიჩის - „განვედი ჩემგან“, სახეებს ჰქონდათ. ამ უკანასკნელ ფილმში (რომლის რეჟისორი რუსი დიმიტრი ასტრახანი) ბატონი ოთარის

ნამუშევარი 1991 წელს ტოკიოს IV საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, პრიზით აღინიშნა.

დღეს ოთარ მეღვინეთუხუცესი მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ისე, როგორც მთელ ქართულ კულტურას, ამ უძველეს თეატრსაც უჭირს. მის თავკაცს ხშირად უხდება არაორდინალური, ზოგჯერ მტკივნეული და მძიმე გადაწყვეტილებების მიღება. მაგრამ ეს აუცილებელია თეატრის გადარჩენისათვის, იმ დიდი ისტორიის უწყვეტობისთვის.

მიუხედავად უსახსრობისა თუ სხვა ყოფითი პრობლემებისა, მარჯანიშვილელები მაინც ახერხებენ მაყურებელთა გაოცებასა და აღფრთოვანებას. ამის დასტური უკანასკნელი წლების პრემიერები და პოლონეთსა და პეტერბურგში, გლაზგოსა და ედინბურგში (ამ თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა ქალბატონ ქეთი დოლიძის დიდი დამსახურებაა) გამართული გასტროლებია.

## 6. ცოტა რამ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შესახებ

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს დიდი ხნის ისტორია აქვს. 2001 წელს მისი დაარსებიდან 150 წელი შესრულდა.

თბილისში ოპერის პირველი თეატრი 1851 წელს აშენდა (არქიტექტორი ა. სკუდიერი). 1874 წელს ეს თეატრი ხანძრისგან მთლიანად განადგურდა და მხოლოდ 22 წლის შემდეგ, 1896 წელს, დამთავრდა ახალი თეატრის მშენებლობა (არქიტექტორი – ვ. შრეტერი). ეს არის დღევანდელი ოპერის თეატრის შენობა, რომელიც 1973 წლის ხანძრის შემდეგ თავდაპირველი სახითაა რეკონსტრუირებული და XIX საუკუნის II ნახევრის თბილისის მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. მაყურებელთა დარბაზი 1060 მაყურებელს იტევს. თეატრის ფოიეში განლაგებულია შესანიშნავი დარბაზები, სადაც შეიძლება კამერული კონცერტებისა და სხვადასხვა სახის შეხვედრების გამართვა.

პირველი საოპერო სეზონი თბილისში 9 ნოემბერს გაიხსნა გაეტანო დონიცეტის ოპერა „ლუჩია და ლამერმური", პირველი საბალეტო სპექტაკლი – შმიდტის ბალეტი „გიტანა" 1854 წლის 18 იანვარს გაიმართა. თეატრის სცენაზე არაერთი საინტერესო საოპერო თუ საბალეტო სპექტაკლი განხორციელდა, რომელშიც ამ დროისათვის ცნობილი ევროპული და რუსული თეატრალური დასები

მონაწილეობდნენ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან დაკავშირებულია ქართული ეროვნული ოპერისა და ბალეტის დაბადება. ქართული პროფესიული მუსიკის ისტორია XX საუკუნის ათიან წლებში იწყება. ამ დროს იქმნება პირველი ქართული ოპერები: 1918 წლის 17 ივნისს იმართება რ. გოგნიაშვილის „ქრისტინეს" პრემიერა, თუმცა ამ ჟანრის პირველ კლასიკურ ნიმუშებად ითვლება 1919 წელს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმული ოპერები: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე".

პირველი კლასიკური ქართული ბალეტი ა. ბალანჩივაძის „მთების გული" 1936 წელს დადგა თანამედროვეობის უდიდესმა მოცეკვავემ და ბალეტმეისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბალეტო ხელოვნებას.

1937 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელს ატარებს.

7.

ბალეტი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ვცეკვავ". სცენური ხელოვნების სახეობა, რომლის შინაარსი წარმოდგენილია საცეკვაო-მუსიკალურ სახეებში. საბალეტო ხელოვნება აღმოცენდა XVI საუკუნეში ევროპაში, მას შემდეგ მეტად რთული გზა განვლო და იმგვარი სახე მიიღო, როგორითაც დღეს ვხედავთ.

ბალეტის ლიბრეტო – ბალეტის სიუჟეტის და სცენური მოქმედების სიტყვით გადმოცემა.

ბალეტმაისტერი – საბალეტო სპექტაკლების ქორეოგრაფიული ნაწილის, ოპერაში, ოპერეტაში, დრამატულ სპექტაკლებში, ფილმებში საკონცერტო ნომრების ან საცეკვაო სცენების ავტორი.

კორდებალეტი – მოცეკვავეთა კოლექტივი, რომელიც ასრულებს ჯგუ-ფურ ცეკვებს.

ოპერა ლათინური სიტყვაა და თხზულებას ნიშნავს. იგი მუსიკალური ხელოვნების დარგია, რომელიც აერთიანებს მუსიკას, ლიტერატურას, აცენურ მოქმედებას და მხატვრობას. საოპერო ხელოვნება XVI საუკუნის ბოლოს აღმოცენდა იტალიაში და მას შემდეგ განვითარების მეტად რთული გზა განვლო. XVIII-XIX საუკუნეებში კი უკვე იმგვარი სახე მიიღო, როგორითაც დღეს ვხედავთ.

ლიბრეტო ოპერის დრამატურგიული საფუძველია. იგი წარმოადგენს სიტყვიერ ტექსტს, რომელიც ძირითადად ლექსად იწერება.

ქორმაისტერი – გუნდის დირიჟორი და ხელმძღვანელი.

ორკესტრი – სხვადასხვა ინსტრუმენტზე დამკვრელ მუსიკოსთა კოლექტივი.

გუნდი – მომღერალთა კოლექტივი, რომელიც აერთიანებს ქალთა და ვაჟთა ხმებს და სპექტაკლებში ძირითადად წარმოაჩენს ხალხის სახეს.

სასიმღერო ხმები:

სოპრანო – ქალის ყველაზე მაღალი ხმა. სოპრანო შეიძლება იყოს კოლორატურული, ლირიკული და დრამატული.

ᲛᲔᲪᲝ-ᲡᲝᲞᲠᲐᲜᲝ – ქალის საშუალო სიმაღლის ხავერდოვანი ხმა.
ᲢᲔᲜᲝᲠᲘ – მამაკაცის მაღალი ხმა. განირჩევა ორი სახესხვაობა: ლირიკული ტენორი და დრამატული.
ᲑᲐᲠᲘᲢᲝᲜᲘ – მამაკაცის საშუალო ხმა ტენორსა და ბანს შორის.
ᲑᲐᲜᲘ – მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.
ᲐᲠᲘᲐ – მუსიკალური ნომერი ერთი შემსრულებლისთვის, რომელიც სრულად და მრავალმხრივ წარმოაჩენს გმირის სამყაროს.
ᲠᲔᲩᲘᲢᲐᲢᲘᲕᲘ – ვოკალური მუსიკის სახეობა, რომელიც უახლოვდება მეტყველებას.
ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ – მუსიკოსი, რომელიც ამზადებს სპექტაკლის მუსიკალურ მხარეს და ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს მისი შესრულების პროცესს.
ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ – სპექტაკლის მხატვრული ჩანაფიქრის ავტორი, რომელიც მსახიობებთან და მხატვრებთან მუშაობის შედეგად ქმნის წარმოდგენას.
ᲓᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ – სპექტაკლის დეკორაციებისა და კოსტუმების შემქმნელი.
ᲞᲐᲠᲢᲘᲢᲣᲠᲐ – სანოტო ჩანაწერი, რომელშიც გაერთიანებულია სოლისტების, გუნდისა და საორკესტრო ხმების პარტიები.
ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ – მომღერალი ან მოცეკვავე მსახიობი, რომელიც ასრულებს წამყვან პარტიას.

**8.**

ხელოვნება ადამიანის სულიერი საზრდოა. საქართველოში ბევრი ცნობილი ხელოვანი მოღვაწეობს. მათი შემოქმედება დიდ სიამოვნებას *გვანიჭებს* ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

* * *

დღეს კლასიკური (კამერული, საოპერო, საესტრადო) მუსიკის კონცერტია.

ანტრაქტი ათი წუთი გრძელდება.

ჩემი ცოლი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტია.

მე ვიცნობ ცნობილ დრამატურგებს (რეჟისორებს, დირიჟორებს, ქორეოგრაფებს, სცენარისტებს).

ამ პიესის (ლიბრეტოს) ავტორი ახალგაზრდა კაცია.

* * *

– დღეს ჩვენ კლასიკური მუსიკის კონცერტზე მივდივართ, ხომ არ წამოხვალ?

– სიამოვნებით, მაგრამ ბილეთი რომ არა მაქვს?

– ბილეთი ჩვენ გვაქვს.

– რა კარგია! ვისი კონცერტია?

– ცნობილი პიანისტები უკრავენ, ალექსანდრე კორსანტია და თენგიზ ამირეჯიბი.

– რა არის პროგრამაში?

– ბახი, შოპენი, შუბერტი, ბეთჰოვენი.

– ო, რამხელა სიამოვნება გველოდება!

* * *

– დღეს ოპერის თეატრში დამპატიჟა მეგობარმა.

– რა წარმოდგენაა?

– „აბესალომ და ეთერი“.

– ეს ჩემი უსაყვარლესი ოპერაა.

– მეც ძალიან მიყვარს. ზაქარია ფალიაშვილი გენიალური კომპოზიტორია.

– გეთანხმები.

– აბესალომის პარტიას ვინ მღერის?

– თემურ გუგუშვილი.

– მურმანის პარტიას?

– ელდარ გეწაძე. და საერთოდ, ბრწყინვალე მომღერლები გამოდიან.

– დირიჟორი ვინ არის?

– ვახტანგ კახიძე.

9.

– წავიდეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში?

– კი ბატონო, წავიდეთ!

– იქნებ კინოში სჯობდეს ანდა თეატრში?

– არა, მუზეუმი მირჩევნია...

– კარგი, მაშინ ხვალ სამ საათზე გამოგივლი და მზად იყავი!

– კეთილი, გელოდები!

* * *

საქართველოში უამრავი მუზეუმი, თეატრი, საკონცერტო დარბაზი და კლუბია.

ეს შენობა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმია. აქ შეგიძლიათ გაეცნ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ნაციონალური კულტურის ძეგლებს. მუზე დაარსდა დაახლოებით ას ოთხმოცდაათი წლის წინ. ამ მუზეუმში არის ისტორიუ

არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ზოოლოგიური. სასოფლო-სამეურნეო და საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების განყოფილებები. აქ არის ოქროსა და ვერცხლის ძვირფასი ნივთები, ძველი ქართული ხელნაწერები.

მუზეუმში ხშირად მოდიან მნახველები. ისინი აღფრთოვანებას ვერ მალავენ ამ სამუზეუმო ექსპონატების ნახვისას.

# თემა 11

## 1. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი

ქართული დამწერლობა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში; მისი სათავეები შორეულ წარსულშია საძიებელი.

საკითხი იმის შესახებ, როდის წარმოიშვა ქართული დამწერლობა და რომელი ანბანის საფუძველზე, ჯერაც არ არის საბოლოოდ დადგენილი. ამ საკითხზე სხვადასხვა ისტორიული ცნობები მოიპოვება, არსებობს სხვადასხვა შეხედულებები.

უძველესი ცნობები ჩვენი დამწერლობის შესახებ დაცულია ბერძნულ წყაროებში – აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" ნათქვამია, რომ კოლხებს შენახული ჰქონდათ თავიანთი მამების ნაწერი კვირბები (მაგარ საგნებზე ამოკვეთილი ნიშნები), რომლებზეც ნაჩვენები იყო ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარიო.

რამდენიმე ავტორის ცნობით, კოლხეთში ინახებოდა არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც ოქროს მოპოვების ხერხები იყო აღწერილი.

ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქართული მწიგნობრობის შემომღებად ფარნავაზ მეფეს მიიჩნევს. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით ფარნავაზის მეფობა სავარაუდებელია IV-III საუკუნეებში. ზოგი მკვლევარი ქართული ანბანის შექმნას სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს. ი. ჯავახიშვილი კი შესაძლებლად მიიჩნევს VIII-VII საუკუნეებში გადაიტანოს ეს თარიღი.

საისტორიო წყაროებში დაცული ერთი ცნობის მიხედვით სომხებს, ქართველებსა და ალბანელებს თითქოს ერთმა პიროვნებამ – V საუკუნის (ახ. წ.) სომეხმა მოღვაწემ მესროპ-მაშტოცმა შეუქმნა ანბანი. ეს ცნობა ეკუთვნის V საუკუნეშივე მოღვაწე სომეხ ისტორიკოს კორიუნს, რომელმაც აღწერა მესროპ-მაშტოცის ცხოვრება. ამ ცნობის სისწორეში იმთავითვე გაჩნდა ეჭვები. საბოლოო ნიადაგი მას ი. ჯავახიშვილის დაკვირვებამ გამოაცალა: კორიუნის თხზულება ჩვენამდე უცვლელი სახით არ არის მოღწეული. ამას ადასტურებს კორიუნის თხზულების შედარება მეორე სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის თხზულებასთან. ფარპეცი ზუსტად იმეორებს

კორიუნის ცნობებს, მაგრამ მესროპ-მაშტოცის მიერ ქართველებისა და ალბანელებისთვის ანბანის შექმნის თაობაზე არაფერს ამბობს. ჯავახიშვილის აზრით, ცნობა მესროპ-მაშტოცის მიერ ქართველთათვის ანბანის გამოგონების შესახებ გვაიანდელი ჩანართია. საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: მესროპ-მაშტოცი V საუკუნის 20-იან წლებში შეუდგა მოღვაწეობას, ხოლო ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლების დაახლოებით იმავე ხანებს ეკუთვნის, ნაპოვნია პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად. ქართული ანბანი რომ მართლა V საუკუნის 20-30-იან წლებში იყოს შექმნილი, წარმოუდგენელია, მას ასეთ მოკლე დროში სრულყოფილი სახე მიეღო და საქართველოს ფარგლებს გარეთაც გავრცელებულიყო.

ქართული ანბანის ფესვები უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

ი. ჯავახიშვილის ჰიპოთეზით, ქართული ანბანი ფინიკიურ-სემიტურს უკავშირდება.

გ. წერეთლის დასკვნით, ქართული დამწერლობა არამეულიდან წარმოდგება.

რ. პატარიძე ძირითადად ასოთა გრაფიკული ანალიზის მიხედვით ასკვნის, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახე – ასომთავრული შექმნილია ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში.

თ. გამყრელიძემ ფინიკიური, ბერძნული და ქართული ანბანი ერთმანეთს შეუდარა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული ანბანი ბერძნულის საფუძველზეა შექმნილი.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება:

**მისი სათავეები შორეულ წარსულშია საძიებელი -**

**უძველესი ცნობები დაცულია... -**

**მწიგნობრობის შემომღები -**

**საისტორიო წყაროები -**

**ზუსტად იმეორებს -**

**გვიანდელი ჩანართი -**

**ჰიპოთეზა -**

ასოთა გრაფიკული ანალიზი -

2.

ბიბლიოთეკა (ბერძნ. bibliothēkē < biblion - წიგნი და thēkē - საცავი), კულტურულ-საგანმანათლებლო და დამხმარე სამეცნიერო დაწესებულება, ბეჭდვით ნაწარმოებთა საზოგადოებრივი სარგებლობის ორგანიზატორი. სისტემატურად კრებს ბეჭდვითს ნაწარმოებებს, იცავს მათ, უწევს პროპაგანდას და გასცემს მკითხველებზე, ატარებს აგრეთვე საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მუშობას.

## ბიბლიოთეკების ისტორია საქართველოში

საქართველოში ბიბლიოთეკების ისტორია უკავშირდება მონასტრების საქმიანობას. ეკლესია-მონასტრების დაარსებისთანავე წიგნსაცავის შექმნაზე ზრუნავდნენ. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა. ბიბლიოთეკებს ძირითადად შემოწირული წიგნები შეადგენდნენ. X საუკუნეში უკვე მოწესრიგებული ჩანს წიგნების დაცვის, სარგებლობისა და აღნუსხვა-აღწერის საქმე. წიგნით სარგებლობა მხოლოდ საცავში შეიძლებოდა. დიდ კულტურულ-სამწიგნობრო ცენტრებს, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით VIII-IX საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში შეიქმნა, თავისი ბიბლიოთეკა ჰქონდა.

ვიკიპედია

3.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა არის საქართველოს ძირითადი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო ექვემდებარება საქართველოს პარლამენტს. იგი წარმოადგენს საქართველოს მთავარ სახელმწიფო წიგნსაცავს, ქართული ნაბეჭდი ერთეულის დეპოზიტარიუმს, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო-მეთოდურ ცენტრს.

## საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორია 1846 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც თბილისში მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის

ბაზაზე დაარსდა "ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა". საჯარო ბიბლიოთეკის გახსნით ასრულდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების ოცნება, თბილისში შექმნილიყო ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა მოსახლეობის ყველა ფენისათვის. ქართული საზოგადოების მხარდაჭერას ამ საქმეში ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1848 წელს ახლადდაარსებულ საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით თბილისში გახსნილი "კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის" ფონდი. საჯარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების საქმე დაევალა მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელეს, გავრილ ტოკარევს და გადაწყდა, რომ ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულიყო წმინდა კავკასიოლოგიური ლიტერატურით. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია საქართველოში მყოფმა ფრანგმა მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ. 1859 წლისათვის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი შედგებოდა 13.260 ტომისაგან 19 ენაზე. ფონდების გაზრდასთან ერთად კანცელარიის შენობა აღარ აკმაყოფილებდა ბიბლიოთეკის მოთხოვნილებებს და საჭირო გახდა ბიბლიოთეკის შენობის აშენება. 1847 წელს მთავარმართებელმა მიხაილ ვორონცოვმა თხოვნით მიმართა ცნობილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ვახტანგ ორბელიანს, თავისი სახსრებით აეგო საჯარო ბიბლიოთეკისათვის შენობა, რასაც ვახტანგ ორბელიანი დაეთანხმა და 1851 წელს შენობა საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა. 1850 წელს მიხაილ ვორონცოვმა ბიბლიოთეკარად მოიწვია მოსკოვში არსებული რუმიანცევის მუზეუმის წამყვანი თანამშრომელი ლუდვიგ დე სან-ტომა, რომელმაც რამდენიმე თვე იმუშავა და შემდეგ ჯამრთელობის გაუარესების გამო სამუშაო ადგილი თავის შვილს გადაულოცა, რომელიც 1857 წლამდე ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკას. 1852 წლის ივნისიდან მიხაილ ვორონცოვის განკარგულებით დაევალა საცენზურო კომიტეტს, რომ კავკასიის ფარგლებში დაბეჭდილი ყველა გამოცემის ორი ეგზემპლარი, როგორც სავალდებულო ცალი, გადასცემოდა საჯარო ბიბლიოთეკას.

ვორონცოვის განკარგულებით 1852 წლამდე წიგნით სარგებლობისათვის ბიბლიოთეკა ღია იყო დილის 10 საათიდან 4 საათამდე. 1852 წლიდან კი დილის პირველი საათიდან დაბინდებამდე. 1868 წელს კავკასიის მეფისნაცვლის გამგებლობაში არსებული დაწესებულებების რეორგანიზაციის შედეგად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი მმართველობის ერთ სისტემაში გაერთიანდა და ეწოდა "კავკასიის მუზეუმი და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა".

1869 წელს დაიწყო ბიბლიოთეკის ახალი შენობის მშენებლობა კავკასიის მუზეუმიდან 60-იოდე მეტრის დაშორებით. 1871 წელს ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა. კავკასიის მუზეუმის და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ლეგენდარული დირექტორის, გუსტავ რადეს გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკის დაკომპლექტების და, საერთოდ, ფუნქციონირების საქმე აირია. 1913 წლის 3 დეკემბერს ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა კავკასიის მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკად გარდაიქმნა და მთლიანად შეერწყა კავკასიის მუზეუმს. 1914 წელს კავკასიის მუზეუმის ახალი შენობის მშენებლობის გამო ბიბლიოთეკა დაიხურა, ფონდები კი ყუთებში ჩაალაგეს და 10 წელი სარდაფებში ინახებოდა. 1923 წლის 30 მაისს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისა და 1918 წელს დაარსებული პარლამენტის ბიბლიოთეკის ბაზაზე. ექვემდებარებოდა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, 1953 წლიდან ახლადშექმნილ კულტურის სამინისტროს, ხოლო 1996 წლიდან საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაშია. 1923 წლიდან არარეგულარულად, ხოლო 1926 წლიდან რეგურალურად იღებდა საბჭოთა კავშირის ბეჭდური პროდუქციის აუცილებელ უფასო ეგზემპლარს საბჭოთა კავშირის ყველა ენაზე, 1950 წლიდან მხოლოდ რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ევროპულ ენებზე, 1923 წლიდან რეგულარულად საქართველოს ბეჭდური პროდუქციის აუცილებელ უფასო ეგზემპლარს (2 ერთ.)

1929 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა ყოფილი სათავადაზნაურო ბანკის შენობის ნაწილი (დღეს Iკორპ.) 1931 წელს სამკითხველო დარბაზები გაიხსნა მკითხველთათვის. 1937 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა 1880-1927 წლებში მოქმედი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, რომელმაც შეავსო საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი და გახადა იგი ეროვნული ნაბეჭდი ერთეულის ყველაზე სრულყოფილი კოლექციის მფლობელად. 1939 წელს დასრულდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების გენერალური სისტემატური და ანბანური კატალოგების შედგენა. ბიბლიოთეკა 1957 წლიდან აწარმოებს საერთაშორისო წიგნთგაცვლას. 1953 წელს ბიბლიოთეკას გადაეცა მიმდებარე შენობა (დღეს II კორპუსი), ხოლო 1987 წელს იმავე ქუჩაზე არსებული გამორჩეული არქიტექტურის მქონე ყოფილი სააქციო ბანკის შენობა (დღეს III კორპუსი). 1971 წელს დაიწყო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის კორპუსის მშენებლობა (დამთავრდა 1977 წელს). 1989 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა პერსონალური კომპიუტერი, 1990 წლიდან

დაიწყო ელექტრონული კატალოგის წარმოება. 2001 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერის ქსელი.

1955 წლიდან 1990 წლამდე სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სახელწოდებით ფუნქციონირებდა. 1990 წელს ეწოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სახელი, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით გადავიდა საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში და ეწოდება "საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა". 2000 წლიდან ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის სახელობისაა.

არის საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წევრი 1991 წლიდან.

4.

წიგნის მაღაზია "პარნასი" 2002 წლის 26 დეკემბერს თბილისის ცენტრში, ჭავჭავაძის 22-ში გაიხსნა. ეს იყო საქართველოში პირველი, თანამედროვე ტიპის, საერთაშორისო სტანდარტების მქონე წიგნის მაღაზია. იმ დროის თბილისისთვის "პარნასი", უჩვეულო და უპრეცენდენტო მრავალფეროვნებით, სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართველი მკითხველისათვის.

გახსნის დღიდან "პარნასში" სისტემატურად ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები, ახალი ქართული წიგნების პრეზენტაციები და შეხვედრები კლასიკოს და ახალგაზრდა მწერლებთან თუ პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.

სხვადასხვა დროს "პარნასში" გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის, ნუგზარ შატაიძის, ბესიკ ხარანაულის, გივი ალხაზიშვილის, ლანა ღოღობერიძის, დათო მაღრაძის, ზაალ სამადაშვილის, აკა მორჩილაძის, ანა კორძაია-სამადაშვილის, დათო ტურაშვილის, მიხო მოსულიშვილის, ლაშა ბუღაძის, ზაზა თვარაძის, ირაკლი კაკაბაძის, ბესო ხვედელიძის, სვიად რატიანის, რატი ამაღლობელის, ნესტან კვინიკაძის, შოთა იათაშვილის, ბასა ჯანიკაშვილის, გაგა ნახუცრიშვილის, ნიკუშა ანთაძის და სხვა მრავალი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის წიგნის პრეზენტაცია.

ზუსტად სამი წლის შემდეგ "პარნასის" კიდევ ერთი მაღაზია გაიხსნა თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, სადაც გადაინაცვლა ჩვეულმა ღონისძიებებმა.

2006 წლის სექტემბერში "პარნასის" ქსელი დასავლეთ საქართველოში გაფართოვდა და გაიხსნა ფილიალი ფოთის ცენტრში.

ყოველი წლის 26 დეკემბერს, წლის განმავლობაში ყველაზე გაყიდვადი წიგნებ ავტორებს და გამომცემლებს გადაეცემათ "პარნასის" ყოველწლიური პრემია წლ ბესტსელერისათვის.

"პარნასი" მარაგდება ქართული წიგნის ბაზარზე არსებული ყველა ქართული თ უცხოური გამოცემით. გარდა ამისა, მაღაზია გამოირჩევა უცხოენოვა ლიტერატურის სიუხვით.

და ბოლოს, "პარნასის" არცთუ უმნიშვნელო ღირსების შესახებ: მოგემსახურებიან თავაზიანობითა და ღიმილით!

# თემა 12

# ქართველი მწერლები

1. შოთა რუსთაველი, რუსთველი (*დაახ. 1160/65 წწ) - მე-12 საუკუნის დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე, ავტორი საქვეყნოდ ცნობილი პოემისა "ვეფხისტყაოსანი". მსოფლიოს მრავალ ლიტერატურათმცოდნეთა მიერ მიიჩნევა შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად.

## შოთა რუსთაველის ფრესკა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში

შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენამდე თითქმის არავითარ ცნობას არ მოუღწევია. რიგი ისტორიული, ლიტერატურული და ფოლკლორული წყაროების საფუძველზე იქმნება დიდი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთი ვერსია. რუსთაველის ბიოგრაფიული მონაცემების დასადგენად ერთ-ერთი ძირითადი წყარო თვით მისი პოემაა.

რუსთაველის ავტორობას გვიმოწმებს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგი ("დავჯდე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარსობილი", "მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი"), ეპილოგი, აგრეთვე XV-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა (ამაზე ადრინდელი ცნობები არ მოგვეპოვება). სახელწოდება რუსთაველი (რუსთველი) უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტს რუსთავს და ნიშნავს რუსთავის მკვიდრს ან რუსთავის ციხე-ქალაქის გამგებელს, მეპატრონეს. იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე გვაფიქრებინებს, რომ მეორე მნიშვნელობა უნდა იყოს სწორი. რუსთაველის სახელის შესახებ პირდაპირ ცნობას გვაწვდიან თეიმურაზ I (იგი ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა შესახებ ამბობს: "ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითაო") და XVII-XVIII საუკუნეებში სხვა ქართველი მწერლები. ამასვე ადასტურებს რუსთაველის ფრესკული პორტრეტი XIII საუკუნის I ნახევრის წარწერით, რომელიც რესტავრირებული სახითაა შემონახული

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვეტზე (გაბაშვილი, ტიმოთე(ტ. გაბაშვილის მიერ 1757-1758 ნანახი და შემდეგში ზეთის საღებავების სქელი ფენით დაფარული ფრესკა გამოავლინა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციამ) და ამავე საუკუნეში მონასტრის საალაპო წიგნში მოსახსენებელი "შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ", რომელიც იგივე რუსთაველი უნდა იყოს. ფრესკის წარწერის მიხედვით, რუსთაველს შეუკეთებია და განუახლებია ჯვრის მონასტერი.

## 2. ვეფხისტყაოსნის მანუსკრიპტი

სავარაუდოა, რომ პოეტი ყოფილა სამეფო კარის დიდი მოხელე, ვაზირი, თამარ მეფესთან დაახლოებული პირი. როგორც მეჭურჭლეთუხუცესს, მას ევალებოდა ქართულ საკულტო ძეგლებზე, მ. შ. ჯვრის მონასტერზე ზრუნვა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პოეტი სიცოცხლის მიმწურს გაემგზავრა იერუსალიმში, აღიკვეცა ბერად, იქვე აღესრულა და იქვეა დასაფლავებული. არ მართლდება გადმოცემა პოეტის ბერად შედგომაზე: ფრესკაზე გამოხატული ქართველი დიდებული ერისკაცის სამოსელშია გამოწყობილი. თანაც რუსთაველს, როგორც ვაზირს, შეეძლო საქართველოდანვე წარემართა მონასტრის შეკეთება-განახლებისათვის საჭირო საქმიანობა. რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობების სემცველ სხვა წერილობით წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ხალხური გადმოცემით, პოეტი მესხი უნდა იყოს. მესხად თვლის მას პოეტი არჩილ II. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანიც მიგვანიშნებს შოთას მესხურ წარმოშობაზე. შესაძლებელია სახელწოდება რუსთაველი უკავშირდებოდეს მესხეთის რუსთავს, რომელიც მდებარეობს ახალციხე-ასპინძის შარაგზის მახლობლად.

პოეტის დაბადების თარიღად მიიჩნევენ 1160-1165 წლებს. ის ცხოვრობდა საქართველოს მეფის თამარისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ზეობის პერიოდში, ქართული სახელმწიფოსა და მისი ხალხის მატერიალური და სულიერი აყვავების პერიოდში.

1960 წელს პალესტინაში გაემგზავრნენ ქართველი მეცნიერები ი. აბაშიძე, გ. წერეთელი, ა. შანიძე, რომელთაც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოიძიეს და გადაიღეს სვეტზე გამოსახული შოთა რუსთაველის პორტრეტი. აქ მოპოვებული მასალით დასტურდება, რომ იგი იყო მეჭურჭლეთუხუცესი თამარის კარზე. ლეგენდის თანახმად, პოეტი გარდაიცვალა ჯვრის მონასტერში, თუმცა ეს ვერსია სადავოა.

არის კიდევ ერთი ვერსია პოეტის წარმომავლობის შესახებ, რომელიც პავლე ინგოროყვამ გამოთქვა თავის მონოგრაფიაში "რუსთაველიანა". მისი მიხედვით, შოთა რუსთაველი ეკუთვნოდა უმაღლესი არისტოკრატიის წრეს. ეს დასტურდება პოემის შინაარსით. მას კარგად ესმოდა სამხედრო საქმე და მისი ისეთი ნიუანსები, რომელთაც მხოლოდ ცნობილი და გამოცდილი სარდალი თუ ფლობდა. ასევე ქვეყნის მართვისა და გამგეობის, სამეფო კარის ინტრიგების, ნადირობისა და ზეპური საზოგადოების გართობის სხვა სახეობათა ზედმიწევნით კარგი ცოდნა მეტყველებს, რომ შოთა რუსთაველი თავის ნაწარმოებში ბევრ შემთხვევაში ისტორიულ სინამდვილეს გადმოგვცემს. ასეთი დიდგვაროვანი და მაღალი ფეოდალი სახელით შოთა მისი თანამედროვე ეპოქის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული და მისი გვარის გენეოლოგია მეტნაკლებად ცნობილი უნდა იყოს.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ პოეტის პიროვნება იყოს შოთა გრიგოლის ძე ჰერეთის ერისთავი.

განათლება: შოთა რუსთაველმა, როგორც ჩანს, ბრწყინვალე განათლება მიიღო ჯერ საქართველოში, იყალთოს აკადემიაში, შემდეგ - ბიზანტიაში; შეისწავლა ბერძნული, არაბული და სპარსული ენები, იცნობდა არა მარტო ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომებს, არამედ ანტიკურ ფილოსოფიას, ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, პლატონის ნაშრომებს, აღმოსავლურ ლიტერატურას (ფირდოუსი, გურგანი, ნიზამი და სხვა). ყოველივე ეს, აგრეთვე პოეტის განსწავლულობა ასტრონომიაში, ასტროლოგიაში, გეოგრაფიაში, მედიცინაში, ფილოსოფიაში, სამართალში, ისტორიაში, სამხედრო საქმეში და სხვა, ასახულია მის პოემაში.

მემკვიდრეობა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში შოთა რუსთაველის სახელს ატარებს (შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია). თბილისის მთავარ გამზირსაც რუსთაველის სახელი ჰქვია. ასევე არსებობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, და ა.შ.

## 3. ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, სოფელ ყვარელში. მისი მშობლები თავადები იყვნენ. მამა - გრიგოლ ჭავჭავაძე იმდროისათვის დიდად განათლებული პიროვნება

გახლდათ, დედა – მარიამ ბებურიშვილი კი ქართული ლიტერატურის უბადლო მცოდნე ყოფილა, მას სულ ზეპირად სცოდნია თითქმის ყველა ლექსი, ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც მაშინ იშოვებოდა. დედა შვილებსაც უნერგავდა მშობლიური ლიტერატურის სიყვარულს. მაგრამ ილიას პატარობაშივე გარდაცვლია ჯერ დედა, მალე კი მამაც. დაობლებული ილია და მისი და-ძმები მამიდა მაკრინემ წაიყვანა აღსაზრდელად. რომ წამოიზარდა, ილია ჯერ კერძო პანსიონში, შემდეგ კი თბილისის ეაუთა გიმნაზიაში მიაბარეს სასწავლებლად, რომელიც მან წარმატებით დაამთავრა. ადრე საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები არ იყო და ამიტომ, ვისაც სწავლის გაგრძელება უნდოდა, რუსეთში უნდა წასულიყო. ილიაც დაადგა შორეულ გზას რუსეთისაკენ. სწორედ ამ დროს დაიწერა მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსი „ყვარლის მთებს", რომლითაც ილია ემშვიდობებოდა თავის სამშობლოს მთელი ოთხი წლით.

პეტერბურგი იმ დროს რუსეთის დედაქალაქი იყო, იქ ცნობილი უნივერსიტეტი მდებარეობდა. ილია იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მან იცოდა, რომ სამშობლოს განათლებული ადამიანები სჭირდებოდა. ამიტომ დაუღალავად შრომობდა, ბევრს მეცადინეობდა, კითხულობდა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა პეტერბურგში მყოფი ქართველები, რომლებიც მასავით ცოდნის გასაღრმავებლად ჩასულიყვნენ იქ. ისინი ერთად ფიქრობდნენ საქართველოს მომავალზე და იმაზე, თუ რითი შესძლებდნენ დახმარებოდნენ სამშობლოს.

სწავლის დასრულების შემდეგ ილია სამშობლოში დაბრუნდა. მას ძალიან ბევრი რამის გაკეთება სურდა. საქართველო იმ დროს მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო: რუსეთის იმპერიას უკვე დიდი ხანია გაეუქმებინა მეფობა, აღარც ეკლესია იყო დამოუკიდებელი, წირვა-ლოცვა რუსულად ტარდებოდა, არ არსებობდა ქართული სკოლები. იმ სკოლებში კი, რომლებიც მაშინ საქართველოში იყო, მხოლოდ რუსულად ასწავლიდნენ. ბევრმა ადამიანმა წერა-კითხვა არ იცოდა.

ილიამ და მისმა მეგობრებმა დააარსეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა ხალხს წერა-კითხვას, ურიგებდა წიგნებს. ილია ჭავჭავაძის მონდომებით დაარსდა ასევე ქართული ჟურნალი, რომელსაც „საქართველოს მოამბე" ერქვა, მასში გამოჩენილი ქართველი მწერლების ლექსები, მოთხრობები, პოემები, წერილები იბეჭდებოდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ილიას დანიშვნა სათავადაზნაურო სააღგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ, ეს ბანკი ილიამ ეროვნულ ბანკად აქცია

რომელიც უდიდეს ფულად დახმარებას უწევდა საქართველოს ყველა ძირითად საზოგადოებრივ-კულტურულ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

იმდროინდელ საქართველოში რუსი ჩინოვნიკები ყველანაირად ცდილობდნენ, ჩაეკლათ ქართული სიტყვა, ქართული სული, ქართულად ლაპარაკსაც კი სირცხვილად თვლიდნენ. და ამ ფონზე ილიამ დააარსა ქართული თეატრი, სადაც იდგმებოდა პიესები ქართულად ქვეყნისათვის საჭირბოროტო თემებზე. ასევე გაიხსნა ქართული გიმნაზია და წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა.

ამ მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად ილია არ ივიწყებდა მწერლობას. მან დაგვიტოვა უამრავი ლექსი, პოემები, მოთხრობები, წერილები, რომელთა ერთადერთი ტკივილი და საზრუნავი საქართველო და მისი მომავალი იყო, მათში ილიამ დაგვისახა გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი სამშობლო ძლიერი, თავისუფალი და გაბრწყინებული იყოს. მაგრამ საქართველოს მხოლოდ მოყვრები როდი ჰყავდა. საქართველოს ფარული თუ აშკარა მტრები ილია ჭავჭავაძესაც მტრობდნენ.

ერთხელ, როდესაც ილია თავის მეუღლესთან – ოლღასთან ერთად ეტლით თბილისიდან საგურამოს მიემგზავრებოდა, წიწამურთან მათ წინ გადაუდგნენ შეიარაღებული პირები და თოფები ეტლში მყოფთაკენ მიმართეს. ილია ფეხზე წამოდგა და დაუძახა: „რას სჩადით? ილია ვარო“. „ილია რომ ხარ, იმიტომ უნდა მოგკლათო“, - უპასუხნიათ ჯალათებს და სროლა აუტეხიათ. ილია და მისი მოურავი იქვე გარდაიცვალნენ, ხოლო ოლღა მძიმედ დაიჭრა.

ეს საშინელი ამბავი ელვასავით მოედო მთელს საქართველოს. გლოვითა და ტირილით აივსო სახლები. ილიას ხომ ყველა საქართველოს მამად, უგვირგვინო მეფედ თვლიდა. „საქართველო დაობლდაო“, ასე შეაფასეს მაშინდელმა ქართველებმა ილიას სიკვდილი. გასვენებაზე ქუჩები გაჭედილი იყო ხალხით, ყველას სურდა, უკანასკნელი პატივი მიეგო სათაყვანო მამულიშვილისათვის. ქართველმა ერმა თავისი მოწიწება და სიყვარული იმით გამოხატა, რომ ილიას ნეშტი თბილისის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილას – მთაწმინდაზე დაკრძალა. ხოლო რამოდენიმე წლის წინ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანთა დასში შერაცხა და უწოდა წმინდა ილია მართალი.

## 4. აკაკი წერეთელი

## 1840-1915

ერთ დღეს, იმერეთში, სოფელ სხვიტორში, თავად როსტომ წერეთლის სასახლეში დაიბადა „ერთი რაღაც დათვისბელა, ბამბისქულა“ ბიჭი. ეს იყო აკაკი.

ადრე საქართველოში ერთი ჩვეულება არსებობდა: მეფეები და მთავრები შვილებს ერისმთავრებს აზრდევინებდნენ, დიდებულები – აზნაურებს, აზნაურები და, ხშირად, თავადებიც კი – გლეხებს. ეს გაზრდილ-გამზრდელობა სხვადასხვა წოდებას მეტად აახლოებდა და ქვეყანაში მაღალ და დაბალ წოდებას შორის, სწორედ ამ ჩვეულების წყალობით, კეთილგანწყობილება და სიყვარული სუფევდა.

პატარა აკაკიც მეზობელ სოფელში, გლეხ ფარსადან ყანჩაველს მიაბარეს აღსაზრდელად. „არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ თუკი რამე დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ვიზრდებოდი“, - ამბობს თავად აკაკი. გლეხებისაგან მან ისწავლა გულმოდგინე, შრომა, გარჯა, სხვადასხვა საქმე: ხვნა, თესვა, მკა... მაგრამ როცა მოიზარდა და სკოლაში შესვლის დრომ მოაწია, მშობლებმა აკაკი შინ წაიყვანეს.

აკაკის მშობლები მეტად განათლებული და სათნო ადამიანები იყვნენ. წერა-კითხვა ქართულად და რუსულად, საქართველოს ისტორია, „ვეფხისტყაოსანი“, ხუცური კითხვა და სხვა სწორედ ოჯახში შეისწავლა აკაკიმ. რვა წლის რომ შესრულდა, ქუთაისში წაიყვანეს და გიმნაზიაში მიაბარეს.

აკაკი ძალიან გონებამახვილი და ნიჭიერი ბავშვი იყო. ადვილად ითვისებდა ახალ-ახალ საგნებს და ბეჯითადაც მეცადინეობდა. ის უკვე ბავშვობაში წერდა ლექსებს, გიმნაზიაში სწავლის დროს დაწერა მან თავისი პირველი პოემა „გამზრდელი“.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში გაემგზავრა და იქ უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

აკაკიმ ცოლად შეირთო რუსის ქალი და ერთხანს მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება. იგი მხარში ედგა და ყოველნაირად ეხმარებოდა ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, დიმიტრი ყიფიანსა და სხვა ქართველ მამულიშვილებს „ქართველთა

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების", ქართული თეატრალური დასის, დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბება-მუშაობაში და ქვეყნისათვის სასიკეთო სხვა საქმეებში.

აკაკი წერეთელს ეკუთვნის მრავალი წერილი სხვადასხვა, საქართველოსათვის საჭირბოროტო საკითხის შესახებ. ამ მხრივ მისმა მოღვაწეობამ საძირკველი ჩაუყარა ქართული ჟურნალისტიკის განვითარებას.

აკაკი წერეთელს ოჯახიდან მოჰყვებოდა სამშობლოს სიყვარული და ერთგულება. ეს მის ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში ნათლად აისახა. კითხულობ „თორნიკე ერისთავს", „ბაგრატ დიდს", „ბაში-აჩუკს" და თითქოს ცოცხლდებიან წარსულის გმირები.

ხალხს ძალიან უყვარდა აკაკის ლექსები. ბევრ მათგანზე, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში, შეიქმნა სიმღერები, რომლებიც დღესაც ისევე საყვარელია, როგორც მაშინ იყო: „ციცინათელა", „ჩონგური", „სულიკოს" ხომ უკვე მთელს მსოფლიოში იცნობენ.

აკაკი წერეთელი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, ის ილიას გვერდით, მთაწმინდაზე დაკრძალეს.

# თემა 13

# საქართველოს სამთო და ზღვისპირა კურორტები

1.

კურორტი ადგილია, სადაც არსებობს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებ- (მინერალური წყალი, ტალახი, გამაჯანსაღებელი თვისებების მქონე ჰავა) დ- აუცილებელი პირობები სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით მათ გამოსაყენებლად.საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 10 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიულ ეროვნული პარკი და ა. შ. ე. ი. თუ ლოგიკას მივყვებით და არსებული პოტენციალის რანჟირებას მოვახდენთ ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა კულტურული, სამკურნალო, საკურურტო, ეკო და ა. შ.

საქართველო ცნობილია ზამთრისა და ზაფხულის კურორტებით.

### გუდაური

პოპულარული სათხილამურო კურორტი საქართველოში – ის მდებარეობს თბილისიდან 120 კმ-ში (ზღვის დონიდან 2000 მ-ზე). გუდაური პოპულარულია როგორც ქართველ ისე უცხოელ მოთხილამურეებში. გუდაურში შეგიძლია დატკბე ზამთრის პეიზაჟებით, ლამაზი ცითა და მზიანი დღეებით. გუდაური მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო ცენტრია სათხილამუროდ.

## ბათუმი

ბათუმი მდებარეობს თბილისიდან 350 კმ-ში, შავი ზღვის სანაპიროზე, თურქეთის საზღვრიდან 15 კმ-ში (9,5 მილი). ბათუმი არის მიმზიდველი ქალაქი და პოპულარული კურორტი მათთვის, ვისაც უყვარს ზღვა და დასვენება. ბაღები და ქუჩები გაფორმებულია ისეთი ეგზოტიკური მცენარეებით, როგორებიცაა: პალმები, ბამბუკები, ევკალიპტები, მაგნოლიები, დაფნები და ა.შ.

ქალაქის ჩრდილოეთით არის ბათუმის ბოტანიკური ბაღი, რომელიც მდიდარია სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეებით. ბათუმი ჩაისა და ციტრუსის მოყვანის ცენტრია. ზაფხული თბილია და სასიამოვნო. ის მშვენიერი ადგილია დასასვენებლად.

## გრიგოლეთი

გრიგოლეთი მდებარეობს ლანჩხუთის რაიონში. ფართო, ქვიშიანი სანაპირო გაჯერებულია მაგნიტით, რომელიც სამკურნალოდ გამოიყენება. მთელ სანაპიროს მიჰყვება ფიჭვის ხეები.

## ქობულეთი

ქობულეთი გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროზე. პლაჟი ქვიანია. მცენარეულობა, ძირითადად, წარმოდგენილია ჩაით, ბამბუკით და სხვა ტროპიკული მცენარეებით. ზაფხული არის ძალიან თბილი. აქ შეგიძლიათ დაისვენოთ ცურვითა და აქტიური გართობით.

## მწვანე კონცხი

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა კურორტია მწვანე კონცხი, რომელიც ბათუმიდან 9 კმ.-ის დაშორებით მდებარეობს და განლაგებულია ზღვიდან 70-92 მ.-ის სიმაღლეზე. ისტორიულად ამ ადგილს "სახირე ყელი" ეწოდება. სახელწოდება "მწვანე კონცხი", მისი მარადმწვანე საფარველის გამო უწოდეს მას რუსულენოვანმა დამსვენებლებმა. ამ ადგილის კეთილმოწყობით XIX ს.-ის ბოლო

წლებიდან დაინტერესდნენ. ჯერ კიდევ 1903 წელს ბათუმის ექიმთა საზოგადოების ინიციატივით მწვანე კონცხზე მოეწყო რკინიგზელთა კლიმატური სადგური, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა. სწორედ მწვანე კონცხის ულამაზეს ფერდობებზეა გაშენებული მსოფლიო მნიშვნელობის ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ყოველწლიურად ათასობით დამსვენებელი და სტუმარი ათვალიერებს. მწვანე კონცხზე განლაგებულია კეთილმოწყობილი სანატორიუმები, სასტუმროები, რესტორნები და კაფე-ბარები. მწვანე კონცხის ზღვისპირა ზოლი საუკეთესო ადგილია არა მხოლოდ ცურვისა და მზის აბაზანების, არამედ დაივინგის მოყვარულთათვისაც.

### ურეკი

ურეკი ზღვის კლიმატური კურორტია, არის დასასვენებელი სახლები. პანსიონატები, შენდება ახლებიც. უკანსკნელ წლებში აქ საფუძველი ჩაეყარა დასასვენებელ-გასართობ კომპლექსს „იმედის ქალაქი". კლიმატი ნესტიანი სუბტროპიკულია. გამორჩეულია მაგნიტური თვისებების მქონე ქვიშით. სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, პერიფერიული ორგანოების და საყრდენ-მამოძრავებელი ორგანოების სამკურნალოდ.

## 2. ბაკურიანი

პოპულარული მთის კურორტი საქართველოში – ბაკურიანი მდებარეობს ბორჯომის ხეობაში (ზღვის დონიდან 1700 მ-ზე). მას გარს არტყავს წიწვოვანი მცენარეებით დაფარული მთები. ზამთარი ცივია, მაგრამ არამკაცრი. დღეები ყოველთვის მზიანია და სასიამოვნო. ფიჭვის სურნელით გაჯერებული ჰაერი აქტიურ დასვენებას უწყობს ხელს.

### ბახმარო

ზღვისა და მთის ჰაერის მასების შერწყმა, მზის რადიაციის, განსაკუთრებით ულტრაიისფერი გამოსხივების, მაღალი ინტენსივობა. სუსტი, უმეტესად ზღვიური ქარები. ზამთარი ზომიერად რბილი (იანვრის საშუალო ტემპერატურა -5,2 ნ). ზაფხული ზომიერად გრილი (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 13,4 ნ). ნალექების

საშუალო წლიური რაოდენობა 1869 მმ, მზის ნათების ხანგრძლივობა 1975 სთ. წელიწადში, შეფარდებითი სინოტივე 73%.

## ნუნისი

ხალხური გადმოცემით ნუნისის წყლის სამკურნალოდ გამოყენება IX საუკუნის პირველ ნახევარში დაუწყიათ. ადგილობრივმა მოსახლეობამ შეამჩნია, რომ შინაური ცხოველები ნუნისის მინერალური წყლის საშუალებით მუნისაგან იკურნებოდნენ. შემდგომში მისი გამოყენება მოსახლეობას თავადაც უცდია და არაჩვეულებრივი შედეგის მოწმეც გამხდარა. მოკლე ხანში ნუნისის წყალი ცნობილი გახდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი ხალხი ჩამოდიოდა სამკურნალოდ.

## შოვი

კურორტი შოვი დაარსდა 1929 წელს. იგი მდებარეობს ზემო რაჭაში, მდინარე ჭანჭახის მარცხენა ნაპირზე, რომელიც მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადია.

შოვი ზღვის დონიდან 1650 მეტრზე მდებარეობს და ამიტომ ალპურ კურორტებს მიეკუთვნება. ჩრდილოეთიდან მას კავკასიონის მაღალი მწვერვალები ესაზღვრება, რომელთა საშუალო სიმაღლე 4000 მ აღემატება . სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით იკვეთება კავკასიონის ქედებით. ამგვარი განლაგება ტერიტორიას იცავს ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან.

## უწერა

კურორტი უწერა - კურორტის ტიპი კლიმატო-ბალნეოლოგიური მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე ქონიდან 10 კმ-ში. მიეკუთვნება მთის კურორტის ტიპს. ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე. არის მთიანი ზონა, გამოირჩევა ლამაზი ლანდშაფტით, უნიკალური სამკურნალო-მინერალური წყლებით, იგი მთლიანად მოქცეულია წიწვოვან-ფოთლოვანი და შერეული ტყის შუაგულში. ჰავა და ულამაზესი ბუნება საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა. აქ ადგილი აქვს შერეულ სამკურნალო ფაქტორს. ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს ჰავა და 28 სახის მინერალური წყლები, რომელიც თვითდინებით მოედინება. ბუნებრივ სამკურნალო

ფაქტორს წარმოადგენს მაღალი მთის კლიმატი. ჰავა გამოირჩევა მკვეთრი მოქმედებით მოზარდთა გაკაჟების და პროფილაქტიკის მიზნით ხოლო მინერალური წყლები თავისი გემოვნური თვისებების გარდა უებარი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ.

## 3. ბორჯომი

ბორჯომი ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტია, მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, მტკვრის, გუჯარეთის წყლის და ბორჯომულას ნაპირებზე, ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე, ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული ნაკრძალის აღმოსავლეთით. აქ ხშირად ისვენებდნენ რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრები, სახელმწიფო და კულტურის მოღვაწენი: მ.გორკი, პ.ჩაიკოვსკი, ი.სტალინი, გ.დიმიტროვი და სხვები. ბორჯომში არის განთქმული მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ამჟამად საქართველოს პირველი საექსპორტო პროდუქტია

## საირმე

საირმე მდებარეობს ქუთაისის სამხრეთით 55 კმ-ში, 950 მ-ზე ზღვის დონიდან, მდ. წაბლარის წყლის ხეობაში. მთები, რომლებიც მდებარეობს მის გარშემო, დაფარულია ფოთლოვანი ხეებით (მუხა, წიფელი და ა.შ) და აგრეთვე, წიწვოვანი ტყეებით. კლიმატი განპირობებულია მისი მდებარეობით სუბტროპიკულ სარტყელში. კურორტის მთავარი ფაქტორი არის მინერალური წყლები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოდანაა ცნობილი. კურორტი მუშაობს თბილ სეზონზე (მაისიდან ნოემბრამდე).

## წყალტუბო

წყალტუბო მდებარეობს მდ. წყალტუბოს ხეობაში. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით 9 კმ-ში. თბილისიდან 235 კმ-ში და შავი ზღვიდან 70 კმ-ში. ზამთარი ძალიან რბილია და ზაფხული ძალიან თბილი. წყალტუბოს მინერალურ წყალს აქვს მყარი ქიმიური შემადგენლობა. წყლის ბუნებრივი ტემპერატურა არის +33 - +35 გრადუსი, ამიტომ მისი მიღება შესაძლებელია წინასწარი გათბობის გარეშე.

## 4. სამთო-სათხილამურო კურორტები

საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს ცნობილი შვეიცარიელი ჟურნალისტი პატრიკ ლანგი გაუწევს პოპულარიზაციას.

პატრიკ ლანსი დღეს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს შეხვდა. საუბრის მთავარი თემა საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების საეროაშორისო პოტენციალი და ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები იყო. როგორც შეხვედრის შემდეგ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა აღნიშნა, "პატრიკ ლანგი საინტერესო პიროვნებაა, აქვს საინვესტიციო პროექტების "შეფუთვის" და შემდგომ მათი რეალიზაციის უდიდესი გამოცდილება". "ის დაგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში რამდენიმე ცნობილ სპეციალისტს გამოაგზავნის, რის შემდეგაც უკვე ინვესტიციების მოზიდვაზე ვიფიქრებთ. სამთო-სათხილამურო სპორტს საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს და ძალიან კარგი იქნება, თუ ისინი აღორძინდება" – აღნიშნა პოლოლიკაშვილმა. პატრიკ ლანგის განცხადებით კი, ის თავის გამოცდილებას და კონტაქტებს გამოიყენებს, რათა ქართულ მხარეს სამთო-სათხილამურო კურორტების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საქმეში დაეხმაროს. "ძალიან მომეწონა ბაკურიანი და გუდაური. საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მომავალში საერთაშორისო სპორტულ ტურნირებს უმასპინძლონ, მათ შორის - მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებს"- განაცხადა შვეიცარიელმა ჟურნალისტმა. პატრიკ ლანგი საქართველოში სათხილამურო სპორტის ფედერაციის ინიციატივით ჩამოვიდა, 3 დღის განმავლობაში მან საქართველოს რამდენიმე სამთო-სათხილამურო კურორტი დაათვალიერა და გაეცნო იქ არსებულ ინფრასტრუქტურას. ჟურნალისტი საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების პოტენციალს მაღალ შეფასებას აძლევს. შვეიცარიელი ჟურნალისტი უკვე დიდი ხანია, სამთო-სათხილამურო თემაზე მუშაობს და სპორტის ამ სახეობის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განვლენიან ექსპერტად ითვლება.

ფაქტორს წარმოადგენს მაღალი მთის კლიმატი. ჰავა გამოირჩევა მკვეთრი მოქმედებით მოზარდთა გაკაჟების და პროფილაქტიკის მიზნით ხოლო მინერალური წყლები თავისი გემოვნური თვისებების გარდა უებარი საშუალებაა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდ.

## 3. ბორჯომი

ბორჯომი ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტია, მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, მტკვრის, გუჯარეთის წყლის და ბორჯომულას ნაპირებზე, ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე, ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული ნაკრძალის აღმოსავლეთით. აქ ხშირად ისვენებდნენ რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრები, სახელმწიფო და კულტურის მოღვაწენი: მ.გორკი, პ.ჩაიკოვსკი, ი.სტალინი, გ.დიმიტროვი და სხვები. ბორჯომში არის განთქმული მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ამჟამად საქართველოს პირველი საექსპორტო პროდუქტია

## საირმე

საირმე მდებარეობს ქუთაისის სამხრეთით 55 კმ-ში, 950 მ-ზე ზღვის დონიდან, მდ. წაბლარის წყლის ხეობაში. მთები, რომლებიც მდებარეობს მის გარშემო, დაფარულია ფოთლოვანი ხეებით (მუხა, წიფელი და ა.შ) და აგრეთვე, წიწვოვანი ტყეებით. კლიმატი განპირობებულია მისი მდებარეობით სუბტროპიკულ სარტყელში. კურორტის მთავარი ფაქტორი არის მინერალური წყლები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოდანაა ცნობილი. კურორტი მუშაობს თბილ სეზონზე (მაისიდან ნოემბრამდე).

## წყალტუბო

წყალტუბო მდებარეობს მდ. წყალტუბოს ხეობაში. ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთით 9 კმ-ში. თბილისიდან 235 კმ-ში და შავი ზღვიდან 70 კმ-ში. ზამთარი ძალიან რბილია და ზაფხული ძალიან თბილი. წყალტუბოს მინერალურ წყალს აქვს მყარი ქიმიური შემადგენლობა. წყლის ბუნებრივი ტემპერატურა არის +33 - +35 გრადუსი, ამიტომ მისი მიღება შესაძლებელია წინასწარი გათბობის გარეშე.

## 4. სამთო-სათხილამურო კურორტები

საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს ცნობილი შვეიცარიელი ჟურნალისტი პატრიკ ლანგი გაუწევს პოპულარიზაციას.

პატრიკ ლანსი დღეს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს შეხვდა. საუბრის მთავარი თემა საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების საერთაშორისო პოტენციალი და ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები იყო. როგორც შეხვედრის შემდეგ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა აღნიშნა, "პატრიკ ლანგი საინტერესო პიროვნებაა, აქვს საინვესტიციო პროექტების "შეფუთვის" და შემდგომ მათი რეალიზაციის უდიდესი გამოცდილება". "ის დაგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში რამდენიმე ცნობილ სპეციალისტს გამოაგზავნის, რის შემდეგაც უკვე ინვესტიციების მოზიდვაზე ვიფიქრებთ. სამთო-სათხილამურო სპორტს საქართველოში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს და ძალიან კარგი იქნება, თუ ისინი აღორძინდება" – აღნიშნა პოლოლიკაშვილმა. პატრიკ ლანგის განცხადებით კი, ის თავის გამოცდილებას და კონტაქტებს გამოიყენებს, რათა ქართულ მხარეს სამთო-სათხილამურო კურორტების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის საქმეში დაეხმაროს. "ძალიან მომეწონა ბაკურიანი და გუდაური. საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მომავალში საერთაშორისო სპორტულ ტურნირებს უმასპინძლონ, მათ შორის - მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებს"- განაცხადა შვეიცარიელმა ჟურნალისტმა. პატრიკ ლანგი საქართველოში სათხილამურო სპორტის ფედერაციის ინიციატივით ჩამოვიდა, 3 დღის განმავლობაში მან საქართველოს რამდენიმე სამთო-სათხილამურო კურორტი დაათვალიერა და გაეცნო იქ არსებულ ინფრასტრუქტურას. ჟურნალისტი საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების პოტენციალს მაღალ შეფასებას აძლევს. შვეიცარელი ჟურნალისტი უკვე დიდი ხანია, სამთო-სათხილამურო თემაზე მუშაობს და სპორტის ამ სახეობის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან ექსპერტად ითვლება.

## 5. წყლის რესურსები

საქართველო უმდიდრესია საკუთარი სამკურნალო თვისებების მქონე მტკნარი და მინერალური წყლებით. ჩვენს ქვეყანას შორს განუთქვა სახელი მინერალურმა წყლებმა: ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი, ზვარემ, ჯავამ, წყალტუბომ, უწერამ, ავადხარამ, ვარძიამ. ზოგიერთი მინერალური წყალი ჩამოისხმება და სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნება.

119 წლის წინათ საქართველში დაიწყო მინერალური წყლის ჩამოსხნა ბოთლებში.

მინერალური წყლის დასახელება, რომელიც თავიდანვე გვახსანდება, – „ბორჯომი". მინერალური წყარო ცნობილი იყო XVI საუკუნიდან. შემდგომ XIX საუკუნეში ბორჯომის შესახებ ისევ ალაპარაკდნენ, რომლის მიზეზი გახდა ის, რომ წყლის საჭიროებას განიცდიდნენ რუსეთის ჯარისკაცები, რომლებიც იმ დროისთვის მსახურობდნენ კავკასიაში და იცავდნენ იმპერიის კორდონს.

სამხედრო ექიმებმა დაასკვნეს: „ბორჯომი" ხელს უწყობს არა მარტო დაჭრილების გამოჯანმრთელაბას, არამედ ძალების აღდგენას რთული ბრძოლებისა და დამქანცველი გადაადგილებების შმდეგ. ადგილობრივი წყლის ამ თვისებების შესწავლა დაიწყეს პეტერბურგელი სპეციალისტებმა. შედეგად, ამბავი ბორჯომის სამკურნალო თვისებების შესახებ მივიდა გვირგვინოსანი რომანოვებამდეც. დაიწყო სასახლის ყოველდღიური მომარაგება აღნიშნული წყლით, ხოლო რამოდენიმე წლის შმდეგ ბორჯომის ხეობაში ააშენეს იმპერატორის კავკასიური რეზიდენცია. რომანოვების კვალდაკვალ ამ მიმართულებით წამოვიდნენ რუსეთის არისტოკრატია. „წყლებში" სიარული მოდური გახდა.

მრავალმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ბორჯომის ხეობის წყალი თავისი შემადგენლობითა და სამკურნალო თვისებებით ძალიან ჰგავს სახელგანთქმულ ფრანგულ სამკურნალო წყალს Vიცჰყ- რანდე- რილლე და გერმანიის ზილცზიის წყაროს. ამის გამო კავკასიის კურორტს წოდეს „რუსული ვიში". (არავინ ინტერესდებოდა იმით, რომ ეს იყო საქართველო, რომელიც მზაკვრული მეთოდით ოკუპირებული გახდა რუსეთის მიერ).

რაში მდგომარეობს ამ წყლის უნიკალურობა? ვულკანური წარმოშობის წყალობით, რომელიც გადის ათას მეტრზე უფრო ღრმად, იგლენთება ძვირფასი

ელემენტებით და ბუნებრივი ნახშირორჟანგით, რაც იწვევს მის გარეთ ამოტუმბვას ხელოვნური საქაჩების გარეშე.

26 ნოემბერს 1890 წელს ხეობაში დაიწყო ბორჯომის ჩამოსხმა ბოთლებში. ეს წარმოება დააფუძნა თავადი მიხაილ ნოკოლაევის–ძე რომანოვმა, იმპერატორი ალექსანდრე III –ს ძმამ. პირველი ჭურჭელი, რომელშიც ასხამდნენ „ბორჯომს“ ძალიან ჰგავდა შამპანიურის ბოთლის ფორმას. მას ხელით ასხამდნენ და მოწიწებით ალაგებდნენ კალათებში. მაშინდელ ბოთლებზე გამოსახული იყო ირემი, ისევე როგორც დღეს – ბორჯომის სეობის სიმბოლო. არსებებს თქმულება, რომლის თანახმად სწორედ ირემმა მიასწავლა ადგილობრივებს სამკურნალო წყარომდე მისასვლელი გზა.

საკმაოდ საინტერესო ფაქტია, რომ პირველი ГОСТ ნატურალური მინერალური წყლებისთვის, რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იწერებოდა „ბორჯომი“–ს საფუძველზე. სწორედ ბორჯომი იყო მინერალური წყლების სტატუსის ეტალონი.

60 –ანი წლებში ამ წყალზე მოთხოვნა გაიზარდა საზღვარგარეთ. დაიწყო მისი საექსპორტო წარმოება. ხოლო კურორტ ბორჯომში მოგზაურობა შეუყვარდათ არა მარტო სსრკ პარტიულ ელიტას. აქ მკურნალობდნენ ქვეყნის დამსახურებული არტისტები და ჩამოყავდათ რუსეთის კოსმონავტები, ძალების აღსადგენად, კოსმოსური ფრენების შემდეგ.

მთელი 119 წლის მანძილზე ბორჯომის ჩამოსასხმელი წარმოების დაწყებიდან, მისი მოპვება და შემოდგენლობა მკაცრად კონტროლდებოდა. რეგულარულად მიმდინარეობდა ტესტირება და ექსპერტიზა. თუ შევადარებთ მონაცემებს XIX საუკუნიდან დღემდე, ნაკლებად გავითცნობიერებული ადამიანიც მიხვდება: მინერალური წყლის შემადგენლობა ასწლეული მანძილზე არ შეცვლილა. ჩვენ მივირთმევთ ისეთივე „ბორჯომს“, როგორსაც სვამდნენ იმპერატორი რომანოვები.

კურორტი ბორჯომი მსოფლიოში უნიკალური მრავალფეროვანი საკურორტო რესურსების სიმდიდრით არის ცნობილი, ხოლო ბორჯომის მინერალური წყალი თავისი განუმეორებელი ქიმიურ-ფიზიკური თვისებებით პირველი კლასის მინერალური წყლების შეფასების ეტალონია. ბორჯომის რაიონის საკურორტო რესურსებისა და საბადოების დაცვა-შენარჩუნება ეროვნული მნიშვნელობის პრობლემაა.

## 6. ცხოველის ენა

გარკვეულ ინფორმაციას ცხოველებიც გადასცემენ ერთმანეთს. მაგალითად, ფუტკარი, რომელიც მიდის დაზვერვაზე, პოულობს იმ ადგილს, სადაც ნექტარია, ბრუნდება სკაში და კედელზე ცეკვით გამოხატავს განვლილი გზის მოდელს. ამ გზას დაადგებიან შემდეგ მუშა ფუტკრები და შეუმცდარად აგნებენ მითითებულ ადგილს.

ასევე შეუძლიათ ჭიანჭველებს, ინფორმაცია მიაწოდონ თავისიანებს, თუკი ისინი საჭმელს წააწყდებიან. ჭიანჭველებს, როგორც ირკვევა, თვლაც შეუძლიათ (60-მდე მაინც). ამ მხრივ იგი აჭარბებს ყველაზე ჭკვიან ფრინველსაც კი.

ცნობილია, რომ ყვავს შეუძლია ოთხამდე დათვლა.

ძუძუმწოვარ ცხოველთაგან ყველაზე ჭკვიანი – მგელი ათამდე ითვლის.

:ი განასხვავებს სამ სხვადასხვა ბგერით სიგნალს: ყეფას, წკმუტუნსა და ა.

ისმის კითხვა: აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს ენა? ანუ: აქვ 13 უ არა ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნებისა და ბგერების დანაწევრების უნარი? პასუხი ამთავითვე მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნებისა და ბგერების დანაწევრების უნარი არა აქვთ და, ამდენად, არც ენა აქვთ.

დანაწევრებული ანუ კონცეპტუალური აზროვნება აუცილებლად გულისხმობს დანაწევრებულ ბგერებს ანუ ფონემებს, მაგრამ ფონემები არც ერთი ცხოველის ან ფრინველის ბგერით სიგნალებში არ გამოიყოფა. მართალია, თუთიყუშები ახერხებენ ცალკეული სიტყვების თქმას, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მათი ბგერითი სიგნალები ფონემებისაგან შედგება. ჯერ ერთი, თუთიყუშების დანაწევრებული მეტყველება იმიტაციაა, წვრთნის შედეგია (თვითონ თუთიყუშს არავითარი მიდრეკილება არა აქვს დანაწევრებული მეტყველებისადმი), თანაც, ადამიანის ენაში ფონემები გარკვეული აზრის გადმოსაცემად გამოიყენება, თუთიყუშის ენაში კი დანაწევრებული მეტყველება რაიმე აზრს მოკლებულია. თუთიყუშის ენაში ფონემები აზროვნებასთან არაა დაკავშირებული და არ წარმოადგენს აზროვნების დანაწევრებულ პროდუქტს. თუთიყუში არა აქვს არც აზროვნებისა და არც ბგერათა დანაწევრების უნარი. მას მხოლოდ იმიტაცია შეუძლია. ამიტომ მთელი მისი უნარი

მხოლოდ იმაში გამოიხატება, რამდენად შეუძლია გაიმეოროს ადამიანის დანაწევრებული ბგერები, მაგრამ ამ ბგერებში ის, ცხადია, რაიმე აზრს ვერ ჩადებს.

განსხვავება ადამიანისა და ცხოველის ენას შორის მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათისა არ არის, ანუ, ეს განსხვავება მხოლოდ იმაზე არ არის დამყარებული, რომ ადამიანმა შეიძლება იცოდეს, ვთქვათ, რამდენიმე ათასი სიტყვა, ხოლო ცხოველის „ლექსიკონში" არსებულ სიტყვათა რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია. სხვაობა ადამიანისა და ცხოველის ენას შორის თვისებრივია. მთავარია ის, რომ ადამიანს აქვს უნარი დანაწევრებული აზროვნებისა, რასაც დანაწევრებულ ფორმალურ გამოხატულებასაც აძლევს.

ცხოველებისა და ფრინველების აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ვიზუალური (მათი ამ ტიპის აზროვნებაც შეზღუდულია ადამიანის ვიზუალურ აზროვნებასთან შედარებით).

ვიზუალური აზროვნების ფარგლებში ცხოველები და ფრინველები წყვეტენ უმარტივეს ამოცანებს; ხანდახან ისინი მოქმედებენ არა ინსტინქტით, არამედ აშკარად გააზრებულად, მაგრამ მათი აზროვნება იკონურია და, ამდენად, მეტად შეზღუდულიც.

„ცხოველის ენა" მხოლოდ მეტაფორაა, თუ, რა თქმა უნდა, ენის ცნებაში ვიგულისხმებთ გარკვეულ შინაარსს. ადამიანთა ენის ანალოგი ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში არ მოიპოვება.

# თემა 14
## საყოფაცხოვრებო მომსახურება

1.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრებში ადამიანებს დროდადრო უწევთ მისვლა. საპარიკმახეროში, სამრეცხაოში, ქიმწმენდასა თუ ატელიეში ყოველდღე უამრავი ხალხი ირევა.

* * *

საპარიკმახეროს სავარძელში *ვზივარ.*
ცოტა ხნის წინ მარტო *ვიჯექი.*
ახლა მარტო არ ვზივარ, სხვებიც *სხედან.*
წვერს საპარიკმახეროში არ ვიპარსავ.
ზოგს თმებს კრეჭენ, ზოგს წვერს პარსავენ.
გუშინ თმა შევიჭერი.
გუშინ ვაპირებდი წაღებას, მაგრამ ვერ მოვახერხე.
თუ დღესაც ვერ შევძელი, ხვალ *მივიტან.*
თეთრეული სამრეცხაოში *მივიტანე.*
კოტემ დისერტაციის დაცვისთვის კოსტუმი შეიკერა.

* * *

– სად არის აქ ქალთა საპარიკმახერო?
– აქვე, ხელმარჯვნივ.
– თქვენ თავისუფალი ხართ? (ბრძანდებით?)
– დიახ. დაბრძანდით.
– მოკლედ შემჭერით.
– რა მშვენიერი თმა გაქვთ. არ გენანებათ?
– მალე გამეზრდება.
– ბატონი ბრძანდებით.

– მერე დამბანეთ და ფენით გამიშრეთ.

– რა თქმა უნდა.

– პედიკურის

გაკეთებაც აქვე

შეიძლება, არა?

– დიახ.

* * *

– კოსტუმის შეკვეთა მინდა თქვენთან.

– ქსოვილი გაქვთ?

– არა, ქსოვილი არ *მაქვს*. თქვენ მაჩვენეთ და ავარჩევ.

– აი, ჩვენი საკოსტუმეები: ტრიკოტინი, ინდიგო, ლავსანი, შალი.

– ეს მომწონს.

– აი, მოდელის ნიმუშები; აირჩიეთ, რომელი უფრო მოგწონთ.

– ეს იყოს.

– ერთბორტიანი გირჩევნიათ თუ ორიანი?

– ერთბორტიანი.

– სასარჩულეს თქვენ *მოიტანთ*?

– სასარჩულე *მომაქვს*.

– კეთილი.

– როდის იქნება მზად?

– სამ დღეში გასასინჯად უნდა მოხვიდეთ, ერთ კვირაში კი გაგატანთ.

– გმადლობთ. ნახვამდის.

* * *

– რას *ამბობს* ხელოსანი, როდის გაგვაკეთებო?

– ჯერ ვერ ამბობს

ვერაფერს, ხვალ *იტყვის*.

– ხვალ რატომ?

– რაღაც საქმე აქონია

დასამთავრებელი.

– ხვალაც თუ ვერ *იქნა*?

– მაშინ სხვა ვნახოთ. უბრალოდ, ვიცი.

– სალარო აი, იქაა. მოლარეს გადაუხადეთ.

– ინებეთ.

– გმადლობთ.

* * *

– წერილი ხომ არ მოსულა ჩემს სახელზე?

– მოთხოვნამდე უნდა იყოს?

– დიახ, მოთხოვნამდეა.

– აბა, ვნახოთ. თქვენი გვარი?

– ადამია.

– აი, ორი წერილი მოგივიდათ.

– რა კარგია!

– აქ მოაწერეთ ხელი.

– გმადლობთ.

* * *

- გამარჯობათ!

- გამარჯობათ!

- იცით, მე ამ ქალაქში პირველად ვარ. არ ვიცი. სად არის ფოსტის შენობა. მინდა ოჯახში ტელეფონით დავრეკო. ხომ ვერ მასწავლით, როგორ?

- როგორ არა, ახლავე გეტყვით. ეს ქალაქის მთავარი ქუჩაა. იარეთ მარჯვენა მხარეს. 200 მეტრში არის დიდი შენობა. იმის პირველ სართულზეა ფოსტა.

- დიდი მადლობა, საათსაც ხომ ვერ მეტყვით?

- კი ბატონო, მოგახსენებთ: ახლა ხუთის ოცი წუთია.

- კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა!

- არაფრის, ბატონო.

- კარგად ბრძანდებოდეთ.

- კარგად ბრძანდებოდეთ.

## 5. სილამაზის სალონი „ელიტა" ლიდერობისათვის ემზადება, მაგრამ ბარიერებს ხელოვნურად უქმნიან

ლანჩხუთში რამდენიმე სილამაზის სალონი ფუნქციონირებს. მომხმარებლებს ისინი ძირითადად ერთსა და იმავე ფასებს სთავაზობენ. რადგან შეთავაზებული ფასები თითქმის ერთნაირია, უკვე მნიშვნელობა სერვისებსა და გარემოს ენიჭება.

ამ მხრივაც საინტერესო მდგომარეობაა. ბოლო დროს სალონების მეპატრონეებმა გარემოს მოწესრიგებაზეც იფიქრეს. აბა თვალი გადავავლოთ — „ბარბიმ", „ელიტამ", „იამ", „დიადემამ" თითქმის ერთ დონეს მიაღწიეს, — კლიენტებს სუფთა და მოწესრიგებულ გარემოს სთავაზობენ, დაცულია ნორმები, ასე თუ ისე, ხელმისაწვდომია პირობებიც, რომლებიც, როგორც აღვნიშნე, ერთმანეთს ჰგავს. თუ გავიხსენებთ წინა წლებს, პროგრესი აშკარაა.

ამჯერად სალონ „ელიტას" შესახებ გიამბობთ.

ინდმეწარმე „გელა კვირკველიამ" ყოფილი კოოპუნივერმაღის სარდაფში, ნაქირავებ ფართში გახსნა სალონი „ელიტა", რომელიც ემსახურება მამაკაცებსაც და ქალბატონებსაც. „ელიტაში" ერთდროულად ხუთი სტილისტი მუშაობს.

გელა კვირკველიამ უნივერმაღის სარდაფში 60 კვადრატული მეტრი ფართი შეიძინა კერძო მფლობელობაში. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი რემონტი ჩაუტარა, მიზანი სალონ „ელიტას" გაფართოება გახლავთ, ბიზნესს ნაქირავებიდან საკუთარ ფართზე გადმოიტანს. ეს ბიზნესი გელასთვის რამდენიმე მიზეზითაა საინტერესო. დავიწყოთ იქიდან, რომ ლიტვის „ეთიკისა და ლიდერობის" ინსტიტუტის მიწვევით ახალგაზრდა ბიზნესმენი დელეგაციის სხვა ლანჩხუთელ წევრებთან ერთად საგანგებოდ იმყოფებოდა ბალტიისპირეთში. იქ მან სპეციალური სწავლების კურსი გაიარა ბიზნესის მართვისა და მენეჯმენტის კუთხით, გაეცნო ამ ბიზნესის განვითარებისა და წარმოების წესებს, მიიღო სერთიფიკატიც. ბალტიისპირეთიდან დაბრუნების შემდეგ სიახლეებიც დანერგა და ბიზნესიც გააფართოვა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ გელა კვირკველია სალონთან ერთად სხვა ოჯახურ ბიზნესსაც აწარმოებს.

ახლა რაც შეეხება მომავლის გეგმებს: გელამ ლანჩხუთში სიახლე შემოიტანა — ახალგარემონტებული ფართი ორ ნაწილადაა გაყოფილი. შესასვლელ დარბაზში ერთდროულად ხუთი სტილისტი მოემსახურება კლიენტებს, მაგრამ მეორე ოთახში

სადედოფლოები გამოეწყობიან. სპეციალურად მათთვის იქნება განკუთვნილი სველი წერტილებიც, სარკეებიანი კუთხე, კომფორტული სავარძელი, სტილისტი, ვიზაჟისტი და ა.შ.

სალონ „ელიტას" უწყვეტად ექნება წყალი, ყოველ შემთხვევისათვის, როგორც გელამ გვიოსრა, სათადარიგო რეზერვუარია დამონტაჟებული. გათბობა და წყლის გაცხელება ელექტროენერგიით მოხდება. თუმცა მალე სალონი გაზიფიცირებული იქნება.

სალონში დამონტაჟებულია გამწოვი სისტემა. ირთქლით და სპეციფიკური სუნით კლიენტები აღარ შეწუხდებიან.

ასევე, კლიენტების ინტერესის გათვალისწინებით სალონში იქნება რადიო, ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრიც.

არჩევანს კლიენტი გააკეთებს!

მოკლედ, სალონ „ელიტას" სახელწოდება შემთხვევით არ შეურჩიეს.

მაგრამ...

როგორც გელამ გვითხრა, კლიენტის ინტერსებზე ორიენტირებული კომფორტის შექმნის შემდეგ თვითონ მას დისკომფორტი შეექმნა.

„თუკი ქვეყანა ბიზნესის განვითარების კურსს იღებს, თუკი ვცდილობ ბიზნესი განვავითარო და ამისათვის არც ზედმეტი ჯაფა დამკლებია, რატომ მეუბნებიან ქალაქის იერსახეს ამახინჯებს უნივერმაღის სარდაფში ჩასასვლელიო? მეუბნებიან, რომ გვირაბი უნდა გაკეთდეს და სალონში შესასვლელი სადღაც გვერდიდან იქნება. კი, მაგრამ რატომ? აქ ხომ კიბე უკვე არის და კლიენტი პირდაპირ სალონის კართან ჩამოვა? თუ ყოფილი უნუვერმაღის სარდაფში სხვადასხვა მაღაზიას სხვადასხვანაირი ჩასასვლელი აქვთ და ეს ქალაქის იერსახეს ამახინჯებს, მაშინ შევთანხმდეთ რაიმე ისეთ წინადადებაზე, მოვაჭრეებისთვისაც მისაღები რომ იყოს.

მალე ლიტვიდან „ეთიკისა და ლიდერობის" ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ვირჯინია ვაიჩაკონენეს ველოდებით, ვცდილობ მანამდე ჩემი ბიზნესი გამართული იყოს. საამისოდ რამდენიმე ათასი ლარის რემონტი ჩავატარე და რა გამოდის, ჩასასვლელის გამო პრობლემა მექმნება, ქალაქის იერსახეს არ შეესაბამებაო!

ვთვლი, რომ ამ ბიზნესში ლიდერი ვარ და იმიტომ ვამბობ ამას!

## 6. ფოსტის ისტორია

საქართველოში ფოსტის არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი დროიდან ცნობილია, რომ საქართველოში ცნობების სწრაფად გადაცემა ხორციელდებოდა "შიკრიკთა" და "მალემსრბოლთა" მეშვეობით, რომლებიც არაერთხელ მოიხსენიებიან "ქართლის ცხოვრებაში." XIX საუკუნის დამლევს, ქართული ეკონომიკური აზროვნების მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იოანე ბატონიშვილი, რომელმაც შეადგინა სახელმწიფო წესწყობილების რეფორმის კანონპროექტი, მიიჩნევდა, რომ ფოსტის სადგურების მოწყობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა ხალხისათვის და შემოსავალს მისცემდა ხაზინას. აღებ-მიცემობის გაფართოება ფოსტის გარეშე შეუძლებელი იყო და იგი მოითხოვდა ფოსტის დაწესებას და საფოსტო დაწესებულების შექმნას. იგი წერდა: "ფოსტები ანუ ჩაფარხანა რაოდენ შეიძლებოდეს განწესდეს სამ ადგილას: ქართლსა, კახეთსა და თათრებში"...

საქართველოში პირველი ფოსტის გადაზიდვასთან დაკავშირებულია ქართული ურმის სახელი. პოპოვის სახელობის კავშირგაბმულობის ცენტრალურ მუზეუმში (სანკტპეტერბურგში) გამოფენილ უძველეს ფოსტის გადაზიდვის საშუალებებთან ერთად არის ქართული ურემი. ურემში შებმული ხარები მძიმედ ეწევიან ფოსტის დიდ ყუთს. ურემს წინ ორი ქართველი მიუძღვის. ქართული ურმით ფოსტის გადაზიდვას ბევრ ქვეყანაში მიუქცევია ყურადღება. 1900 წელს, გერმანულიდან რუსულ ენაზე თარგმნილ წიგნში - "ტექნიკა და მრეწველობა" (მეათე ტომი), აღწერილია ბერლინის საფოსტო მუზეუმის ზოგიერთი უნიკალური ექსპონატი, ნათქვამია: ამ მუზეუმში რუსეთის ექსპონატებიდან განსაკუთრებით საინტერესოა "ორთვალიანი ქართული ურმით ფოსტის გადაზიდვის სურათები". აქედან ცხადია, რომ ქართულმა ურემმა თავისი ადგილი დაიკავა მსოფლიოში ფოსტის გადაზიდვის პირველ საშუალებათა შორის. პოპოვის სახელობის მუზეუმის ერთ-ერთი კატალოგი გვამცნობს, ჩიკაგოში, 1893 წელს მოწყობილ მსოფლიოს საფოსტო გამოფენაზე, რუსეთის საფოსტო განყოფილებაში აჩვენებდა ქართული საფოსტო ურმის მოდელს და კავკასიონზე ფოსტის გადატანის ნახატს. საქართველოში საფოსტო კავშირების განვითარებასთან განუყრელად იყო დაკავშირებული საფოსტო მიმოსვლის გაუმჯობესება კავკასიონზე გავლით - საქართველოდან რუსეთში.

## 7. პირველი თარიღიანი წარწერა. სამხრეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლები

პირველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი, რომლის თარიღიც ოვით წარწერაშია მოცემული, არის წყისის წარწერა (სოფელი წყისე მდებარეობას სოფელ უდის მახლობლად, ადიგენის რაიონში).

ამ ტექსტში ნათქვამია: მე, კოსტანტიმ, სტეფანეს და გუდას შვილმა, აღვმართე ეს ჯვარი ნაყიდ მიწაზე მცხეთის ჯვრის სახელზე ჩემი ოჯახის სალოცველად ჩვიდმეტ ნოემბერს, პირველ შაჰრამანს.

აქ ასოებით აღნიშნულია რიცხვები: ა = 1, იზ = 17. თვეთა სპარსულ და რომაულ სახელწოდებათა და დასახელებულ დღეთა შეჯერების საფუძველზე აკაკი შანიძემ ივარაუდა, რომ წყისის წარწერა 616-619 წლებს განეკუთვნება.

ჯავახეთის წარწერებს სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ვ. ცისკარიშვილმა — „ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო".

ჯავახეთის წარწერათაგან რამდენიმე იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას: X საუკუნის მეორე ნახევარშია ამოკვეთილი წარწერა, რომელშიც მოთხრობილია კუმურდოს (ახალქალაქიდან დაახლოებით ათ კილომეტრშია) ეკლესიის ბალავერის დადების შესახებ.

ეს წარწერები, მკვლევართა აზრით, XI-XII საუკუნეებისაა.

46 სამხრეთ საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იშხნის უძველესი წარწერა, რომელიც X საუკუნის შუა წლებით თარიღდება.

იშხნის ეკლესიის სამხრეთი კარიბჭის გადაკეთებისას ამოუკვეთიათ წარწერა, რომელშიც მოიხსენიება გიორგი I. იშხნის კიდევ ერთი წარწერა ბაგრატ IV-ის დროს არის ამოკვეთილი, 1032 წელს.

ოშკის ტაძრის წარწერათაგან განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომელიც X საუკუნით თარიღდება და მისი მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს.

## სიტყვებისა და ფრაზების განმარტება:

პირველი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი -

თარიღი თვით წარწერაშია მოცემული -

მასში ნათქვამია -

შეჯერების საფუძველზე -

საინტერესო პარალელს პოვებს -

გავრცელების არეალი -

წარწერაში დადასტურებული -

# თემა 15
# სოფლის მეურნეობა

1.

სოფლის მეურნეობა, რომლის განვითარება ნებისმიერ ქვეყანაში უკავშირდება ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, როგორებიცაა: მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და ამ გზით სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ეროვნულ სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების შემადგენელი კომპონენტის განმტკიცება; მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა და ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირებში აქტიური ჩართვა. სოფლის მეურნეობა მრეწველობასთან ერთად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკურ ხერხემალს წარმოადგენს.

მიწა, სოფელი და სასოფლო სამეურნეო წარმოება, ქართველი კაცისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია. საქართველო უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის კულტურის ქვეყანაა. ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის იყო არა მხოლოდ სამეურნეო საქმიანობა, არამედ ცხოვრების წესის და მენტალიტეტის განმსაზღვრელი ფაქტორი. ასწლეულების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ქართველების ძირითადი საქმიანობა იყო და, როგორც დიდი ილია შენიშნავდა: "მანამ, ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენ მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰკლებია".

**აგროკულტურა** – სასოფლო-სამეურნეო კულტურა

**სარჩო-საბადებელი** – საკვები პროდუქტები

2.

ქართული ვაზი ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობისა და ღვინის წარმოებაზე მიუთითებს

საქართველოში ღვინის კულტურის არსებობაზე დაახ. 7000 წლის წინ, რაც საქართველოს ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ყველაზე განთქმული მევენახეობით საქართველოს რეგიონებს შორის არის კახეთი (რომელიც იყოფა თელავისა და ყვარელის მიკრორეგიონებად), მას მოჰყვება ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ასევე აფხაზეთი.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ყურძნის წიპწები, რომელიც ძვ.წ. მე- 7-6 ათასწლეულებს განეკუთვნება და ენეოლითური პერიოდით თარიღდება. 6-5-ე ათასწლეულებით ჩვენს ერამდე დათარიღდა ანაკლიის დიხა-გუძუბაში აღმოჩენილი წიპწები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის დროს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში იცნობდნენ ვაზის კულტურას და მას საკმაოდ დიდი როლი ეკავა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ასევე ნაპოვნია კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი - გარეული ვაზი-კრიკინა (უსურვაზი), რომელიც დღეს წითელ წიგნშიც არის შეტანილი. ეს კი იმის მაჩვენებელიც არის, რომ გარდა ვაზის კულტურისა, მევენახეობის კულტურამ აქ ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა.

გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი, აქ ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. აგრეთვე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ. III-II ათას.). ამ მხრივ ძალიან მდიდარია მტკვარ-არაქსის კულტურის ქართული კერები. გათხრების შედეგად აღმოჩენილია მცხეთის რაიონის მახლობლად (ზაგინეთში) სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით. ბორჯომში ნაპოვნია II, ვარძიაში კი - 100-მდე ქვევრი, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ორმაგკედლიანი, თერმოსის მსგავსი, რაც თავისთავად უნიკალური მოვლენაა და მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორები კარგად იცნობდნენ ქიმიას, ფიზიკას და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

ჩვენი მატერიალური მემკვიდრეობა აგრეთვე იცნობს: ყურძნის სახსლავ სპეციალური დანებს, ღვინის დასაწურ მოწყობილობებს, თიხის და ლითონის ჭურჭელს, სხვადასხვა ფორმისა და სახის სასმისებს, ღვინის დასაყენებელ და შესანახ ქვევრებს და სხვა. ეს კულტურული კერები მდებარეობენ, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კერძოდ: შულავერი,

მცხეთა, თრიალეთი, ბიჭვინთა, ალაზნის ველი, მესხეთი და სხვა. მევენახეობის ამსახველი სხვადასხვა ორნამენტებიან ჭურჭელი აღმოჩენილია სამთავისში, იყალთოში, ზარზმაში, გელათში, ნიკორწმინდაში, ვარძიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თრიალეთის კულტურა (ძვ.წ. III-II ათასწ.), სადაც უნიკალური ღვინის თასები, ბარძიმები, დოქები და სხვა სახის ჭურჭელია აღმოჩენილი. მათ შორის გამორჩეულია ვერცხლის ცნობილი თასი, რომელზეც გამოსახულია რელიგიური რიტუალი, რაც ღვინის თანხლებით სრულდებოდა და საკმაოდ მასშტაბური უნდა ყოფილიყო ორნამენტული კომპოზიციის მიხედვით. აგრეთვე აღსანიშნავია, ოქროს თასი, რომელიც მოპირკეთებულია სხვადასხვა სახის პატიოსანი თვლებით. ასეთი ბარძიმები უმთავრესად მათრობელი სითხის - ღვინის - დასალევად გამოიყენებოდნენ. ამაზე მიუთითებს მათ ზედაპირზე დალექილი ნარჩენებიც.

ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. საფიქრებელია, რომ ვაზის ჯვარი წარმართულ საქართველოშიც ღვთაებრივ სიმბოლოდ, საიდუმლოს ზიარად ითვლებოდა, რისი ჯვარად ქცევაც ერის სულიერების უმაღლეს ცოდნასთან ზიარების ნიშანი იყო. აღსანიშავია, რომ საქართველოს გარდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს "ვაზის ჯვრის კულტი".

ილია იაკობიძე

3.

**ხიხვი** - თეთრი სადესერტო სამარკო ღვინო ამავე დასახელების ყურძნის ჯიშისაგან. აქამდე ეს ჯიში სპეციალიზირებული იყო კახეთის რეგიონში, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახის მიკრორაიონში. ჩვენი კომპანიის მიერ აღნიშნული ვაზის ჯიში გაშენებული აქვს სიღნაღის რაიონის, სოფელ ხორნაბუჯის მიმდებარე ტერიტორიაზე. მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპირო ზოლზე, ამ მიკრორაიონში კულტივირებული ხიხვი ასევე საუკეთესო მასალას წარმოადგენს ამავე დასახელების სადესერტო ღვინის დასამზადებლად. ღვინის ფერი გადადის ღია ოქროსფერიდან მუქ ოქროსფერში. მისი ღვინის კონდიციებია: სპირტი-მოც 15%, შაქარი-18-20გ/100სმ .

ტიტრული მჟავიანობა - 4-8გ/დმ . მიირთვით ხორციან ბრინჯთან, ლობიოსთან, კარტოფილთან და ყველთან ერთად.

**საფერავი** - სუფრის მშრალი წითელი ორდინალური ღვინო, ამავე დასახელების ყურძნის ჯიშისაგან დამზადებული. ღვინო მზადდება წითელი მშრალი ღვინომასალების დამზადების ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით. მზა ღვინო არის ბროწეულისფერი. კონდიციებია: სპირტი-10.5-12.5% მოც. ტიტრ. მჟავიანობა-5.0-7.0გ/დმ . ღვინო გამოირჩევა მძლავრი ექსტრაქტულობით, რომელიც შეხამებულია დიდ გემურ ჰარმონიასთან და მდიდარ ბუკეტთან. მიირთვით ფრინველის და ღორის ხორცთან, ყველთან ერთად.

**ქისი** - სუფრის თეთრი მშრალი სამარკო ღვინო, რომელიც მზადდება ამავე სახელწოდების ყურძნის ჯიშისაგან. სუფრის მშრალი ღვინოების დამზადების ევროპული ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. მზა ღვინო არის ღია ჩალისფერი. მიირთვით ზღვის ნობათთან, ფრინველის ხორცთან, ხილთან და ყველთან ერთად.

**ჩხავერი** - ამავე სახელწოდების ყურძნის წითელი ჯიშისაგან დამზადებული თეთრი ნახევრადტკბილი ღვინო. საქართველოში ვაზის ეს ჯიში სპეციალიზირებულია გურიაში, ჩოხატაურის რაიონში და აფხაზეთში. ჩვენი კომპანიის მიერ ექსპერიმენტის სახით კულტივირებულ იქნა კახეთში, სიღნაღის რაიონ სოფელ ხორნაბუჯის მიმდებარე ტერიტორიაზე. შედეგები გვაჩვენებს, რომ შეიძლება გამოყენება თეთრი ნახევრადტკბილი ღვინის "ჩხავერის" დასამზადებლად. ღვინო "ჩხავერი" არის ღია ჩალისფერი ვარდისფერი ელვარებით. გამოირჩევა ჯიშური არომატით. მიირთვით შემწვარ კერძებთან, ფრინველის ხორცთან, ყავასა და დესერტთან ერთად.

4.

რქაწითელი - სუფრის მშრალი თეთრი სამარკო ღვინო, დამზადებული რქაწითელის ჯიშის ყურძნისაგან თანამედროვე ადგილობრივი კახური ტექნოლოგიით. მზა ღვინო არის მუქი ქარვისფერი, განვითარებული ხილის ბუკეტით და არომატით. გემო ხავერდოვანია. მაღალი ექსტრაქტულობა და სასიამოვნო სიმწკლარტე ღვინის

ორიგინალურ გემოს აძლევს. "რქაწითელის" დაძველება ხდება 2 წელი მუხის კასრებში. მიირთვით ზღვის ნობათთან, ფრინველის ხორცთან და ყველთან.

**ტიბაანი** - კახური ტიპის სუფრის მშრალი სამარკო ღვინო, დამზადებული რქაწითელის და მწვანეს ყურძნიდან. დამზადება წარმოებს ძველი კახური წესით ქვევრებში. ეს ღვინო მუქი ქარვისფერია, ბუკეტში გამოხატულია ქიშმიშის ტონები. მიირთვით ფრინველის ხორცთან და ყველთან.

**ჩინური** - სუფრის თეთრი მშრალი ორდინალური ღვინო. მზადდება ამავე დასახელების ყურძნის ჯიშისაგან, რომელიც სპეციალიზირებულია საქართველოში, ქართლში. ჩვენი კომპანიის მიერ აღნიშნული ყურძნის ჯიშის ვაზი ექსპერიმენტის სახით აღმოსავლეთ საქართველოში, სიღნაღის რაიონის სოფელ ხორნაბუჯის მიმდებარე ტერიტორიაზეა გაშენებული. ნაჩვენები შედეგები დამაკმაყოფილებელია ამ ჯიშის ყურძნისგან მზადდება ევროპული ტიპის სუფრის თეთრი მშრალი ორდინალური ღვინო "ჩინური". ღვინო არის ღია ჩალისფერი, მჩატე. მიირთვით შენწვარი ფრინველის ხორცთან, თხის ყველთან, ნესვთან ერთად.

**კაგორი** - სადესერტო წითელი სამარკო ღვინო. ჩვენს კომპანიაში კაგორის დასამზადებლად გამოიყენება ღვინომასალები, რომლებიც მზადდება საფერავის, მერლოს, მალბეკის და კაბერნე სავინიონის ჯიშების ყურძნისაგან. ღვინო "კაგორი" არის მუქი წითელი ფერის. მიირთვით ხოხბის ხორცთან, იხვის და კაკაბის ხორცთან ერთად კომბოსტოში.

**შარდონე** - სუფრის თეთრი მშრალი ორდინალური ღვინო, რომელიც მზადდება ამავე დასახელების ჯიშის ყურძნისგან. ღვინო მზადდება სუფრის თეთრი ღვინოების დამზადების მიირთვით ცივ თევზთან ერთად მაიონეზში, ასევე ბატის ხორცთან ერთად ნიგოზიანში.

**კაბერნე** - სუფრის წითელი სამარკო ღვინო, დამზადებული კაბერნე-სოვინიონის ყურძნის ჯიშისგან. ღვინო არის მუქი-ბროწეულისფერი, გამოკვეთილი ბუკეტით, ჯიშური ტონებით. მიირთვით შემწვარ ინდაურთან, ბატკნის კატლეტთან ერთად.

**კაბერნე-ფრანი** - სუფრის წითელი მშრალი სამარკო ღვინო, დამზადებულია ამავე სახელწოდების ყურძნის ჯიშისაგან. ღვინო არის მუქი ბროწეულისფერი, გამოკვეთილი ბუკეტით, ჯიშური არომატით. მიირთვით ახალ კარტოფილთან ერთად კარაქში, შემწვარ კაკაბთან, ხორციან ბრინჯთან ერთად.

**მალბეკი** - სუფრის მშრალი წითელი ღვინო, რომელიც მზადდება ამავე დასახელების ყურძნის ჯიშისგან. მზა ღვინო "მალბეკი" არის ლალისფერი, ჯიშური არომატით. მიირთვით ფრინველის და ღორის ხორცთან ერთად.

**მწვანე** - სუფრის თეთრი მშრალი ევროპული ტიპის ღვინო, დამზადებული ამავე დასახელების ყურძნის ჯიშისგან. ახალგაზრდა ღვინო "მწვანის" განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენს მისი იშვიათი ძლიერი და სასიამოვნო ჯიშური არომატი. ღვინო არის ნაზი და ჰარმონიული. მიირთვით ზღვის ნობათთან, ფრინველის ხორცთან და ყველთან.

**კარდენახი** - პორტვეინის ტიპის სადესერტო-სამარკო ღვინო, რომელიც მზადდება რქაწითელის, მწვანეს და ხიხვის ღვინომასალებიდან. მზა ღვინო არის ქარვისფერი, ბუკეტი ჯიშობრივი, სადესერტო ტონით, გემოზე თაფლისებრი. მიირთვით ხორციან ბრინჯთან, კარტოფილთან და ყველთან ერთად.

**ძველშავი** - სუფრის მშრალი წითელი ორდინალური ღვინო, დამზადებული ამავე დასახელების ჯიშის ყურძნისაგან. ღვინო მასომრივი მოხმარებისაა. მიირთვით ფრინველის და ღორის ხორცთან და ყველთან.

**ალექსანდროული** - სუფრის მშრალი წითელი ორდინალური ღვინო ამავე დასახელების ყურძნის ჯიშისაგან დამზადებული. ეს ჯიში საქართველოში სპეციალიზებულია რაჭაში, ამბროლაურის რაიონში. ჩვენი კომპანიის მიერ ექსპერიმენტის სახით ალექსანდროულის ჯიშის ყურძნის ვაზი გაშენებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში, სიღნაღის რაიონის ს. ხორნაბუჯის მიმდებარე ტერიტორიაზე, და დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, სოფელ ვარციხესთან. ამ ჯიშის ყურძნისაგან მზადდება სუფრის მშრალი წითელი

ორდინალური ღვინო "ალექსანდროული. ღვინო არის ლალისფერი, ჯიშური არომატით. მიირთვით ფრინველის ხორცთან და ნანადირევთან ერთად.

**ქინძმარაული** - სუფრის ნახევრადტკბილი წითელი ღვინო, რომელსაც ვამზადებთ საფერავის ჯიშის ყურძნისაგან. "საფერავის" ჯიშის ვაზი ჩვენი კომპანიის მიერ გაშენებულია კახეთის ორ მიკრორაიონში; სიღნაღის რაიონის სოფ. ხორნაბუჯის მიმდებარე ტერიტორიაზე და ყვარლის რაიონის ქინძმარაულის მიმდებარე მიწებზე. მათგან სუფრის ნახევრად ტკბილი წითელი ღვინის "ქინძმარაულის" დასამზადებლად საუკეთესო მასალას წარმოადგენს ქინძმარაულის მიკრო ზონაში კულტივირებული "საფერავი". მზა ღვინოს აქვს მუქიბროწეულისფერი, ხილის ბუკეტი. მიირთვით ყავასა და დესერტთან ერთად.

**სოვინიონი** - სუფრის მშრალი თეთრი ღვინო, რომელიც მზადდება ამავე დასახელების ჯიშის ყურძნისგან. ღვინო ღია ჩალისფერია, ხასიათდება ძლიერი და სასიამოვნო ჯიშური არომატით, ნაზია და ჰარმონიული. მიირთვით ზღვის ნობათთან, ნანადირევთან და ყველთან ერთად.

## 5. სოფლის მეურნეობა : რატომ შეიქმნა "ღვინის კლუბი"

"თუ გნებავთ გაიგოთ, რა არის ნამდვილი ღვინო, უნდა წახვიდეთ საქართველოში - ღვინის სამშობლოში!"

"ღვინის რენესანსი მსოფლიოში საქართველოდან იწყება"

საქართველოში ორიოდე თვის წინ ღვინისა და გასტრონომიის შესახებ ბლოგის vinoge.com-ის ბაზაზე "ღვინის კლუბი" დაფუძნდა, რომელიც როგორც მეღვინეებს, ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს აერთიანებს. მათ შორის ჟურნალისტებს, იურისტებს, კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტებს, არქეოლოგებს, ლიტერატორებს, ფერმერებს და ა.შ.

"ღვინის კლუბის" მთავარი მიზნებია: ღვინის შესახებ ცოდნისა და ქართველი მომხმარებლის კულტურის ამაღლება, მაღალი ხარისხის ღვინის პროპაგანდა,

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციების აღორძინება, გაბედული სიახლეებისა და ნოვატორული წამოწყებების მხარდაჭერა, მაქსიმალური და მართალი ინფორმაციის მიწოდება ბაზარზე წარმოდგენილი ქართული და უცხოური ღვინოების შესახებ, ღვინის ტურიზმის განვითარებაში წვლილის შეტანა და ა.შ. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც იზიარებენ კლუბის მიზნებსა და იცავენ ამ წესდების მოთხოვნებს.

"ღვინის კლუბის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ავთანდილ კობახიძემ განაცხადა, რომ კლუბი ორგანიზებას გაუწევს და ჩაატარებს საერთაშორისო, ადგილობრივ და რეგიონალურ კონფერენციებს, სემინარებს, ტრენინგებს. სადაც მეღვინეები, მევენახეები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, სომელიეები, ჟურნალისტები და უცხოელი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს კონკრეტულ თემებზე.

ახლადშექმნილმა კლუბმა ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმა უკვე დაიწყო. კერძოდ, მათი ინიციატივით საქართველოში მოწვეული იქნა ცნობილი იტალიელი ღვინის ნეგოციანტი, ნატურალური ალკოჰოლური სასმელების მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ქსელის –"ველიერის მფლობელი და პრეზიდენტი ლუკა გარგანო.

სწორედ, ლუკა გარგანოს სახელს უკავშირდება, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს, ელიტარული სასმელებით მოვაჭრე აწყობილ დალაგებულ ფირმაში ბიზნესკურსის შეცვლა. იგი თავისი კაპიტალით გვერდში ამოუდგა ნატურალურ მეღვინეებს, მაშინ ჯერ კიდევ საკმაოდ პატარა სამყაროს და დაიწყო სრულიად უცნობი მეღვინეებისგან (თუ არ ჩავთვლით ნიკოლა ჟოლის) პროდუქციის შესყიდვა და ამ პროდუქციის პოპულარიზაცია.

ლუკა მსოფლიოს 150 ქვეყანაშია ნამყოფი. ვაჭრობს არყით, ლიბანური ღვინით, კუბური სიგარებით, აფრიკის ჯუნგლებში გაზრდილი ყავითა და კაკაოთი, კარიბის ზღვის ქვეყნების მიკროსაწარმოებში ჩამოსხმული რომით. ასევე ჰყავს კლიენტები სლოვენიაში, ხორვატიაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. ლუკა გარგანოსა და ნიკოლა ჟოლის დამსახურებაა ის, რომ დღეს ნატურალური ღვინის მწარმოებელთა სიას მრავალი ვარსკვლავური სახელი ამშვენებს. ლუკა საქართველოს პირველად 2006 წელს ძმასთან ერთად ეწვია. ძმებმა პირველივე ნახვით შეიყვარეს საქართველო და ბევრიც; გააკეთეს ნამდვილი, ტრადიციული ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის. ისინი დღემდე შესაძლებლობას არ ტოვებენ, რომ არ ახსენონ საქართველო, ქართული ტრადიციები. მეტყველებისას ორივე ხაზგასმით იყენებს

ქვევრს ამფორის ნაცვლად, ხოლო თუ ახლადგასინჯული ღვინო მოეწონებათ, ქართულად ამბობენ - „ეს ღვინოა".

რაც შეეხება ახლანდელ ვიზიტს საქართველოში, მისი შეხვედრა ჟურნალისტებთან, ღვინის სპეციალისტებთან და უბრალოდ ღვინის კულტურებით დაინეტერესებულ საზოგადოებასთან "კავკასიის ცენტრში", "ღვინის კლუბის" ორგანიზებით 4 ოქტომბერს შედგა. მსოფლიოში ცნობილ ნეგოციანტის ვიზიტს საქართველოში საზოგადოების მხრიდან საკმაოდ დიდი დაინტერესება და აღფრთოვანება მოჰყვა.

შეხვედრაზე "ველიერის" პრეზიდენტმა ისაუბრა თემაზე - „თანამედროვე მსოფლიოში ნატურალური და ინდუსტრიული ღვინის სექტორების განვითარება და ღვინის ბიზნესის პერსპექტივები". გარგანის თქმით, საქართველოში პრიორიტეტული ნატურალური ღვინის წარმოება უნდა იყოს, რადგან აქ ჯერ კიდევ არ მომხდარა მეღვინეობის სრული ინდუსტრიალიზაცია, როგორც ეს ტრადიციული მეღვინეობის სხვა ქვეყნებში შეინიშნება. შესაბამისად, ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ ქვეყანამ სწორად გამოიყენოს უნიკალური რესურსები-ვაზის ეროვნული ჯიშები და მეღვინეობის ისტორიული ტრადიციები. "რასაც ახლა გეტყვით, ამას ვეუბნები ყველას მთელს მსოფლიოში - თუ გნებავთ გაიგოთ, რა არის ნამდვილი ღვინო, უნდა წახვიდეთ საქართველოში - ღვინის სამშობლოში! მხოლოდ საქართველოში შეიტყობთ, რისთვის შექმნა ადამიანმა ღვინო. ქართველებმა კარგად იცით, რომ ღვინო ურთიერთობებისთვის არსებობს, მაგრამ დანარჩენ მსოფლიოში ეს ცოდნა დავიწყებულია. ღვინოს მაღაზიაში ყიდულობენ, როგორც რაღაც ნივთს და აღარც ის იციან, რას ყიდულობენ", – აღნიშნა ლუკა გარგანომ.

მისი თქმით, ინდუსტრიალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში, ღვინის დამზადების ტექნოლოგიები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა და დღეს ღვინოს ეძახიან "რაღაც სასმელს", რომელიც სინამდვილეში ღვინო აღარ არის. განსაკუთრებული პრობლემაა ხელოვნური საფუარების გამოყენება ღვინის ინდუსტრიაში. ამ საფუარებს მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების ღვინის კომპანიებისათვის მხოლოდ 3-4 მსხვილი ქარხანა ამზადებს. ამ მიზეზით ბოლო წლების ღვინოები ერთმანეთს ჰგავს და ვეღარ გაარჩევთ, რომელ ქვეყანაშია დამზადებული. თანაც, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელოვნური საფუარების უმეტესობა გენეტიკურად მოდიფიცირებულია. "ასეთი მძიმე ვითარების მიუხედავად, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ და ვხედავ, რომ ნატურალურ პროდუქტებზე

მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება. ღვინის რენესანსი კი მსოფლიოში საქართველოდან იწყება", განაცხადა ლუკა გარგანომ.

"ველიერის" პრეზიდენტს დიდი ხნის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ნატურალური ღვინის მწარმოებელ ქართულ კომპანია "თავადი მაყაშვილის მარანთან". ამ კომპანიის წარმომადგენლის, სოლომონ ცაიშვილის ცნობით, ლუკა გარგანო ქართველ მეგობრებთან ერთად საქართველოშიც დააფუძნებს ფირმას, რომელიც მოიძიებს და ევროპის ბაზარზე გაიტანს საუკეთესო ნატურალურ ქართულ ღვინოებს.

"კავკასიურ სახლში" შეხვედრის დასასრულს "ღვინის კლუბის" თავმჯდომარემ, მალხაზ ხარბედიამ საზოგადოებას აცნობა, რომ ლუკა გარგანო გახდა კლუბის პირველი საპატიო წევრი და მასთან თანამშრომლობა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

# გამოყენებული ლიტერატურა

„საიმედო“: ქართული ენის სახელმძღვანელო სომხურენოვანი საჯარო მოხელეებისთვის; წიგნი II – მეორე რედაქცია (2004);

სავარჯიშოების კრებული - „საიმედო“, წიგნი II (2004);

„საიმედო“: ქართული ენის სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის; წიგნი II /აზერბაიჯანული ვერსია/ (2006);

სავარჯიშოების კრებული – II ნაწილი /აზერბაიჯანული ვერსია/ (2006);

ქართული ენის თვითმასწავლებელი აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის (2003);

ქართული ენის თვითმასწავლებელი და სასაუბრო სომხურენოვანი მოსახლეობისთვის (2006);

ქართული ენის ლექსიკის სწავლების სახელმძღვანელო სავარჯიშოების კრებულითურთ (2007);

მ. ნიკოლაიშვილი, ქართული ენა (ინტენსიური კურსი), თბ., 1999 (რედ. პროფ. ე. ბაბუნაშვილი).